

არაპერიოდული გამოცემების სერია 18

## ვიკი უმცირესობებისთვის

რედი საბაზისო შოთარენტენდენცია

ტაჰა ჯაბირ ალალვანი

ახალი მოდიფიცირებული გამოცემა

არაბულიდან ინგლისურად თარგმნა  
აშურ ა. შამისმა

ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი  
ლონდონი . ვაშინგტონი

**ფიკრის უმცირესობებისთვის:**  
**რიგი საბაზისო მოსაზრებები**  
**ტაჰა ჯაბირ ალალვანი**



**International Institute  
of Islamic Thought**



**გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2024**

ფიკჲი უმცირესობებისთვის:  
რიგი საბაზისო მოსაზრებები (Georgian)  
ტაჰა ჯაბირ ალალვანი  
არაპერიოდული გამოცემების სერია 18

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),  
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი.

1445ჰ/2024

Paperback ISBN: 978-9941-33-603-4

### Towards a Fiqh for Minorities: Some Basic Reflections

Taha Jabir Alalvani  
*Occasional Papers Series 18*

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)  
1431AH/2010CE

Paperback ISBN: 978-1-56564-352-9

IIIT

P.O. Box 669,  
Herndon, VA, 20172, USA  
[www.iiit.org](http://www.iiit.org)

ინგლისურიდან თარგმნა: ქეთევან არახამია  
თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაძე  
ფილოლოგიური რედაქტორი: ია ძირკვაძე  
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი ც.დადანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარ-  
გასლა A-508  
[ikiacademy.org](http://ikiacademy.org)

საავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბა-  
მისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან  
გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომ-  
ცემლების წერილობითი წებართვის გარეშე.  
ნინამდებარე ნაშრომში გამოხატული ხედვები და აზრები ეკუთვნის ავ-  
ტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ჟ: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02  
E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

---

## ს ა რ ჩ ი ვ ი

<b>წინასიტყვაობა.....</b>	<b>7</b>
<b>შესავალი.....</b>	<b>11</b>
<b>ავტორის შესავალი .....</b>	<b>15</b>
საზოგადოებრივი ცნობიერება შარიათის შესახებ .....	17
შარიათი და კულტურა.....	19
მუსლიმების თანამედროვე მდგომარეობა დასავლეთში .....	19
11 სექტემბერი: შედეგი.....	22
სამართლებრივი და რელიგიური ჩარჩო განმარტები .....	26
ფიკტი	
უმცირესობები .....	27
კითხვის ხელახლა განსაზღვრა .....	29
იჯათიპადის სპეციალისტის აუცილებლობა	
„ფიკტი უმცირესობებისთვის“ ფორმულირებისთვის .....	31
რისი სწავლა შეიძლება მემკვიდრეობით მიღებული	
ფიკტი-სგან?.....	32
ახალი მეთოდოლოგის მიზეზები .....	
ნათელი ამოცანის მიზეზები .....	36
„ფიკტი უმცირესობებისთვის“ დაარსების გზაზე .....	37
ყურანის კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები .....	46
საკვანძო კითხვები.....	50
სხვებთან მუსლიმთა ურთიერთობის ფუნდამენტური წესი ....	53
დაწინაურებული ერი .....	55
ადამიანის უფლებების დაცვა .....	57

თავშეკავებულობა.....	57
აბისინიაში ემიგრაციიდან მიღებული გაკვეთილები .....	58
დასკვნა.....	61
ტერმინთა განმარტება.....	67
შენიშვნები .....	72

## წინასიმუშება

ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტის (იასი) ლონდონის ოფისისთვის დიდი პატივია წარმოადგინოს დოქტორ ჭაპა ჯ. ალალვანის ნაშრომის, „ფიკჲი უმცირესობებისთვის“: რიგი საბაზისო მოსაზრებები, მოდიფიცირებული გამოცემა. თავდაპირველად, 2003 წელს, პერიოდული სერიის №10 გამოცემის სახით გამოქვეყნებული ეს ნაშრომი ისლამური უმცირესობებისთვის სპეციალური კანონმდებლობის განვითარებისკენ მოგვიწოდებს, განსაკუთრებით იმ უმცირესობებისთვის, რომლებიც დასავლეთში ცხოვრობენ, მათი პირობებისა და ადგილმდებარეობის სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნული კვლევა დღესაც ისეთივე აქტუალობას ინარჩუნებს, როგორც მისი პირველად გამოცემისას.

„ფიკჲი უმცირესობისათვის“აქტუალური თემაა და ძალიან მნიშვნელოვანი ფიკჲის სფეროსთვის, რომელიც, თავის მხრივ, არსებითად მნიშვნელოვანი გახდა დასავლეთში მცხოვრები მუსლიმი საზოგადოებების კეთილდღეობისა და განვითარებისთვის. ისლამური საზოგადოებების წინაშე მდგარი არაერთი სერიოზული საკითხის მოგვარების წარსული მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა იმ მუსლიმი მეცნიერების მოსაზრებებისა და წვლილის მხედველობაში არმილებით, რომლებიც დასავ-

ლეთში ცხოვრობენ, მათ ენაზე საუბრობენ და მისი სო-ციალური, პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური სისტემების სიღრმისეულ ცოდნას ფლობენ. შედეგად არაერთი გაცემული რეკომენდაცია და ფათვა არაადეკ-ვატური და უადგილო აღმოჩნდა, რიგ შემთხვევებში კი განსახილველი საკითხების განხილვა გაართულა კიდეც. დოქტორი ალ-ალვანის რეკომენდაცია, რომ არსებულმა ფიკჲის ადვოკატებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ მუსლიმი მეცნიერების ასოციაციებთან და ეს მეცნიერები შარიათის მკვლევრებთან ერთად არა მხოლოდ ფორ-მალურად, არამედ თანაბარი დოზით ჩართონ პროცესში, არსებითად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ფიკჲის ძალიან სა-ჭირო პერსპექტივის მყარი და დასაბუთებული საფუძ-ვლის ჩამოსაყალიბებლად.

აღნიშნული ნამრობი შარიათის მიზნებისა და ამო-ცანების (ისლამური სამართლის უმაღლესი მიზნები და ამოცანები) ფილოსოფიაში განმტკიცებული პრინციპების გამოყენებისკენაც მოგვიწოდებს. მართლაც, შარიათის მიზნებისა და ამოცანების ცოდნა ისლამური აზროვნე-ბის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ ნებისმი-ერი მცდელობის წარმატების წინაპირობაა. უდავოა, რომ მსგავსი ცოდნა შესაძლოა გამოსადევი იყოს უმცი-რესობებისთვის ამოცანებზე დაფუძნებული საჭირო ფიკჲის განვითარების პროცესში და უდავოდ, არსები-თად მნიშვნელოვანია ნებისმიერი იმ ადამიანისთვის, ვინც ისლამურ გადაწყვეტილებებში არსებული საღ-მრთო სიბრძნის გაგებითა და შეფასებითაა დაინტერესე-ბული.

ვინაიდან ინგლისურ ლიტერატურაში ძალიან ცოტა  
ნაშრომი იყო ხელმისაწვდომი მაკაზიდ აშ-შარია-ს თემა-  
ზე, იასი-მ არსებული ვაკუუმის შევსება გადაწყვიტა და  
შარიათის მიზნებისა და ამოცანების შესახებ წიგნებისა  
და სტატიების სერიის თარგმნა და გამოცემა დაიწყო,  
რათა აზროვნების ეს მნიშვნელოვანი და რთული სფერო  
გაეცნო ინგლისელი მკითხველისთვის. დღემდე ისინი  
შემდეგ სტატიებს და წიგნებს აერთიანებს: იბნ აშურის  
„ტრაქტატი მაკაზიდ აშ-შარია-“-ზე, იმამ აშ-შატიბის  
„თეორია ისლამური სამართლის უმაღლესი ამოცანები-  
სა და მიზნების შესახებ“ აჰმად არ-რავსუნის ავტორო-  
ბით, „ისლამური სამართლის უმაღლესი ამოცანების რე-  
ალიზაციის გზაზე: მაკაზიდ აშ-შარია, ფუნქციონალური  
მიდგომა“ ჯამალ ელდინ ატტიას ავტორობით და  
„მაკაზიდ აშ-შარია, როგორც ისლამური სამართლის ფი-  
ლოსოფია: სისტემური მიდგომა“ ჯასსერ აუდას ავტო-  
რობით. ამასთან, ვინაიდან საკითხი საკმაოდ კომპლექ-  
სური და ინტელექტუალური გამოწვევებით სავსეა, ხო-  
ლო ამ საკითხზე დაწერილი და გამოცემული წიგნების  
უმეტესობა მხოლოდ სპეციალისტების, მკვლევრებისა  
და ინტელექტუალებისთვისაა გამიზნული, იასის ლონ-  
დონის ოფისმა აღნიშნული საკითხისთვის მარტივი სა-  
ხელმძღვანელოც შეიმუშავა მისი სტატიების კრებულის  
ნაწილის სახით, რათა ნებისმიერი მკითხველისთვის მარ-  
ტივად აღსაქმელი, წასაკითხი და ხელმისაწვდომი გაეხა-  
და. აღნიშნული შემდეგ ნაშრომებს აერთიანებს: „გამარ-  
ტივებული მაკაზიდ აშ-შარია“ მუჰამმად ჰაშიმ ქამალის

ავტორობით, „მაკანიდ აშ-შარი“: სახელმძღვანელო დამწყებთათვის“ ჯასსერ აუდას ავტორობით და მაკანიდ აშ-შარი“-ს ჭრილში დანახული განვითარების ისლამური ხედვა მუჰამმედ ომერ ჩაპრას ავტორობით.

არსებითად, დოქტორი ალ-ალვანის ნაშრომი მუსლიმი უმცირესობებისკენ მიმართული მოწოდებაა, რომ ამ უკანასკნელთ მოქალაქეობის შეგრძნება გაუჩნდეთ, მათი ადგილისა და ღირებულების შესახებ პოზიტიური, თავდაჯერებული ხედვა განავითარონ და თავიდან ამოიგდონ ემიგრანტის სტატუსის ცნება. შესაბამისად, „უმცირესობებისთვის ფიკჰის“ ცნების მოქალაქეობის ფიკჰის უფრო ფართო ცნებად გაფართოებით, ჩვენ ვაღიარებთ კულტურულ და პლურალისტურ წრეს, რომელშიც ისლამური უმცირესობები არიან, ამასთან, ჰუმანისტურ ხედვას ვეყრდნობით და საზოგადოების გაუმჯობესებაზე ვფოკუსირდებით.

იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული ნაშრომი თავისი ინოვაციური მიდგომით, ანალიზითა და იდეებით, არა მხოლოდ დიდ წვლილს შეიტანს „უმცირესობებისთვის ფიკჰის“ განვითარების პროცესში, არამედ უფრო დიდ ყურადღებასა და ინტერესასაც გამოიწვევს მკითხველში.

1981 წელს იასი-ს დაფუძნების დღიდან, ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრის ფუნქციას ასრულებს, რომელიც ისლამურ ხედვაზე, ღირებულებებსა და პრინციპებზე დაფუძნებულ სამეცნიერო საქმიანობას უწყობს ხელს. მისი კვლევითი პროგრამების, სემინარებისა და კონფერენციების შედეგად უკანასკნელი ოცდარვა წლის განმავლობაში სხვადასხვა სერიის ქვეშ

არაერთი სტატია გამოსცა, რომელიც დღემდე 250-ზე მეტ დასახელებას აერთიანებს ინგლისურ და არაბულ ენებზე, რომელთაგან ბევრი სხვა ენებზეც იქნა თარ-გმნილი.

1989 წელს ლონდონის ოფისმა სტატიების კრებუ-ლი გამოსცა, მარტივად წასაკითხი ბროშურების ნაკრე-ბი, რომელიც ინსტიტუტის მსოფლიო პროგრამის სამეც-ნიერო კველევითი ნაშრომების, სტატიებისა და ლექციე-ბის შემოკლებული ვერსიების გადმოცემას ისახავდა მიზნად, ისევე, როგორც სხვადასხვა მეცნიერისა და სო-ციოლოგის ნაშრომის გამოქვეყნებას, რომელთაც საკუ-თარი წვლილის შეტანა სურდათ. დღემდე თხუთმეტი ასეთი სტატია იქნა გამოქვეყნებული, რომელთაგან უკა-ნასკნელი 2008 წელს იქნა გამოცემული, ხოლო ზოგი მათგანი ფრანგულად და გერმანულად ითარგმნა.

იასი-ს ნაშრომის გაფორმების სტილის მიხედვით, რომელის სახელმძღვანელოა ავტორების, მთარგმნელე-ბისა და ტექსტის რედაქტორებისათვის, არაბული წარ-მოშობის ან არაბული გრაფიკით ჩანარილი სიტყვები და საკუთარი სახელები ან ტექსტში ნახსენები სიტყვები და სახელები, ტრანსლიტერილებულ იქნა მთელს ნაშრომში, გარდა ციტირებებში გამოყენებული ტექსტისა. ასეთ შემთხვევებში ისინი იასი-ს ტრანსლიტერაციის სისტემის გამოყენების გარეშე იქნა ციტირებული. თუმცა, არაბუ-ლი წარმოშობის ის სიტყვები და ზოგადი არსებითი სა-ხელები, რომლებიც ყოველდღიურ მეტყველებაში დაი-ნერგა, არც კურსივირებულია და არც დიდი ასოთი არ იწყება.

გვინდა დიდი პატივისცემა გამოვხატოთ და განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ დოქტორ ტაჟაბირ ალ-ალვანის, ისევე, როგორც სარედაქციო და საგამომცემლო გუნდს და იმ ადამიანებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ იყვნენ ჩართულნი აღნიშნული ნაშრომის დასრულებაში: დოქტორ მუნავარ ა. ანესა (რომელმაც შეასწორა აღნიშნული გამოცემა), ზაინაბ ალავიეს (რომელმაც პირველი გამოცემა შეასწორა), სილვია ჰანტს და ტაჟირა ჰადის, რომელთაგან ყველა დაუღალავად მუშაობდა აღნიშნული ნაშრომის გამოსაცემად მომზადებაზე და დიდი ძალისხმევა გამოიჩინეს მთელს ამ პროცესში. დაე ღმერთმა წყალობა არ მოაკლოს მათ და ავტორს მათ მიერ გაწეული ძალისხმევის-თვის.

ანას ალ შაიხ-ალი,

დიდი ბრიტანეთი  
IIIIT სამეცნიერო კონსულტანტი და ლონდონის  
განყოფილების დირექტორი  
მუჰამად 1431 წელი, იანვარი, 2010

## შესავალი

მუსლიმმა თეოლოგებმა, ღვთისმეტყველება უმრავ-ლესობისთვის შექმნეს და განავითარეს, თუმცა უმცირე-სობის სტატუსზე სისტემური ფორმულირება ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. აღნიშნული ესე, რომელიც შარიათის გამოჩენილ მეცნიერს, პროფესორ ტაპა ჯაბირ ალ-ალვანს ეკუთვნის, რიგ პრინციპებს გამოყოფს, რო-მელიც მან არსებითად მნიშვნელოვნად მიიჩნია მუსლი-მების, როგორც უმცირესობის, სტატუსის სათანადოდ გამოსაკვლევად. ის სწორად აღნიშნავს, რომ მის მიერ სიტყვა ფიკის გამოყენება აღნიშნული ესეს სათაურში უშუალოდ ისლამურ სამართალს კი არ მიემართება, არამედ იმას, რასაც აბრ ჭანიფა „დიდ ფიკს“ უწოდებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი პროექტი იმ მეთო-დოლოგიის შემუშავებას ისახავს მიზნად, რომელიც ის-ლამური აზროვნების უფრო ფართო განვითარებას შე-უწყობს ხელს, რომელიც თეოლოგიას, სამართალს და ისტორიასაც კი ეხება. ეს მეტად ამბიციური, თუმცა სა-ჭირო წამოწყებაა.

ავტორი, ჩრდილოეთ ამერიკის ფიკის საბჭოს თავ-მჯდომარე, კარგად აცნობიერებს, რომ დასავლეთში მყოფი მუსლიმების წინაშე მდგარი გამოწვევები გაცი-ლებით ფართოა, ვიდრე შარიათში განმტკიცებული ქცე-ვის წესების შეზღუდული ჩამონათვალი. სამეცნიერო აღმოჩენები, ტექნიკური რევოლუცია მისი ყველა გამოვ-

ლინებით და ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაცია, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, ახალ იჯ-თიპადში ფიკტთან მიმართებით შემოქმედებითი მიღვო-მის გამოყენებით უნდა აისახოს. ყურანი და შუამავლის ტრადიცია კი ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების პროგრესის გათვალისწინებით უნდა იქნეს წაკითხული. თუმცა, როგორ შეგვიძლია ჩვენი ინტელექტუალური შე-საძლებლობების გამოყენება თანამედროვე სამყაროსა და ისლამური სამართლის ტრადიციულ წარმოდგენებსა და თეოლოგიას შორის არსებული განსხვავების აღმო-საფხვრელად გამოვიყენოთ?

ახალი იჯთიპადისკენ მოწოდება ჯერ კიდევ მეც-ხრამეტე საუკუნეში დაიწყო ალ-აფლანტისა და ‘აბდუს სალაფიტური იდეით. ისლამური თეოლოგიისა და სამარ-თლის შინაარსის ტრანსფორმაციის კუთხით ‘აბდუს სკოლის შეზღუდული წარმატება იმით აიხსნება, რომ ისინი ძველი მეთოდოლოგიის ტყვეები იყვნენ. ‘აბდუ-ს სამართლებრივი რეფორმები საკმარისად ფუნდამენტუ-რი არ იყო. ის უმეტესად ანტიკური ხანის მეცნიერების მოსაზრებებს ეყრდნობოდა და ფართოდ იყენებდა თალღოვ-სა და ეკლექტიზმს. ეს გარდაუვალი იყო, რად-გან ის უსულ ალ-ფიკის საფუძვლებს, ისლამური იუ-რისპრუდენციის ძირითად პრინციპებს იყენებდა და ეყ-რდნობოდა. სწორედ ეს დისციპლინა ადგენს ისლამური სამართლის სტრუქტურას. მანამ, სანამ ის შეიცვლება, იურისტი ვალდებულია იმ სფეროში დარჩეს და იქ გა-ნაგრძოს მოლვანეობა, სადაც მისი წინამორბედები გა-ჩერდნენ.

დოქტორმა ალ-ალვანმა გააცნობიერა, რომ მსოფლიოს ინტელექტუალური და სოციალური გეოგრაფია ისე შეიცვალა, რომ ძველი სტრუქტურა მას ალარ მიესადაგება. მის მიერ ყურანთან შედარებით ჰადისების ისტორიულ მემკვიდრეობად შეფასება და არა მარადიულად, ასევე, მის მიერ წამოყენებული მოთხოვნა, რომ ყურანი ჰადისებთან მიმართებით უპირატესობით უნდა სარგებლობდეს, გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია მისი ახალი ინტერპრეტაციისთვის. მისი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, რომ შარიათის ნორმების ნებისმიერი ახალი ფორმულირებისას აქცენტი შარიათის საბოლოო მიზნებზე გაკეთდეს. აშ-შატიბის წვლილი შარიათის საბოლოო მიზნების უსაზღვროდ დიდ მნიშვნელობასთან დაკავშირებით მის ნაშრომში „მუვაფაკათ“ „დაიმარხა“ და ისლამური სამართლის განვითარებაზე მცირე გავლენა მოახდინა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ესე უმცირესობებს ეხება, აქ მოცემული და მხარდაჭერილი მეთოდოლოგია ყველგან, ისლამური მოღვაწეობის ყველა სფეროშია გამოსადეგი. ტერმინი უმცირესობა დიდ რიცხვთან შედარებით პატარა რიცხვის გამოსახატად გამოიყენება. ტერმინი ამ კონტექსტში არა რაოდენობას, არამედ ძალაუფლებას მიემართება. საზოგადოება, რომელიც კანონმდებლობას აკონტროლებს, უმრავლესობად უნდა იქნეს მოხსენიებული, მაშინაც კი, თუკი რაოდენობრივად ნაკლები არიან სხვა ჯგუფთან შედარებით. საპირისპიროც თანაბრად სწორია: საზოგადოება, რომელიც აღმატებულია რაოდენობრივად, თუმცა არ ფლობს სა-

კანონმდებლო ძალაუფლებას, ამ კუთხით, უმცირესობაა. მაგალითად, კოლონია მუდმივად უმცირესობის სტატუსს ფლობს.

შეიძლება თუ არა ტერმინი „ფიკჲი უმცირესობებისთვის“ ცალკე დისციპლინად იქნეს მიჩნეული თუ ის მხოლოდ ისლამური სამართლის ერთ-ერთი ზოგადი სფეროა? ავტორი მისი, როგორც სფეროს, დამოუკიდებლობას ამტკიცებს იმაზე დაყრდნობით, რომ უმცირესობათა საზოგადოებას გარკვეული შეზღუდვების წინაშე დადგომა და გამოცდა უწევს, რისთვისაც მას სამართლებრივი საფუძვლის მოძიება ესაჭიროება.

დოქტორი ალ-ალვანი კოლექტიური იჯთიპადისკენ და სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა სფეროდან ექსპერტების მოწვევისკენ მოგვიწოდებს, რათა ამ უკანასკნელთ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ახალი იდეების ფორმულირებასა და ახალი შეხედულებების განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მეცნიერების მიერ შეტანილი წვლილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დარწმუნებული ვარ, რომ სახელგანთქმული ფიზიკოსებისა და სამედიცინო სფეროში მოღვაწე მეცნიერების მიერ შეტანილ წვლილსაც მიესალმება. რაც შეეხება მხოლოდ შარიათის სპეციალისტებისგან დაკომპლექტებულ კომიტეტებს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მის უნდობლობას სრულად ვიზიარებ.

კოლექტიური იჯთიპადი ამ ეტაპზე ძალიან პოპულარული გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ყოველთვის შეზღუდულ როლს ასრულებდა ისლამური აზროვნებისა თუ სამართლის ისტორიაში. უმჯობესია სხვადასხვა

ადამიანმა წვლილი ღია დებატების რეჟიმში შეიტანოს, რამაც წესით ყველაზე მისაღები მოსაზრების მიღებამდე უნდა მიგვიყვანოს, სხვა მოსაზრებების დელეგიტიმიზაციის გარეშე. ჩვენი რწმენა და საზოგადოება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს არსებული კრიზისის წარმატებულად დაძლევას, თუკი განსხვავებული აზრის გამოხატვისთვის თავისუფალ სივრცესა და ამ მოსაზრებების სამართლიანად შეფასების შესაძლებლობას გავაჩინთ. აღნიშნული გარკვეულ თავმდაბლობას მოითხოვს იმამ აშ-შაფი‘ს-ს ტრადიციის მიმართ, რომელიც ამბობდა: „ჩემი მოსაზრება სწორია მცდარობის ვარაუდით, ხოლო ჩემი კოლეგის მოსაზრება მცდარია სისწორის ვარაუდით.“

ჩვენ საკმარისად ვიტანჯეთ წარსულში და ეს ტანჯვა დღემდე გრძელდება იმ პირთა გარკვეული წრეების მიზეზით, რომლებიც ისლამის სახელით საუბრის ექსკლუზიურ უფლებას იჩემებენ. დოქტორი ალ-ალვანის ბრწყინვალე ესე კი გზას უხსნის გააზრებულ მიდგომას „ფიკჰის“ ახლებური ინტერპრეტაციისთვის. ის ამას ჭეშმარიტი მეცნიერის თავმდაბლობით აკეთებს.

მ.ა. ზაქი ბადავი  
ბრიტანეთის იმპერიის  
ორდენის (OBE) ოფიცერი  
ლონდონი, იანვარი,  
2003

## ავტორის შესავალი

ისლამური უმცირესობები წარსულში ისეთ დიდ ინტერესს არ იწვევდნენ, როგორც დღეს იწვევენ. მუსლიმები დომინანტურ მსოფლიო სახელმწიფოს ფლობდნენ, რომლისაც ყველა ერს ეშინოდა ან პატივს სცემდა. ვერცერთი ძალა ვერ ბედავდა ცალკეულ მუსლიმებზე თავდასხმას ან ისლამის მთლიანობის დარღვევას, როდესაც ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგებთან უწევდათ შერკინება, როგორიც იყო, მაგალითად, აბასიანი ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის ვაჟი, ალ-მუ'თასიმი<sup>1</sup>, რომელმაც ქალაქი ‘სმრურიდა’<sup>2</sup> დაიპყრო, რათა მუსლიმი ქალი გადაერჩინა, რომელმაც საკუთარი ხალხის მხრიდან მისი შევიწროვებისგან დასაცავად მისგან დახმარება ითხოვა.

მუსლიმებს თავისუფლად მოგზაურობა შეეძლოთ ისლამის მიწებზე. მთელი მსოფლიო ღია იყო მათთვის, როგორც ადგილსამყოფელი და თაყვანისცემის ადგილი.<sup>3</sup> ალლაჰი ყურანში აცხადებს: „**ქვეყანას იმემკვიდრებენ ჩემი ერთგული მსახურნი**“ (სურა ალ-ანბია: 105). მუსლიმები შუამავლების ან დიპლომატიური ელჩების, ასევე ვაჭრების ან მოხეტიალე სუფიების სახით მოგზაურობდნენ. ისინი უმეტესად სტუმრები იყვნენ, რომლებიც მცირე ხნით რჩებოდნენ სხვა ადგილას. ისინი, ვინც გადასახლდნენ ისლამური მიწებიდან პოლიტიკური მიზეზებით ან როგორც სხვაგვარად მოაზროვნენი - და ვარაუდობდნენ, რომ ეს გადასახლება ხანგრძლივვადიანი

იქნებოდა - უმეტესად შორეულ ადგილებში მიდიოდნენ, სადაც ისლამური ძალაუფლება საკმაოდ შესუსტებული იყო. უფრო დიდი ძალაუფლების მქონე და ამბიციური მიგრანტები, რომელთაც დამოუკიდებელი ფინანსური სახსრები გააჩნდათ, არაისლამურ მიწებზეც მიემგზავრებოდნენ, სადაც საკუთარ ისლამურ საამიროებს ქმნიდნენ, რომლებიც ისლამური ოაზისის ან კუნძულების სახით არსებობდა არაისლამური ოკეანეების შუაგულში. ზოგ საზოგადოებას, მაგალითად საფრანგეთის სამხრეთში, ჩრდილოეთ იტალიაში,<sup>4</sup> და სხვა ადგილებში, დიდი ხნის განმავლობაში უწევდათ გადარჩენისთვის ბრძოლა, მიუხედავად იმისა, რომ ისლამის გავრცელება ამ ადგილებში შეჩერებული იყო.

ეს მუსლიმები, რამდენად ცოტაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, იმ არაისლამურ საზოგადოებაში ცხოვრობდნენ, სადაც ძალაუფლება მათ ხელთ არ იყო, ხოლო კანონები შარიათზე არ იყო დაფუძნებული. ისინი, უმეტესად, ადგილობრივი ახალმოქცეულები იყვნენ. შედეგად, მათ საკმაოდ ნათლად გააცნობიერეს ისლამურ და არაისლამურ საზოგადოებაში ცხოვრების მნიშვნელოვანი განსხვავება. ისინი, ვისაც საკმარისი სახსრები ჰქონდათ, ისლამურ მიწებზე დაბრუნდნენ, ხოლო დანარჩენები ცდილობდნენ ცხოვრების შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ისლამური წესით ეცხოვრათ. მათ დამოუკიდებელი ისლამური კულტურა განავითარეს, რომელიც დროდადრო არაისლამურ მასპინძელ საზოგადოებასთან გარკვეული უთანხმოებების გამომწვევი იყო. აღნიშნულის მიზეზი კი ის იყო, რომ მათ უარი თქვეს,

რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, იმ ნორმებისა და ტრადიციების შესრულებაზე, რომელიც იმას ეწინააღმდეგებოდა, რაც მათ ისლამის შესახებ ჰქონდათ ნასწავლი. მიუხედავად იმისა, რომ ახალი კულტურა, შესაძლოა, რიგ ასპექტებში შეესაბამებოდა კიდევ მასპინძელი საზოგადოების ცხოვრების სტილს, თუმცა ეს ინტეგრაცია მხოლოდ კოსმეტიკური და უმნიშვნელო იყო. დაპირისპირება, შესაძლოა, დომინანტ უმრავლესობასაც გამოეწვია, თუკი ისინი უმცირესობების განმასხვავებელი კულტურული და რელიგიური მახასიათებლების განადგურებას შეეცდებოდნენ, რათა ეს მახასიათებლები არა-ისლამურ საზოგადოებაში შთავანთქათ.

თუკი მუსლიმი უმცირესობები უარს იტყოდნენ ასიმილაციაზე, დიდის ალბათობით მათი დევნა მოხდებოდა. შესაბამისად, ისინი უძლურნი იქნებოდნენ და საკუთარი არსებობის დასადასტურებლად საჭირო საშუალებები არ ექნებოდათ (სურა ან-ნისა': 98). ისინი ფათვას მათი ღვთისმეტყველებიდან ('ულამა') ან მათი საზოგადოების გარეთ მოიძიებდნენ, განსაკუთრებით ჰაჯის სეზონზე. მათი საკითხების უმეტესობა ინდივიდუალური და პირადული იქნებოდა. ნარსულში მუსლიმი უმცირესობები იმდენად ცოტანი და იზოლირებულნი იყვნენ, რომ არ შეეძლოთ დამოუკიდებელი ეკონომიკური, სამართლებრივი თუ კულტურული ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების დაარსება. მუსლიმ იურისტებსა და ღვთისმეტყველებს კარგად ესმოდათ ის არსებითი განსხვავება, რომელიც, ერთი მხრივ, არაისლამურ საზოგადოებაში მუსლიმი ინდივიდებისა და ჯგუფების წინაშე

მდგარ პრობლემებს, ხოლო, მეორე მხრივ, ისლამური სამართლის, სისტემებისა და ტრადიციის შესაბამისად მცხოვრები ისლამური საზოგადოების პრობლემებს შორის არსებობდა. ისინი უდავოდ აცნობიერებდნენ „ისლამურ მიწებზე“ (დარ აღ-ისლამ ან დარ აღ-იჯაბა) სამართლის წყაროებსა და სხვა საზოგადოებების სამართლის წყაროებს (დარ ად-და ’ვა)<sup>5</sup> შორის განსხვავებებს. მათ კარგად ესმოდათ ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური, კულტურული და იურიდიული განსხვავებების გავლენა ადამიანების ცხოვრებაზე ორივე გარემოში, შესაბამისად, მუფთებს, მეცნიერებსა თუ სტუდენტებს, მტკიცებულებების გამოკვლევას ავალდებულებდნენ. მათ ამ მტკიცებულებების არსებული გარემოებების გათვალისწინებით კონტექსტუალიზაცია ესაჭიროებოდათ, რათა შესაფერისი ფათვები გამოეცათ, რომელიც მათი დროისა და სივრცის შესაბამისად მარტივად გამოყენებადი იქნებოდა, შარიათის მთავარი პრინციპებისა და ზოგადი მიზნების დარღვევის გარეშე.

შესაბამისად, უმცირესობებისთვის ახალი ფიკჰის შექმნის საჭიროება წარსულში ისეთი ძლიერი არ იყო, როგორც დღეს არის. აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ „ზემოხსენებული საზოგადოება“ არასდროს აღმოჩენილა მისი ქვეყნის ან საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ და არასდროს გადასულა „და ’ვას მიწაზე“ გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ზემოთ იქნა აღნიშნული. ეს შემთხვევითი და წარმავალი არსებობა იყო, რომელმაც კანონების მისაღებად და ფათვების გამოსაცემად იურისტების ყურადღება ვერ მიიქცია. ის შეზღუდული და

იზოლირებული დარჩა, ხოლო მისი ფიკჰი „კრიზისის“ ან „საგანგებო სიტუაციის“ „ფიკჰის“ სახელით გახდა ცნობილი.<sup>6</sup>

### საზოგადოებრივი ცნობიერება შარიათის შესახებ

მუსლიმებმა კარგად იციან, რომ შარიათის ნორმები გულმოწყალებასა და თავშეკავებულობაზეა დაფუძნებული და არა ჩაგვრასა და სისასტიკეზე. ისინი სრულად აცნობიერებენ, რომ რელიგიური ვალდებულებების შესრულება ადამიანური შესაძლებლობების თანმდევია (სურა ათ-თაღაბუ: 16, სურა ალ-ბაკარა: 286). მუსლიმებმა ისიც იციან, რომ შარიათი ყველაფერს სუფთასა და სასარგებლოს უშვებს და ყველაფერს საზიანოს კრძალავს, ცხოვრების გამარტივებისა და მისი უფრო კომფორტულად ქცევის მიზეზით. ის კარგ და პოზიტურ ქცევას უწყობს ხელს და ახალისებს და ყველაფერს ისეთს კრძალავს, რაც საზოგადოებას აკნინებს. (სურა ალ-ა'რაფ: 157).

ჩვეულებრივ მუსლიმს კარგად ესმის რას ნიშნავს ყურანის შემდეგი ფრაზა: „იგია, რომელმაც ყოველივე თქვენთვის გააჩინა, რაცაა მიწაზე“ (სურა ალ-ბაკარა: 29). ის ღმერთის წყალობის სრულად გამოყენების უფლებას ადასტურებს იმ ერთადერთი გამონაკლისით, რაც ღმერთმა კონკრეტულად და კატეგორიულად აკრძალა. დასაშვებობა ნორმაა. ყველაფრის გამოყენება დასაშვებია, რაც დედამიწაზე და დედამიწაშია, თუკი ის ჯანსაღი და უვნებელია. ნათლადაა განსაზღვრული, რა არის

ჭალა-ლ და რა ჭარამ. მათ შორის არსებული სადავო არე-  
ები კი „ფიკჰის“ დებატებისა და იჯთიპადის თემაა.

ყურანის ზოგადმა და უნივერსალურმა პრინციპებ-  
მა საერთო, ფართოდ გავრცელებული და მისაღები  
კულტურა შექმნა ყველა მუსლიმისთვის. ყურანის პოპუ-  
ლარობისა და ისლამურ საზოგადოებაში მისი მარტივად  
ხელმისაწვდომობის წყალობით, მიუხედავად იმისა, რამ-  
დენად ელემენტარულია მათი ისლამის ცოდნა, ისლამუ-  
რი განათლებისა და კულტურის რიგი სტანდარტები  
განვითარდა. არცერთ სხვა წიგნსა თუ რელიგიას არ მი-  
უღწევია სამართლის ცნობიერების ასეთი მაღალი ხა-  
რისხისთვის. ისეთი პრინციპები, როგორიცაა, „რელიგი-  
ური საკითხები, გადაწყვეტილი გარემოებათა შესაბამი-  
სად ან ინსტინქტი, უნიკალურია ისლამური კულტურის-  
თვის. გარკვეული საკითხები „ზოგადი ცოდნის“ მონა-  
ბოვრად იქცა სამეცნიერო კვლევების გარეშე. ეს ის-  
ლამს ყველა სხვა რელიგიისგან განასხვავებს, სადაც  
ღვთისმსახურების თითოეული უმნიშვნელო ასპექტი და  
დოგმაც კი დებატებისა და სამღვდელოების მხრიდან  
განხილვის საგანია. ისინი კი, თავის მხრივ, გადაწყვეტი-  
ლებების მიღებისა და გამოცხადების ექსკლუზიურ უფ-  
ლებას ფლობენ, რომელიც საზოგადოების მიერ მიიღე-  
ბა. ისლამში პროფესიული იჯთიპადის სფეროები ზუს-  
ტადაა განსაზღვრული და საზოგადოებას ყოველთვის  
შეუძლია საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებისა და  
წვლილის შეტანის მიზნით ჩაერთოს. ჩვეულებრივ ხალხს  
თავად შეუძლია ის მეცნიერი აირჩიოს, რომლის მოსაზ-  
რებებსაც იზიარებს, ხოლო „ზოგადი სამართლიდან“ მი-

ზეზები, ტერმინები და შეზღუდვები შეარჩიოს. ისინი მეცნიერებს ფაქტების მიღებაში მიჰყვებიან, ამასთან, არსებობს ისეთი საკითხები, რომელთა იგნორირებაც მათ არ შეუძლიათ.

სწორედ ამ მიზეზით ისლამურმა საზოგადოებამ შესაძლებლობა მისცა „კალმის ადამიანის“ წარმოჩენას საპირისპიროდ „ხმლის ადამიანის“. ამასთან მუსლიმურ საზოგადოებაში არ არიან „სასულიერო პირები“, „სამ-ლვდელოება“ ან „ღვთისმეტყველთა (‘ულამა’) უმაღლესი საბჭო“, რომელსაც ექნებოდა მონოპოლიური უფლება რელიგიური ცოდნის წყაროებსა და რელიგიური დოგმების ინტერპრეტაციაზე, რის შედეგადაც საზოგადოების დანარჩენ ნაწილს მათზე წვდომა შეეზღუდებოდა და იმ ადამიანებსაც ხელი შეეშლებოდათ, რომელთაც მათი შესწავლა, ანალიზი და განმარტება სურთ. იდეა ელიტაზე, რომელიც საკუთარ თავს რელიგიური პასუხისმგებლობისა და ძალაუფლების ეტალონად ადგენს, უცხოა ისლამისთვის. ისინი, ვინც ცდილობდნენ ასე მოქცეულიყვნენ, მარცხი განიცადეს. ეს არის იდეა, რომელიც უარიყოფა არა მხოლოდ ინტელიგენციის, არამედ საზოგადოების მიერ. ყურანი ყველასთვის ხელმისაწვდომია და არავის აქვს მასზე წვდომის კონტროლისა და მონოპოლიის უფლება. ყურანის ნებისმიერ მკითხველს შეუძლია ისლამის ზოგადი საფუძვლების პირდაპირ წიგნიდან შესწავლა.

## შარიათი და კულტურა

მყარი პოლემიკური ხასიათის, ურთიერთებავაჭირი არსებობს კანონმდებლობას, იქნება ეს საღმრთო თუ ადამიანის მიერ შექმნილი და კულტურულ ტრადიციებსა და ჩვეულებებს შორის. საზოგადოების ეს ასპექტები გავლენას ახდენს მეცნიერებზე, მკვლევრებსა და კანონმდებლებზე, ისევე, როგორც ფიკი და კანონმდებლობა თამაშობს მნიშვნელოვან როლს კულტურების, ტრადიციებისა და ჩვეულებების შექმნაში, რომელთაც გრძელვადიანი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე. ისლამური უმცირესობები ისეთ საზოგადოებებში ცხოვრობენ, რომელშიც ეს ასპექტები ისლამური საწყისებისგან არ გამომდინარეობს, ხოლო მათვის ამ გავლენებისგან გათავისუფლება დამოუკიდებლად სრულიად წარმოუდგენელია. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ისინი წარმატებით შეძლებენ თაყვანისცემასა და მორალურ ქმედებას შორის ურთიერთობის გამიჯვნას, ისინი ამას ვერ მოახერხებენ სხვა ზოგადი და საერთო სახის ურთიერთობებში: განათლების, ეკონომიკის, პოლიტიკის, მედიის და სხვა ისეთ სისტემებში, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ახდენს. ეს ყველაფერი სხვადასხვა ხარისხით ხელს უწყობს უმცირესობების მათი ფესვებიდან დაშორებასა და გაუცხოებას და თანდათანობით ასუსტებს მასთან კავშირებს. ძველი ურთიერთობების გაწყვეტის შედეგად გამოწვეული დანაკარგის კომპენსაციის მიზნით, მუსლიმი უმცირესობების მიერ დასახლებულ

ახალ გეოგრაფიულ გარემოში ახალი კავშირები ვითარდება.

ეს პირველი თაობის ემიგრანტებს ეხებოდათ. მიუხედავად ამისა, ძველი კავშირები, შესაძლოა, მესამე ან მეოთხე თაობის მიერ განადგურდეს და გართობასთან დაკავშირებულ ტკბილ-მწარე მოგონებად იქცეს. შესაბამისად, შესაძლოა ახალი თაობები სრულად ასიმილირდნენ მასპინძელ საზოგადოებებში და გაქრნენ მათ კულტურულ ფესვებთან კავშირის სრულად გაწყვეტით, რომლის შესანარჩუნებლად მათმა მამებმა და წინაპრებმა ძალისხმევა არ დაიშურეს.

### **მუსლიმების თანამედროვე მდგომარეობა დასავლეთში**

ცხადია, რომ არც დასავლეთი, განსაკუთრებით ევროპა, და არც თავად მუსლიმები, არ ელოდნენ ისლამისა და მუსლიმების ევროპის შუაგულსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოჩენას. ეს მუსლიმები იქ დამპყრობლების რანგში კი არ მისულან, არამედ იმიგრანტების, სტუდენტებისა და პროფესიონალების რანგში. ისინი, ის ქვეშევრდომები და მოქალაქეები იყვნენ, რომელთაც ისლამური მიწები დატოვეს, რათა დასავლეთში ეცხოვრათ და ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ნამდვილი, მუდმივი და ორგანიზებული ყოფის ფორმირება მოეხდინათ. იმიგრანტთა ახალ საზოგადოებებს გულწრფელად სურთ მასპინძელ საზოგადოებაში ინტეგრირება მათი რელიგიური და კულტურული იდენტობის შენარჩუნების პირობით. მოსახლეობის დანარჩე-

ნი ნაწილის მსგავსად, ისინი მზად არიან დაიცვან და პატივი სცენ მასპინძელი ქვეყნის კანონებს, გადასახადები გადაიხადონ, პასუხისმგებლობა აიღონ და კანონით მინიჭებული თავისუფლებით, უპირატესობებითა და უფლებებით ისარგებლონ.

2001 წლის 11 სექტემბრამდე ამერიკის შეერთებული შტატები მულტიკულტურიზმსა და მულტიკონფესიურ საზოგადოებას მრავალმხრივობისთვის პოზიტიურ კონტრიბუციად განიხილავდა. სწორედ მულტიკულტურიზმა აქცია ამერიკის შეერთებული შტატები მთელი სამყაროსთვის სიმბოლოდ. მას თამამად შეეძლო ემტკიცებინა მთელი კაცობრიობისა და მსოფლიოს წინაშე, რომ ის ინტეგრაციის უნივერსალურ მოდელს წარმოადგენდა. აღნიშნული მათი ამბიციის მტკიცებულებადაც გამოდგებოდა, რომ ისინი ელინიზმისა და რომაული ცივილიზაციის უდავო მემკვიდრეები იყვნენ: კულტურებისა და რასის სუპრანაციონალური ნაზავი. ეს მათ დამსახურებულად აქცევდა მსოფლიოს ლიდერად, როგორც ახლა „გლობალიზმად“ წოდებულმა მოვლენამ აქცია.

ამერიკის შეერთებული შტატები ნამდვილად ქების ღირსია ისლამისა და მუსლიმების საზოგადოების ყველა დონეზე მიღებისა და მათი გაგებისთვის. ეს რამდენიმე ეკლესიის მიერ გადადგმულ ნაბიჯსაც მოიცავს, რომლებმაც ძალიან მცირე საფასურის სანაცვლოდ შესთავაზეს მუსლიმებს შენობა-ნაგებობები პარასკევის ლოცვებისა და დღესასწაულებისთვის ('იდ), ისევე, როგორც აკადემიურ ინსტიტუტებსა და კონგრესის წევრებს ორივე პოლიტიკური პარტიიდან. იგივე შეიძლება ითქვას

რიგ საგანმანათლებლო დაწესებულებებზეც, რომლებმაც გულთბილად მიიღეს მუსლიმები და მუსლიმ ორატორებსა და ლექტორებსაც უმასპინძლეს მთელ რიგ რელიგიურ, კულტურულ, ისტორიულ და სოციალურ საკითხებზე სასაუბროდ. ზოგმა საგანმანათლებლო ორგანიზაციამ მუსლიმები მათ მმართველობით ორგანოებშიც მიიღო. ციხის ადმინისტრაციებმა დაწესებულებამ მუსლიმ მასწავლებლებსა და მქადაგებლებს ლოცვების წაკითხვის, პატიმრებისთვის ისლამის სწავლებისა და მისი განხილვის ნებაც დართეს. ზოგი მათგანი მაღალანაზღაურებად პოზიციებზეც დაინიშნა ამ ორგანოების მიერ. ისინი მიესალმებოდნენ ისლამის გავრცელებას პატიმრებს შორის მას შემდეგ, რაც თავად გახდნენ პატიმრების ქცევაზე მისი დადებითი გავლენის მოწმები, კერძოდ, ისლამი მათ ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტისკენ და დანაშაულისგან თავის არიდებისკენ მოუწოდებდა.

1992 წელს პენტაგონმა აშშ-ის სამხედრო ძალების სამ დანაყოფში რელიგიური ინსტრუქტორების დანიშვნის ნებართვა გასცა. პირველი მინისტრის, კაპელანი აბდულ-რაშიდ მუჰამმადის დანიშვნას თანამდებობაზე თან ახლდა საზეიმო ცერემონია, ამას მოჰყვა სხვა მუსლიმების დანიშვნაც აღნიშნულ თანამდებობაზე, რამაც ჯამში თოთხმეტი ხელმძღვანელი შეადგინა. მეჩეთების და ისლამური ინსტიტუტებისა და სკოლების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და 1997 წელი ისლამისა და მუსლიმების ამერიკის შეერთებულ შტატებისთვის გაცნობის წლად იქნა მიჩნეული. ეს ოქროს შესაძლებლობა

იყო, რომელიც მუსლიმებმა წარმატებით ვერ გამოიყენეს, რათა საკუთარი თავი, მათი რელიგია, ისტორია და ცივილიზაცია სწორად გაეცნოთ მასპინძელი ერისთვის.

ბევრმა ამერიკულმა ინსტიტუტმა გაუღო კარი მუსლიმებს. პირველი მუსლიმი მოსამართლე ქალიც დაინიშნა და სასამართლოებმა მუსლიმ იურისტებთანაც დაინტერეს კონსულტაციის გავლა, როდესაც ისეთ საქმეებს განიხილავდნენ, რომელიც მუსლიმ მხარეებს მოიცავდა.

ყოფილმა პირველმა ლედიმ ქალი მუსლიმი თანაშემწე დანიშნა, რომელიც ჰიჯაბს (ჰიჯაბ) ატარებდა. თეთრ სახლში მუსლიმი წამყვან, მენეჯერულ პოზიციაზე დაინიშნა, ხოლო სახელმწიფო დეპარტამენტი მუსლიმების სავარაუდო მომავალ ელჩებად დანიშვნის შესაძლებლობას განიხილავდა. პირველი მუსლიმი ამერიკელი ელჩი ფიჯიში იქნა დანიშნული. პენტაგონმა მუსლიმი ქალი ოფიცირებისა და რიგითებისთვის ფორმის შეცვლის უფლება გასცა, კერძოდ მათ თავსაბურავის ტარების უფლება მიეცათ. მთავრობის ყველა სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირი, ისლამურ ქვეყნებში ჩასვლამდე, უნდა გაცნობოდა და შეესწავლა ისლამი და მისი ტრადიციები შესახებ წაკითხვა დაევალა, რათა თავიდან აეცილებინათ ადგილობრივთა გრძნობების ან კულტურული ტრადიციების შეურაცხყოფა და შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოქალაქეების მიმართ მუსლიმებში ნეგატიური რეაქცია და განცდები არ გაეღვივებინათ. ამ ძალისხმევას კი შედეგად ისლამისა და მუსლიმების სწორად გაგება და აღ-

ქმა მოჰყვა. ზოგიერთი ადამიანს შთააგონა ისლამზე მოქცევა და ან სულ მცირე პატივისცემა ამ რელიგიისა და მისი მიმდევრებისთვის, მზად ყოფილიყვნენ მათი საქმის შესაფასებლად და დასაფასებლად და რიგ შემთხვევებში, თანაეგრძნოთ მათვის.

სასამართლოების წინაშე არაერთი საქმე იქნა განხილული მუსლიმ ქალებზე ზეწოლის წინააღმდეგ, ჰიჯაბის ან თავსაბურავის მოხსნის მოთხოვნით, რომელთაგან ყველა მუსლიმი ქალების სასარგებლოდ გადაწყდა. მუსლიმი მამაკაცები და ქალები, რომლებიც მათი რელიგიის, ისტორიისა და კულტურის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნავენ და ამ სფეროების მიმართ ინტერესს აღვივებენ, დღესდღეობით სწორედ მათი გამორჩეული სამოსით არიან წარმოდგენილნი. ისინი ისლამის იმ პოზიტიურ ასპექტებს უსვამენ ხაზს, რომელიც, შესაძლოა, ამ კონკრეტულ სახელმწიფოშიც იქნეს გამოყენებული, განსაკუთრებით საშინაო ყოფაში, და პრაქტიკაში იმას ახორციელებენ, რასაც მე „მდუმარედა ‘ვას’<sup>\*</sup> ვუწოდებ.“

---

\* საფრანგეთში, გერმანიაში, შვედეთსა და დიდ ბრიტანეთში ისლამური მოსახლეობის დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, მუსლიმები სხვებთან ერთად ევროპული ცხოვრების ნაწილი გახდნენ. ბრიტანეთში მაგალითად, მუსლიმებს თავისუფლად და სრულად შეუძლიათ საკუთარი რელიგიის უფლების განხორციელება და 1000-ზე მეტი მეჩეთი სწორედ ამ თავისუფლების მტკიცებულებაა. ბოლო პერიოდში მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის საზოგადოებრივი ურთიერთობები საერთო ჯამში პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს. თუმცა, ცრურწმენა და ისლამიფონბია ჯერ კიდევ არსებობს. მუსლიმთა საზოგადოებრივი მისალმა იმ ფაქტს, რომ სწორედ ბრიტანეთის მთავრობა იყო იმ ანგარიშის მომზადების ინიციატორი და ავტორი, რომელიც ანტიისლამურ დისკრიმინაციასა და ცრურწმენას ეხებოდა. ეს ანგარიში, სახელმოდგებით „ისლამოფონია, ყველა ჩვენგანის გამოწვევა“ (1998), პირველი სერიოზული მცდელობა იყო, რომ ამ საკითხისთვის სერი-

## 11 სექტემბერი: შედეგი

11 სექტემბრის დამანგრეველმა და გამანადგურებელმა მოვლენებმა ყველა შოკში ჩააგდო. იმ დღიდან მუსლიმებმა და ამერიკელებმა ახალ რეალობაში გაიღვიძეს, რომლის მსგავსიც მათ ამ წუთამდე არასდროს ჰქონიათ. სწორედ ამ მოვლენების შემდეგ გაიზარდა ახალი ფიკტის შექმნის საჭიროება, რომელიც მუსლიმი უმცირესობების საკითხს განსაზღვრავდა და დაარეგულირებდა, განსაკუთრებით დასავლეთში.

საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელმა არა-მუსლიმებმა სწორედ ამ მოვლენების შემდეგ გადაწყვიტეს ისლამის შესწავლა მისი პირვანდელი წყაროები-

ოზულად შეეხედათ და ის ფართოდ იქნა გამოყენებული როგორც მუსლიმების, ასევე არა-მუსლიმების მიერ. საგანმანათლებლო სექტორში, დიდი და სერიოზული კამპანიის შედეგად, იმ სკოლების მხარდაჭერა ხდება სახელმწიფოს მხრიდან, რომელთაც სრულად ისლამური სული აქვთ. ახალი ეპროპული კანონმდებლობის მიღების შედეგად, რომელიც უმცირესობათა დაცვას უზრუნველყოფდა, გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული მუსლიმების უფლებების დასაცავად, რათა ამ უკანასკნელთათვის საკუთარი რელიგიის (ისლამის) აღმსარებლობის თავისუფლება უზრუნველეყოთ. კანონმდებლობა, რომელიც მიღებულ იქნა, უკანონოდ აცხადებს დისკრიმინაციას მუსლიმების წინააღმდეგ (ისევე როგორც სხვა რელიგიის წარმომადგენლების) სამუშაო ადგილზე. მუსლიმები უფრო ფართო საზოგადოებაშიც ერთვებიან. ისლამურმა პერიოდულმა გამოცემებმა, როგორიცაა Emel, ისევე როგორც არაერთიმა გამოჩენილმა მუსლიმმა უურნალისტმა და სამაუწყებლო კომპანიამ გვიჩვენა, თუ რამდენად შორს წავიდნენ მუსლიმები საკუთარ პროგრესში. პოლიტიკის სფეროში არსებული ვითარება ამერიკაში არსებულ ვითარებას შეადარეს, სადაც მუსლიმი სენატორები არ არიან. პრიტანეზმი მუსლიმი ლორდები პალატაში იქნენ დანიშნულნი, მუსლიმები პარლამენტის წევრებადაც იქნენ არჩეული, რაც იმას ხდის ნათელს, რამდენად გახდნენ მუსლიმები პრიტანული, და შესაბამისად დანარჩენი ევროპის, ცხოვრების ნაწილი. [რედაქტორები]

დან და მისი მიმდევრებისგან და არა სხვა პირებისგან. სრულად ამოიყიდა ზოგადად ისლამზე ან მისი წარმოშობის, ისტორიის, კულტურისა თუ ცივილიზაციის კონკრეტულ ასპექტებზე არსებული წიგნები და სტატიები და საჯარო ბიბლიოთეკებს დამატებითი ეგზემპლარების შეკვეთა მოუწიათ, რათა დაინტერესებული მკითხველები მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ. ცხადია, რომ ასეთმა ფენომენალურმა ინტერესმა გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია. ზოგი გულუბრყვილო ინდივიდი ფიქრობდა, რომ აღნიშნული ამ ადამიანების ისლამზე მოქცევის ან ალტერნატიული რწმენის ძების სურვილით იყო განპირობებული. თუმცა, ეს მხოლოდ უვიცობასთან დაპირის-პირების მცდელობა და სწავლის დაუძლეველი სურვილი იყო.

უამრავმა ეკლესიამ, უნივერსიტეტმა და სამეცნიერო თუ სასწავლო ინსტიტუტმა დაიწყო იმამების, პროფესორებისა და ლექტორების მოწვევა, რათა ამ უკანასკნელთ ისლამზე ესაუბრათ და მისი პრინციპები, წყაროები და სხვა რელიგიებთან მისი დამოკიდებულება აეხსნათ, ისევე, როგორც მისი გავლენა მის მიმდევრებზე. ამასთან, სპიკერებს არაერთი ამერიკელის მიერ ისლამის შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაც ევალებოდათ, განსაკუთრებით იმ კითხვებზე, რომელიც აქტიურად განიხილებოდა მედიაში, კერძოდ, ისლამურ რწმენასა და ექსტრემიზმს შორის კავშირის თაობაზე. ადამიანებს სურთ გაიგონ, ასწავლიდა თუ არა შუამავალი მუჰამმადი (ს.ა.ს)<sup>7</sup> თავის მიმდევრებს, რომ ისინი ექსტრემისტები უნდა ყოფილიყვნენ და დაავალა თუ არა საკუ-

თარ მიმდევრებს მათი მოწინააღმდეგეების ან იმ ადამიანების მოკვლა, რომელთაც ისლამის არ სწამდათ. რა არის ადამიანის თავისუფლების ისლამური ხედვა? გამორიცხავს თუ არა ისლამი რელიგიის თავისუფლებას. ზოგი ადამიანი ყურანიდან ამონარიდებს ციტირებს, როგორიცაა მაგალითად, ათ-თავბა-ს მე-5 აია ან სურა ალბაკარას 191-194-ე აიები, რომელიც მათ ან კონტექსტიდან ამოგლეჯილად წაიკითხეს ან არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინეს. მსგავსმა მცდარმა შეხედულებებმა, შესაძლოა, ადამიანებს აფიქრებინოს, რომ ისლამი ომის რელიგიაა, რომელიც მუდმივად ქადაგებს ბრძოლას,\*\* ომს და იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას სხვა ხალხების ისლამზე მოსაქცევად, ასევე მოუწოდებს დახოცონ ისინი ან აიძულებს გადაიხადონ თანხა დაცვის სანაცვლოდ. ზოგმა, ისლამის, როგორც ომის რელიგიის მტკიცებულებად შუამავლის ბრძოლებიც კი მოიშველია მისი მტრების წინააღმდეგ.

ეს ყველაფერიც არ აღმოჩნდა საკმარისი ისლამის ცილისმწამებლებისთვის. ბევრი მათგანი მიუბრუნდა არსებულ ნაშრომებს ფიკრსა თუ სხვა ისლამურ მეცნიერებების სფეროში, რათა შემთხვევითობის პრინციპით ამო-

\*\* იხილეთ, დოქტორი ტაჟა ჯაბირ ალალვანის გამოსაცემად გამზადებული წიგნი, განდგომილება ისლამში: ისტორიული და წმინდა წერილისეული ანალიზი (2010). ალნიშნული ნაშრომი დეტალურად შეისწავლის სიკვდილით დასჯის მომხრეების არგუმენტებს და ამტკიცებს, რომ არც ყურანი და არც სურა არ უჭერს მხარს სიკვდილით დასჯას რიდდას ცოდვისთვის, უფრო მეტიც, ის იცავს რელიგიის თავისუფლებას, რომელიც რწმენისგან განყენების (რწმენის უარყოფის) უფლებასაც მოიცავს. შესაბამისად, თუკი განდგომას სხვა რაიმე დანაშაულებრივი ქმედება არ ახლავს, ეს მკაცრად ლერთსა და ინდივიდს შორის დასარეგულირებელი საკითხია. [რედაქტორები]

ეკრიფა ამონარიდები, ტერმინები და განცხადებები აღნიშნულის შესახებ აზრი ეკითხა მუსლიმი იმამებისა და ჩვეულებრივი მუსლიმებისათვის. თუმცა, გამოკითხულთა უმეტესობას ისლამის მხოლოდ ელემენტარული ცოდნა ჰქონდა, შესაბამისად, ისინი ამ განცხადებებისთვის ბოდიშის მოხდისკენ იყვნენ მიდრეკილნი და მათ სიძველისა და არარელევანტურობის მოტივით უარყოფდნენ. ისინი არასრულფასოვნების პარადოქსულ გრძნობებს ემორჩილებოდნენ. თუმცა, ეს მცდარი შეხედულებები, გაუგებრობები და რიგი სტერეოტიპები კვლავ იზრდება. ქვემოთ რამდენიმე მათგანია მოცემული:

- ისლამი სამყაროს „ისლამის მიწად“ და „ომის მიწად“ ყოფს. ნუთუ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუსლიმები დანარჩენ სამყაროსთან მუდმივად ომის მდგომარეობაში არიან? ნუთუ ეს მუსლიმებს ნებისმიერი სხვა რელიგიის მიმდევრებთან ბრძოლის უფლებას არ აძლევს, როდესაც ისინი ამას მოისურვებენ ან როდესაც საკმარისად მომძლავრდებიან, რათა სხვებს ომი გამოუცხადონ? იყო თუ არა 11 სექტემბრის მოვლენები მუსლიმთა იმ რწმენის შედეგი, რომ ამერიკელებიც ურწმუნოები არიან, ხოლო მათი ქვეყანა „ომის მიწაა“?
- რა შეიძლება ითქვას ჯიზიდა-ს (სულადობრივი გადასახადი) შესახებ, რომელზეც მუსლიმები ამტკიცებენ, რომ ებრაელები და ქრისტიანები დამცრობის ნიშნად იხდიან. ეს დამამცირებელი გადასახადია, რომელიც ადამიანების უფლებებსა და იმ

რწმენის არჩევის თავისუფლებას ხელყოფს, რომ-  
ლისაც ადამიანს სჯერა?

- რა შეიძლება ითქვას იმ მუსლიმების ისლამზე მო-  
საქცევად სიკვდილის დასჯის შიშით იძულებასა და  
ძალდატანებაზე, რომლებმაც სხვა რელიგია აირჩი-  
ეს? ნუთუ ეს იმ სახის იძულება არაა, რომელიც  
თქვენი რწმენით უარყოფილია?
- რა შეიძლება ითქვას ქალთა უფლებებზე, რომელ-  
თაც მუსლიმები გონიერივად ჩამორჩენილებად და  
ნაკლებად მყარი რელიგიური რწმენის მქონებად  
მიიჩნევენ? ქალის მოწმეობა, თქვენი რწმენის თა-  
ნახმად, მამაკაცის მოწმეობის მხოლოდ ნახევარს  
უტოლდება. რას იტყვით ქალების სახლში გამო-  
კეტვის უფლებაზე და მამაკაცების უფლებაზე,  
რომ მათ შეუძლიათ ოთხი ცოლი ჰყავდეთ, მაშინ  
როცა ქალს მხოლოდ ერთი ქმრის ყოლის უფლება  
აქვს, რომელსაც უნდა ემსახუროს და დაემორჩი-  
ლოს? ქალს არ შეუძლია, არ დაემორჩილოს მისი  
მეუღლის სურვილებს ან დაარღვიოს ქორწინება,  
ვინაიდან მხოლოდ კაცს აქვს განქორწინების უფ-  
ლება. რას იტყვით ჰიჯაბზე? ნუთუ მისი ტარების  
ვალდებულების მხოლოდ ქალებზე დაწესება მათი  
დამცირების ერთგვარი ფორმა არაა და მათდამი

ნდობის დაკარგვას არ იწვევს? ნუთუ ეს იმ აზრს არ ამყარებს, რომ ქალი მხოლოდ მეორეხარისხოვანი მოქალაქეა, რომელიც მხოლოდ მამაკაცის სექსუალური მოთხოვნილებების დასაცმაყოფილებლად, მისი შვილების გასაჩენად და აღსაზრდელად და მისი სახლის მოსავლელად არსებობს? მიუხედავად ყველაფრისა კი კვლავ მამაკაცი ითვლება მასზე აღმატებულ არსებად და სწორედ მასზეა ბოლო სიტყვა განქორწინდება თუ არა ქალთან. უფრო მეტიც, ქალის წილი მემკვიდრეობაში მამაკაცის წილის მხოლოდ ნახევარს უტოლდება. რას იტყვით ქალების ცემასა და ჩაგვრაზე, როდესაც ისინი საკუთარ ქმრებს არ ემორჩილებიან?<sup>8</sup>

- რას იტყვით ქურდისთვის ხელის მოჭრაზე, ცოლქმრული ღალატისთვის ქვებით ჩაქოლვაზე და პომოსექსუალების სიკვდილით დასჯაზე ისეთი სასტიკი და საძაგელი მეთოდებით, როგორიცაა მათი დაწვა ან მაღალი სიმაღლიდან გადაგდება?
- რატომ არის სასტიკი დიქტატურა, ადამიანთა უფლებების დარღვევა, ავადმყოფობა, რეგრესი, ცრურნები და ექსტრემიზმი ასე ფართოდ გავრცელებული თქვენს ქვეყნებში? რატომ დასრულდა წარუმატებლად თქვენს ქვეყნებში განვითარებისა და მოდერნიზაციის ყველა მცდელობა? ნუთუ

ისლამი არ უნდა იქნეს მიჩნეული რეგრესის მთავარ მიზეზად, ისევე, როგორც ქრისტიანობა იყო ჩვენი პროგრესის მთავარი მიზეზი, როდესაც ის სწორად გამოვიყენეთ? რატომ დამარცხდით დემოკრატის მშენებლობის პროცესში? ნუთუ ეს იმის მტკიცებულებად არ გამოდგება, რომ ისლამის მოძღვრება ჩაგვრას, დიქტატურას, კლასობრივ განსხვავებებს და სხვა მსგავს მანკიერ პრაქტიკას ახალისებს?

- რატომ გასწავლით ისლამი, რომ თვითმკვლელობა პალესტინასა და ნიუ-იორქში მოქალაქეების დახოცვის მიზნით სამოთხეში მოგახვედრებთ?

მსგავს მცდარ მოსაზრებებს, კითხვებს, განსახილველ საკითხებსა და სტერეოტიპებს გონიერით უნდა მივუდგეთ და მათზე სწორი რეაგირება უნდა მოვახდინოთ. მათი უგულებელყოფა ან ხალიჩის ქვეშ ჩამალვა აღარ შეიძლება.

## სამართლებრივი და რელიგიური ჩარჩო

### განმარტებები

#### **ფიკჰი**

ტერმინ ფიკჰის, ისლამური იურისპრუდენციის, იმ ფორმით გამოყენება, რომელიც დღეს მას აქვს, არც ისე მიღებული პრაქტიკა იყო ადრეული ისლამის პერიოდში. ტერმინი, რომელიც გაცილებით ხშირად გამოიყენებოდა - ფაჰმი, ან წინასწარ განსაზღვრული მიზნისა და ღმერთის ბრძანების სიბრძნის „ადქმა“ იყო. უფრო რთულ საკითხებში, რომელიც სილრმისეულ გამოკვლევას მოითხოვდა, ადამიანების ნაწილი ტერმინ ფიკჰს ან „გაგებას“ იყენებდა. ალ-მუკადდიმა-ში, იბნ ხალდუნი ამბობს:

ფიკჰი ღმერთის კანონების ცოდნაა, აჭქან, რომელიც ზრდასრულების ქცევასა და ქმედებებს ეხება, იქნება ეს სავალდებულო, აკრძალული, რეკომენდებული, გასაკიცხი თუ დასაშვები. ეს კანონები ყურანიდან და სუნადანაა აღებული, ისევე, როგორც იმ მეთოდებიდან, რომელიც ღმერთმა ამ კანონების დადგენისთვის ჩამოაყალიბა. სწორედ ამ მეთოდების გამოყენებით ნორმების ფორმულირება მიიჩნევა ფიკჰი.<sup>9</sup>

ტერმინი ფუკაპტ', ანუ იურისტები და ფიკტის სპეციალისტები, ასევე არ გამოიყენებოდა წარსულში. იმისთვის, რომ შუამავლის მიმდევრები, რომლებმაც საკუთარი თავი რელიგიური ნორმების შესწავლასა და განმარტებას დაუთმეს, მათი არამეცნიერი ან გაუნათლებელი თანამედროვეებისგან განესხვავებინათ, მათ „სტუდენტებს“ ან „მკითხველებს“ უწოდებდნენ. იბნ ხალდუნი ამბობს:

შემდეგ ისლამის მიწები გაფართოვდა, ხოლო გაუნათლებლობა არაბებს შორის განათლების გავრცელების შედეგად შემცირდა. დედუქციის პრაქტიკა გამყარდა, ფიკტი განვითარდა და გადაიქცა პროფესიად და მეცნიერებად. შესაბამისად, „მკითხველები“ და „სტუდენტები“ გახდნენ იურისტები ანუ ფუკაპტ':<sup>10</sup>

### უმცირესობები

ტერმინი „უმცირესობები“ პოლიტიკური შინაარსის მატარებელია, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო კონვენციაში იქნა განმტკიცებული. ის სახელმწიფო სუბიექტების კონკრეტული რასობრივი, ენობრივი ან რელიგიური კუთვნილების ჯგუფს ან ჯგუფებს მიესადაგება, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობისგან განსხვავდებიან.

უმცირესობათა მოთხოვნები ხშირად ისეთ მოთხოვნებს აერთიანებს, როგორიცაა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების თანასწორობა, განსხვავებულად

ყოფნის უფლებისა და რელიგიის, ღირებულებებისა და პერსონალური სტატუსის გამორჩეულობის აღიარება, რომელიც არ არღვევს იმ საერთო ჩარჩოს, რომელსაც ისინი საზოგადოების დანარჩენ ნაწილთან იზიარებენ. უმცირესობებს შორის ხშირად ჩნდებიან ლიდერები, რათა მათი ჯგუფის განსაკუთრებული მახასიათებლები და მისწრაფებების ფორმულირება შემდეგი სახით მოეხდინათ და გამოეხატათ:

- უმცირესობათა ჯგუფების განათლება, მათთვის მათივე ისტორიისა და წარმომავლობის სწავლების ფორმით, ისევე, როგორც მათი ეთნიკური მახასიათებლებისა და მიზეზის განსაზღვრა, რათა ისეთ კითხვებს გაეცეს პასუხი, როგორიცაა: „ვინ ვართ ჩვენ?“ და „რა გვსურს ჩვენ?“
- უმცირესობის წევრებს შორის კავშირების დამყარება.
- განათლებული ელიტის წახალისება, რათა მათ უმცირესობათა განსაკუთრებული და გამორჩეული კულტურისა და ტრადიციების წარმოჩენა მოახდინონ.
- ინიციატივების ჩამოყალიბება და წახალისება საარსებო საშუალებებისა და სოციალური დახმარების უზრუნველსაყოფად უმცირესობების წევრებისათვის, ებრაული უმცირესობების წარმატებული მაგალითის გათვალისწინებით.

### ა. „ფიკჰი უმცირესობებისთვის“

თემის „ფიკჰი უმცირესობებისთვის“ განხილვისას რამდენიმე კითხვა იჩენს თავს, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს:

- რომელი დისციპლინას უნდა მივაკუთვნოთ ფიკჰი?
- სოციალური მეცნიერებების რომელ დარგებ-თანაა დაკავშირებული ფიკჰი და რამდენად ურთიერთქმედებს ის სხვა დისციპლინებთან?
- როგორ დაერქვა მას „ფიკჰი უმცირესობების-თვის“ და რამდენად სწორია აღნიშნული ტერ-მინოლოგია.
- რა სახის მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც საკითხი იმ მუსლიმების დიდ ჯგუფს ეხება, რომლებიც მათი გეოგრაფიული და ისტორიული ისლამური ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ?

„ფიკჰი უმცირესობებისთვის“ ვერ მოექცევა „ფიკ-ჰის“ კატეგორიის ქვეშ იმ გაებით, რა მნიშვნელობაც მას დღეს აქვს შეძენილი, კერძოდ, უმნიშვნელო საკითხების ფიკჰი. ის ზოგადად ფიკჰის მეცნიერების ქვეშ უნდა მოექცეს, რომელიც ისლამური სამართლისა და იურისპრუდენციის ყველა თეოლოგიურ და პრაქტიკულ ასპექტს ფარავს. აღნიშნული განმარტება „ფიკჰის“ იმ მნიშვნელობასთან იქნება შესაბამისობაში, რომელსაც შუამავალი იყენებს ჰადისში: „მას, ვისაც ღმერთი სიკეთეს უსურვებს, ეხმარება მას რელიგიის ფორმულირება-

ში.“<sup>11</sup> იმამი აბე ჭანიფა ამ ცოდნას „დიდ ფიკჲს,“ ან „მაკრო-ფიკჲს“ უწოდებდა. სწორედ ეს ფრაზა შეარჩია მან ამ საკითხისადმი მიძლვნილი თავისი დიდებული ნაშრომის სათაურად.

სწორედ ამ მიზეზით ვფიქრობთ, რომ გაცილებით შესაფერისი იქნება „ფიკჲი უმცირესობებისთვის“ მივაკუთვნოთ კატეგორიას მაკრო ფიკჲი ან ზოგად კატეგორიას, რათა თავიდან ავიცილოთ სამართლებრივი ვაკუუმი ან ვაკუუმი ფიკჲის სფეროში.

„ფიკჲი უმცირესობებისთვის“ სპეციფიკური დის-ციპლინაა, რომელიც მხედველობაში იღებს, ერთი მხრივ, რელიგიურ დადგენილებას, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების პირობებსა და იმ ადგილმდებარეობას შორის ურთიერთობას, რომელშიც ის არსებობს. ეს ფიკჲი ადამიანების კონკრეტულ ჯგუფს მიემართება, რომლებიც კონკრეტულ პირობებში ცხოვრობენ და სპეციფიკური საჭიროებები აქვთ, რაც შესაძლოა სულაც არ იყოს რელევანტური სხვა საზოგადოებებისთვის. რელიგიური ცოდნის პარალელურად, ფიკჲის სპეციალისტები სოციალური მეცნიერების სხვადასხვა დარგებსაც კარგად უნდა იცნობდნენ, განსაკუთრებით, სოციოლოგიას, ეკონომიკას, პოლიტოლოგიასა და საერთაშორისო ურთიერთობებს.

შესაბამისად, ტერმინი „ფიკჲი უმცირესობებისთვის“ ზუსტი განმარტებაა, რომელიც მისაღებია როგორც რელიგიური, ასევე ტრადიციული თვალსაზრისით. ეს არ ნიშნავს უმცირესობებისთვის ისეთი პრივილეგიების ან შეღავათების მინიჭებას, რომელიც მუსლიმი უმ-

რავლესობისთვის არაა ხელმისაწვდომი. პირიქით, ის უმცირესობების წარმომადგენლობით მოდელად ან ის-ლამური საზოგადოების მაგალითებად წარმოჩენას ისახავს მიზნად იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ცხოვრობენ. ეს სამაგალითო საზოგადოებების, ელიტის საკმაოდ მკაცრი ფიკჰია და არა არასერიოზული და ზედაპირული მიდგომა. ამ ფიკჰის ნორმებსა და საფუძვლებზე დაყრდნობით, გარკვეული პარამეტრების იდენტიფიცირება მოხდა, რომელთაც უმცირესობის წევრებისგან წამოსულ კითხვებზე რეაგირებისთვის მეთოდის განსაზღვრა შეუძლიათ. ამ პარამეტრების მთავარ მახასიათებლებს ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით.

### კითხვის ხელახლა განსაზღვრა

როდესაც საკითხი უმცირესობებს ეხება, ფიკჰის თანამედროვე პრაქტიკოსს ან მუფთის კარგად უნდა ეს-მოდეს, რომ მას ისეთ სიტუაციასთან უწევს შეხება, რომელიც სცდება მარტივ ვითარებას, როდესაც მკვლევარს არ შეუძლია ისლამური გადაწყვეტილების მიღება იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რომელსაც ის ანყდება და როდესაც მეცნიერი თავის ერთადერთ დანიშნულებად ფათვის გაცემას მიიჩნევს. ეს უაღრესად არასამეცნიერო მიდგომაა, რომელიც იმ ეპოქიდან იქნა მემკვიდრეობით მიღებული, რომელშიც დამკვიდრებული დოქტრინის (თაკლიდ) მიღებასა და მის დაცვას ხელი შეუწყეს საზოგადოების გაუნათლებელმა წევრებმა, რო-

მელთათვისაც გაცილებით მარტივი იყო მათი მასწავლებლებისა და წინამორბედების მიბაძვა.

დღესდღეობით საჭიროა გაცილებით უფრო ლოგიკური და სამეცნიერო მიდგომა, რომელიც ჩაუღრმავდება თავად კითხვის წინაისტორიას, ასევე კითხვის დამსმელის პიროვნებას და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ თანმხლებ სოციალურ ფაქტორებს, რის გამოც ეს კითხვა წამოიჭრა. არის კი ფორმა, რომლითაც საკითხი იქნა ფორმულირებული, მისაღები თუ მისი მოდიფიცირება და ფიკრის ისეთ საკითხად წარმოჩენაა საჭირო, რომელიც ყოვლისმომცველ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული და რომელსაც შარიათის ნორმები, ყურანის სახელმძღვანელო პრინციპები, მაღალი ღირებულებები და ისლამის სამართლის არსებითი ამოცანები მოჰყავს მოქმედებაში?

შესაძლოა, უფრო მეტად დავაფასოთ ყურანის რჩევა, რომლის თანახმადაც არ უნდა დავსვათ ისეთი შეკითხვები, რომლებზეც პასუხების გაცემამ შესაძლოა სერიოზული სოციალური პრობლემები გამოიწვიოს, ვინაიდან ეს შეკითხვები წარმოიშობა იმ ნეგატიური ფაქტორების შედეგად, რომლებიც კიდევ უფრო გაძლიერდება, თუკი ამ კითხვებს პასუხი გაეცემა. ყურანმა კი ის მეთოდური მიდგომა შემოგვთავაზა, რომლის დახმარებითაც ხდება კითხვების პერეფორმულირება მანამ, სანამ საბოლოოდ არ გაეცემა პასუხი. მაგალითად: „გეკითხებიან შენ ახალმთვარეობის შესახებ. უპასუხე: „ახალი მთვარე არის საშუალება, რომელსაც ადამიანები იყენებენ დროის გასაზომად და პილიგრიმობისათვის

(სურა ალ-ბაკარა: 189). კითხვა, რომელიც თავდაპირველად მედინის ებრაელების მიერ დაისვა, ეხებოდა მთვარის ფაზების ფიზიკურ ასპექტებს და ამ მოვლენის მიზეზებს. თუმცა, ყურანში ის იმგვარად იქნა პერეფორმულირებული, რომ ეხებოდა მთვარის ფუნქციებს და მის ხილვად ზომებსა და ორბიტას გარკვეულ ინფორმაციასთან აკავშირებდა, კერძოდ, დროსთან და თარიღებთან, რომელსაც კაცობრიობა მუდმივად ეძიებს.

ამ შემთხვევაში კითხვა გადაიქცევა საგანმანათლებლო პროცესად, რომელსაც სხვადასხვა საფეხური გააჩნია. პირველ რიგში, ადამიანებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ უნდა მოახდინონ კითხვების სწორად ფორმულირება, რათა სათანადო და სწორი პასუხები მიიღონ. შემდეგ ეტაპზე იმ ელემენტების გამოყოფა უნდა მოხდეს, რომელიც კითხვის ფორმირებას ახდენს და იმ ელემენტებისგან თავის არიდება, რომელიც კითხვის დამსმელის გონიერებაშია დამალული და რომელთა იგნორირება ან უგულებელყოფაც შესაძლებელია. კითხვის დამსმელებს ხშირად განსხვავებული მიზნები აქვთ და მანამ, სანამ ადრესატს ამ ფაქტის შესახებ არ ეცოდინება, შესაძლოა ამ გარემოებამ ძალიან მარტივად უბიძგოს მცდარი პასუხის გაცემისკენ. კითხვები სხვადასხვა მიზეზით ჩნდება: არსებობს კითხვები, რომლებიც ცოდნის ან ინფორმაციის მიღებას ემსახურება; არსებობს კონსტრუქციული კითხვები, რიტორიკული კითხვები; პროვოკაციული კითხვები, რომელიც გარკვეულ მტკიცებას უარყოფს ან ეწინააღმდეგება მას; დამაფიქრებელი კითხვები, რომელიც რესპონდენტის უმეცრების ხაზგასმას

ისახავს მიზნად და ა.შ. მესამე, შესაფერისი პასუხის მისაღებად კითხვის დამსმელის მომზადებაც უნდა მოხდეს. ეს მიდგომა რეალიზდება შემთხვევების უმრავლესობაში, როდესაც ყურანში პირდაპირი კითხვები იჩენს თავს (სურა ალ-ისრა': 85, ალ-ქაჰფ: 83 და ა.შ.). კითხვების დასმას თავისი წესები აქვს, რომლებიც როგორც კითხვის დამსმელმა, ასევე რესპონდენტმა უნდა დაიცვას.

შესაბამისად, მარტივი მისახვედრია შუამავლის გაღიზიანება ფუჭი საუბრებითა და იმ ფაქტით, რომ ადამიანები ზედმეტად ბევრ ან არასწორად ფორმულირებულ კითხვებს სვამენ, რომელთაც მცდარ გადაწყვეტილებამდე ან მოსაზრებებამდე მივყავართ.

ამგვარად ადამიანმა შესაძლოა იკითხოს: შეუძლიათ თუ არა მუსლიმ უმცირესობებს იმ მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, რომელშიც არამუსლიმები წარმოადგენენ უმრავლესობას და სადაც პოლიტიკური სისტემა არაისლამურია? განათლებული იურისტი, რომელიც პატივს სცემს ისლამის უნივერსალურობას, მუსლიმი საზოგადოების როლს მსოფლიოში და თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის საჭირო ურთიერთქმედებას, უარს იტყვის ამ სახით ფორმულირებულ კითხვაზე პასუხის გაცემაზე. ის ჩამოაყალიბებდა ამ კითხვას არა ნეგატიური, არამედ პოზიტიური კუთხით, ისლამის უნივერსალური მიზნებისა და როგორც რწმენის, ასევე ისლამური საზოგადოების უნიკალური მახასიათებლების ცოდნაზე დაყრდნობით. ხელახ-

ლა ფორმულირებული და რესტრუქტურირებული კითხვა კი შემდეგნაირად უღერს: რა აზრისაა ისლამი მუსლიმთა იმ ჯგუფის შესახებ, რომლებიც არაისლამურ უმრავლესობაში ცხოვრობენ და რომლის სახელმწიფო მმართველობის სისტემა ნებას რთავს მათ, აღიარონ და შეასრულონ ყველა ის ისლამური ვალდებულება, რომელიც არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებრივ წესრიგს? გარდა ამისა, სისტემა ისლამური უმცირესობის წევრებს სახელმწიფო თანამდებობების დაკავების, პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის, ხელმძღვანელი პოზიციების დაკავებისა და სასარგებლო სოციალური ინსტიტუტების დაარსების უფლებასაც აძლევს. უნდა თქვას თუ არა უმცირესობამ უარი ამ უფლებებსა და შესაძლებლობებზე არაისლამურ უმრავლესობაში ასიმილაციის ან მათი მხრიდან ზეგავლენის მოხდენის შიშით?

როდესაც კითხვა ამ ფორმით არის დასმული, ის საწყისი კითხვის არსებაც ინარჩუნებს და ამასთანავე პასუხისმგებლობის გრძნობასაც ასახავს, რაც პასუხს უფრო კონსტრუქციულ ჩარჩოში აქცევს. ნეგატიური სიტუაციის გასამართლებლად მიზეზების ძიების ნაცვლად კი, დისკუსია ვალდებულებების, პოზიტიური ქმედებებისა და კონსტრუქციული როლების განსაზღვრის სახეს იღებს.

**იჯთიპადის სპეციალისტის აუცილებლობა  
„ფიკჲი უმცირესობებისთვის“ ფორმულირებისთვის**

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, მუსლი-  
მები დასახლდნენ მრავალ ქვეყანაში, რომლებიც მდება-  
რობს ისლამური სამყაროს ისტორიულ და გეოგრაფი-  
ულ საზღვრებს მიღმა. ამ ქვეყნებში, რომლებშიც ისლა-  
მის გავრცელების ზრდა აღინიშნებოდა, მუსლიმებს  
ახალ სიტუაციებთან გამკლავება უწევდათ, რომლებიც,  
თავის მხრივ, არაერთ მნიშვნელოვან საკითხს წამოჭრი-  
და, რომელიც ვიწრო პიროვნულ საკითხებს სცდებოდა,  
როგორიცაა მაგალითად საკვები, ახალმთვარეობაზე  
დაკვირვება ან ქორწინება არამუსლიმ ქალებზე. დღეს-  
დღეობით დისკუსიამ გადაინაცვლა უფრო სერიოზულ  
და ღრმა საკითხებზე, რომლებიც ეხება მულიმთა თვით-  
გამორკვევას, მუსლიმთა როლს ახალ სამშობლოში, მათ  
ურთიერთობას მსოფლიო მუსლიმურ თემთან, ისლამის  
მომავალს მისი ახლანდელი საზღვრების მიღმა და მისი  
უნივერსალობის მიღწევის გზებს მსოფლიოს ყველა  
კუთხეში.

ზოგი ადამიანი, შესაძლოა, ამ საკითხების ისე წარ-  
მოჩენასა და დანახვას ცდილობდა, თითქოს ისინი აუცი-  
ლებლობით იყო განპირობებული ან განსაკუთრებული  
გარემოებების შედეგს წარმოადგენდა, თუმცა ის ავიწ-  
ყდებოდა, რომ ეს მიდგომა უსაზღვროდ ვიწრო და შეზ-  
ღუდულია. ის ვერ შეძლებს იმ პრობლემების მოგვარე-  
ბას, რომელიც ძლიერი უმცირესობის შექმნასთანაა და-  
კავშირებული. გარდა ამისა, მას მუსლიმთა ფსიქიკისა

და ზოგადად ხასიათისთვის საზიანო გავლენა აქვს. ცხა-დია, სულაც არაა გასაკვირი, რომ მუსლიმები საოცრად დაბნეულები არიან. ისინი იურისტებს შორის განსხვავებულ მოსაზრებებს აწყდებიან: ზოგი - სიმკაცრის სხვა-დასხვა ხარისხით - ისლამურ და არაისლამურ საზოგა-დოებებში ცხოვრების განსხვავებებზე საუბრობდა (ე.ნ. დარ ალ-ისლამ და დარ ალ-ჭარბ) ხოლო დანარჩენები აწ-მყოს წარსულს ადარებდნენ და იმ უზარმაზარ სოცია-ლურ და ისტორიულ ცვლილებებს უგულებელყოფნენ, რომელსაც ამ პერიოდის განმავლობაში ჰქონდა ადგილი. ამ დაბნეულობამ და არეულობამ მუსლიმებს იზოლაცი-ისკენ უბიძგა და მათი წვლილიც გარკვეულწილად შეზ-ღუდა. აღნიშნულმა ძირი გამოუთხარა მუსლიმთა ცხოვ-რებას და შეაფერხა მათი განვითარება. ამის გარდა, ამან ისლამური რწმენა უუნაროდ წარმოაჩინა ეპოქის მნიშვნელოვან გამოწვევებთან ბრძოლისა და ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის პროცესში, როგო-რიცაა, პროგრესი და განვითარება.

მუსლიმი უმცირესობების პრობლემების მოგვარება მხოლოდ ახალი სამართლებრივი კონცეფციითაა შესაძლებელი, რომელიც ყურანის პრინციპებზე, მიზნებზე და უმაღლეს ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული და შა-რიათის მიზნებთან იქნება თანხვედრაში. შუამავლისგან მაგალითის აღება და მისი მიბაძვისთვის საჭირო მეთო-დოლოგიის გამოყენება აუცილებელია, რათა მისი გზა უფრო ცხადი და ხელმისაწვდომი გავხადოთ ყველას-თვის ნებისმიერ დროს.

## რისი სწავლა შეიძლება მემკვიდრეობით მიღებული ფიკტისგან?

თეორიულ ფიკტში მრავალფეროვანი და ღირებული ნაშრომები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია და ეხება მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის ურთიერთობებს, მისივე დროისა და სივრცის შემადგენებული განსხვავებულ სიტუაციებში. მისი განხილვა მხოლოდ პრეცენდენტის სახით შეგვიძლია, რომელიც უნდა გამოვიკვლიოთ, ჩავინიშნოთ და შევისწავლოთ, რათა იმ პრინციპების გამიჯვნა შევძლოთ, რომელზეც ისაა დაფუძნებული და რომლითაც ჩვენი წინაპრები ხელმძღვანელობდნენ მისი შექმნისას. ეს მდიდარი მემკვიდრეობა სამართლის დარგში თანამედროვე იურისტებისთვის ერთგვარ ღირებულებას წარმოადგენს, ვინაიდან ის მათ იმ უნარებისა და მეთოდების შეძენის შესაძლებლობას აძლევს, რომელიც დროის საჭიროებებს პასუხობს. მიზანი ძველი ფათვების პირდაპირ გადმოტანა და შეუცვლელად გამოყენება კი არ უნდა იყოს, არამედ მათი სახელმძღვანელოს სახით გამოყენება და იმის გარკვევა, თუ როგორ უნდა მივიდეთ საწყის პრინციპებამდე, „ფესვებამდე“ან უცულ, რომლისგანაც ადრეული იურისტები ამ ფათვებს აყალიბებდნენ და იღებდნენ.

ჩვენმა პირველმა იურისტებმა ერთი ოქროს წესი დაგვიტოვეს, რომელიც შემდეგნაირად უღერს: გადაწყვეტილებების შეცვლა, გამოწვეული დროის ცვლილებით, არ უნდა განისაჯოს. არაერთი იურისტი, როგორიც

იყვნენ იმამ აშ-შაფი' ო სხვები, საკმაოდ მოქნილები იყვნენ გარკვეულ გადაწყვეტილებებთან და აზრებთან მიმართებით, ცვლილნენ მათ კონკრეტული სიტუაციის ან გარკვეული მიზეზის გათვალისწინებით, რომელიც მათ მიერ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადასვლისას იჩენდა თავს, ან როდესაც კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებული გარემოებები იცვლებოდა ან იმიტომ, რომ უბრალოდ დრო იცვლებოდა. რამდენიმე წამყვანი იურისტი აღნიშნავდა, რომ უთანხმოება მათივე მასწავლებლებთან გარკვეულ საკითხებზე მხოლოდ და მხოლოდ „დროისა და ვითარების ცვლილებით იყო ნაკარნახევი და განპირობებული და არა ახალი მტკიცებულებებით ან მსჯელობით.“

შუამავალმა მაშინაც კარგი მაგალითი გვიჩვენა, როდესაც თავდაპირველად გვირჩია, რომ არ მოგვენახულებინა სასაფლაოები, ხოლო მოგვიანებით კი ნება დაგვრთო შემდეგი სიტყვებით: „იარეთ სასაფლაოზე, ვინაიდან ეს ადგილი თქვენ საიქაო ცხოვრებას გაგახსენებთ“<sup>12</sup> მსგავსი მოქნილობა გამოიყენა შუამავალმა ხორცის შენახვასთან და ბევრ მსგავს საკითხთან მიმართებით.<sup>13</sup>

შუამავლის მიმდევრებიც იმავე მიდგომას იყენებდნენ და არასდროს ეთაკილებოდათ მათი შეხედულებებისა და გადაწყვეტილებების შეცვლა ან განახლება, როდესაც ამის მიზეზს ან გამართლებას პოულობდნენ დროისა და სივრცის ცვლილებების გათვალისწინებით. შუამავლის ოთხი მემკვიდრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მის სიცოცხლეში მიღებული გადაწყვეტილე-

ბების როგორც წვრილმან, ასევე საკმაოდ მნიშვნელოვან ცვლილებებსაც მოიცავდა, ხოლო ზოგიერთი მათგანი, სრულიად ახალი იყო (რამდენიმე მაგალითისთვის იხილეთ, 14 სქოლიო).<sup>14</sup>

მეორე თაობის მუსლიმებმაც იგივე პრაქტიკა გაატარეს, კერძოდ გარკვეულ საკითხებზე საკუთარ გადაწყვეტილებებში მათ წინაპრების გზიდან გადაუხვიეს. (რამდენიმე მაგალითისთვის, იხილეთ მე-15 სქოლიო).<sup>15</sup>

შუამავლის თანამედროვეებისა და მათი მიმდევრების მიერ განხორციელებული ქმედებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესწავლა ნათლად გვიჩვენებს, რომ ისინი ძალიან კარგად ხედავდნენ შარიათის მიზანს, სიბრძნეს, მიზეზებსა და შედეგებს. ყველა რელიგიური ტექსტის შესწავლა, განმარტება, გააზრება და გამოყენება უნდა მოხდეს შარიათის მიზნებისა და ამოცანების და იმ სიბრძნის გათვალისწინებით, რაც მის საფუძველშია. იურისტების მიერ მხოლოდ ლინგვისტურ ან სიტყვასიტყვით ინტერპრეტაციაზე აპელირება, არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისგან, მანამ, სანამ შარიათის საბოლოო ამოცანები არ იქნება შესრულებული. მკაცრ და დოგმატურ დამოკიდებულებას, შეხედულებებსა და სემანტიკას მხოლოდ ისეთ ფიკჰამდე შეუძლია მიგვიყვანოს, როგორიც ისრაილის ძეთა ფიკჰი იყო სამსხვერპლო ძროხაზე შუამავალ მოსესთან კამათისას, (ა.ს.)<sup>16</sup>, რაც ყურანშიც მოცემულია (სურა ალ-ბაკარა: 67-71). ჩვენი წინა თაობებისგან მემკვიდრეობით მიღებული შეზღუდული ფიკჰის ფარგლებს გარეთ გასვლის საჭიროება კვლავ მწვავედ დგას ჩვენს წინაშე რიგი მიზეზე-

ბის გამო, რომელთაგან ზოგიერთი მეთოდოლოგიას ეხება, ხოლო ზოგი - ისლამური შარიათის საბოლოო მიზნებს (მაკატიდ).

### **ახალი მეთოდოლოგიის მიზეზები**

1. ადრეული პერიოდის ზოგიერთმა იურისტმა ისლამური სამართლის წყაროების ზუსტი კლასიფიცირება არ მოახდინა, რაც დღესდღეობით არსებული პრობლემების გადაჭრის გზების მოფიქრების შესაძლებლობას გააჩენდა და აღნიშნულ პროცესს ხელს შეუწყობდა. კლასიფიკაციის ამგვარი სისტემის თანახმად, ყურანი იქნებოდა ყველა კანონმდებლობის უმაღლესი და პრიორიტეტული წყარო, აბსოლუტური კრიტერიუმი და უკანასკნელი ინსტანცია. ეს გარდაუვალი და უდავოა. მეორე ადგილზე შუამავლის სუნა იქნებოდა, როგორც დამხმარე და ახსნა-განმარტებითი სახელმძღვანელო, რომელიც ზოგადად ყურანის გადაწყვეტილებებსა და პრინციპებს აფართოებს, სრულყოფს და ავითარებს.
2. იურისტების უმეტესობამ სათანადო ყურადღებას არ მიაქციეს ისლამის უნივერსალურობას, როგორც მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის ურთიერთობების რაციონალისტური ახსნისა და ანალიზის განმსაზღვრელ ფაქტორს. მათი ნაშრომები გარკვეული ხარისხის ინტროვერტობას გამოხატავს, რო-

მელიც ისლამის მარადიული გზავნილის უნივერსა-ლურობასთან შეუსაბამოა. გარდა ამისა, გეოგრა-ფიისა და საზოგადოების ადგილობრივი ფაქტორე-ბის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება და ამ ფაქტორებით გადაჭარბებული დაინტერესება აღი-ნიშნებოდა, რომელიც ისლამს მჭიდროდ აკავში-რებს სოციალურ და გეოგრაფიულ გარემოსთან.

3. მუსლიმი იურისტების აზროვნებაზე, იმდროინდე-ლი სამყაროს გეო-პოლიტიკურ რუკასთან მიმარ-თებაში, გავლენა იქნია თანადროულმა ისტორი-ულმა ტრადიციამ. მათ მხედველობიდან გამორჩათ მსოფლიოსა და ადამიანის გეოგრაფიის ყურანისე-ული კონცეფცია, შესაბამისად, მათი ნაშრომები ზედმეტად ლოკალიზებული და პროვინციული იყო.
4. ისლამური კანონმდებლობის უმაღლესი ღირებუ-ლებები, პრინციპები და ამოცანები ჩრდილში მოექ-ცა, რამაც ფიკჰი ნაწილობრივი, არათანამიმდევ-რული და სუბიექტური წარმოდგენა გააძლიერა. სწორედ ამ მიზეზით უწოდებდა იმამ ალ-ლაზლი ფიკჰს „უმნიშვნელო მეცნიერებას.“

### **მკაფიო მიზნის მიზეზები**

1. შუამავლის შემდგომ პერიოდში, თავდაპირველად მუსლიმებს არ სჭირდებოდათ სამართლის ან თავ-შესაფრის ძიება არაისლამურ მიწებზე. ისლამის ტერიტორია იყო ერთიანი, დამოუკიდებელი და და-

ცული, ყოველგვარი გამყოფი საზღვრების გარეშე. მასში დასახლებულ პირებს მარტივად და თავი-სუფლად შეეძლოთ ფართო იმპერიის ერთი ნაწი-ლიდან მეორე ნაწილში გადასვლა ყოველგვარი გა-უცხოების, განდგომილებისა თუ არასრულფასოვ-ნების განცდის გარეშე.

2. „მოქალაქეობა“ იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელო-ბითაც ის დღესაა აღქმული და გაგებული, უცნობი იყო ისლამური ფიკჰის აყვავების პერიოდში. ამის ნაცვლად არსებობდა ერთგვარი კულტურული და პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც უმეტეს შემ-თხვევებში იდეოლოგიურ და ტრადიციულ ღირებუ-ლებებზე იყო დაფუძნებული. რელიგიათაშორის და კულტურულ ურთიერთობებს გარკვეული შეზღუდ-ვებითა და დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ, რა-საც განსხვავებული ხარისხის შემწყნარებლობა ახ-ლდა. ევროპამ გადაიტანა ესპანური ინკვიზიცია, მაშინ როდესაც მუსლიმები ეპყრობოდნენ არამუს-ლიმებს როგორც აჰლ ალ-ზიმმა-ს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არამუსლიმ მოქალაქეებს, განსაკუთ-რებით ებრაელებსა და ქრისტიანებს, შეეძლოთ თა-ვი სრულიად დაცულად და უსაფრთხოდ ეგრძნოთ მათი ისლამურ სახელმწიფოში ცხოვრების განმავ-ლობაში.
3. სხვა სახელმწიფოში მოქალაქეობის მოსაპოვებლად არ არსებობდა ისეთი წინასწარ დადგენილი კრიტე-რიუმები, როგორიცაა დაბადება, ბინადრობა ან ქორწინება. საერთო რწმენა და კულტურა საკმარი-

სი იყო „მოქალაქეობის“ მისანიჭებლად იმ ახალ ჩა-  
მოსულებისთვის, რომელიც სხვა შემთხვევაში  
თავს უცხოდ ან გარეშე პირებად იგრძნობდნენ  
მათთვის უცხო მასპინძელ საზოგადოებაში.

4. ანტიკურ სამყაროში არ არსებობდა საერთაშორისო  
სამართლის ან დიპლომატიური შეთანხმებების  
კონცეფცია ან გამოცდილება, რომელიც მიმღებ  
სახელმწიფოს იმიგრანტების დაცვას ან მათთვის  
თანაბარი უფლებების მინიჭებასა და თანაბარ მოპ-  
ყრობას დაავალდებულებდა, გარდა გარკვეული გა-  
მონაკლისებისა.
5. ძალაუფლების დასაბუთება ყველა ანტიკურ იმპე-  
რიაში, მათ შორის ისლამურ იმპერიაშიც, ერთ-ერთ  
წამყვან როლს ასრულებდა. თითოეული სახელმწი-  
ფო მეორე სახელმწიფოს მტრად განიხილავდა,  
რომლის სრულად ან ნაწილობრივ დაპყრობისა და  
მიერთების უფლებაც ჰქონდა. იმპერიები არ ცნობ-  
დნენ საზღვრებს და მათი არმიების წინსვლის შე-  
ჩერება ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ბუნებ-  
რივი წინაღობები უშლიდათ ხელს.
6. ჩვენს წინაპრებს იმ მჭიდროდ დაკავშირებულ სამ-  
ყაროში, კულტურებსა და გლობალური სოფლის  
გარემოცვაში ცხოვრების გამოცდილება არ ჰქონი-  
ათ, რომელშიც ჩვენ გვიწევს დღესდღეობით ცხოვ-  
რება. მათი სამყარო შეზღუდული თანაცხოვრებისა  
და ერთმანეთის ლიმიტირებული აღქმის ცალკეუ-  
ლი „კუნძულებისგან“ შედგებოდა. შესაბამისად, იმ

დროის კარნახით, რელევანტური იყო „კონფლიქტის ფიკტი“, თუმცა დღესდღეობით საჭიროა „თანაარსებობის ფიკტი“, რომელიც ჩვენს სამყაროს როგორც სულით, ასევე ფორმით მიესადაგება და შეეფერება.

7. ზოგი იურისტი საკუთარ ფათვებში გარკვეული სოციალური კონტექსტის მიმართ წინააღმდეგობას ან რეაქციას გამოხატავს, რომელიც დღესდღეობით ჩვენს რეალობაში არსებული კონტექსტისგან განსხვავდება. ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითი იბნ თამითას მოსაზრებებია, რომელიც მუსლიმების ებრაული, ქრისტიანული თუ სხვა არაისლამური ჯგუფებისგან განსხვავებულობის საჭიროებაზე ამახვილებდა ყურადღებას და სხვების მხრიდან დახმარების მიღებას უარყოფდა.<sup>17</sup> შეგვიძლია ადრეული მე-20 საუკუნის ალჟირელი ღვთისმეტყველების („ულამა“) ფათვაც მოვიშველიოთ, რომელიც კრძალავდა საფრანგეთის მოქალაქეობის მიღებას. ეს და მსგავსი მოსაზრებები „კონფლიქტის კულტურიდან“ გამომდინარეობს, რომელიც დღესდღეობით არსებული ისლამური უმცირესობებისთვის რელევანტური და გამოსადეგი არაა.

### **„ფიკტი უმცირესობებისთვის“ დაარსების გზაზე**

ამ მონოგრაფიაში ვცდილობთ წარმოვაჩინოთ რიგი მეთოდოლოგიური პრინციპები, რომელიც მხედველობა-

ში უნდა იქნეს მიღებული ყველას მიერ, ვინც შეისწავლის „ფიკჲს უმცირესობებისთვის. ყველა სახის ფიკჲის მსგავსად, ამ სპეციალურ დისკიპლინასაც საკუთარი ნორმებისა და პრინციპების შემუშავება ესაჭიროება.

იურისპრუდენციის პრინციპები ან „უსტულ ალ-ფიკ“, თეორიულ მეცნიერებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეცნიერებაა, რომელიც ინოვატორი მეცნიერების მიერ იქნა ფორმულირებული. აღნიშნული კარგად აღწერა იმამ ალ-ლაზალი, როდესაც დაწერა: „ეს მეცნიერებაა, რომელიც გონს - ზეპირ ტრადიციასთან, ხოლო აზრს რელიგიურ ტექსტებთან აკავშირებს და ორივე მათგნის დახვენილ სინთეზს წარმოშობს.“<sup>18</sup>

თუმცა, როდესაც ეს მეცნიერება პირველად აღმოცენდა, პრაქტიკოსებმა ის პადისებისა და განსჯის მომხრეებს შორის მიმდინარე დაპირისპირების აღმოსაფხვრელი ინსტრუმენტის სახით გამოიყენეს. სწორედ ამ საწყისებიდან გაიზარდა და განვითარდა ის იმ პროცესად, რომელიც, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ისლამურ მეცნიერებებში გადაიზარდა იმ იმედით, რომ ის ორი დაპირისპირებული ბანაკის გაერთიანებას შეძლებდა. მიუხედავად იმისა, რომ ის სხვა მეცნიერებების გავლენის ქვეშაც მოექცა, მან საკუთარი საწყისი სტრუქტურის შენარჩუნება მაინც მოახერხა, რომელიც ჩვენი ნოვატორი მეცნიერების მიერ იქნა დადგენილი, როგორიც იყვნენ იმამ აშ-შაფი‘რ და სხვები. ჩვენ ამ მეცნიერების განვითარებისა და კოდიფიკაციის მოკლე ისტორია გავაერთიანეთ აშ-შაფი‘რს „არ-რისალა-ს“ გამოქ-

ვეყნებიდან დღემდე.<sup>19</sup> აღნიშნული კვლევის მთავარი დასკვნა ისაა, რომ მიუხედავად მრავალი საუკუნის გას-ვლისა, საკითხი ჯერ კიდევ არ არის კარგად შესწავლი-ლი. გარდა შედარების, შემოკლებული გამოცემების, ინ-ტერპრეტაციისა და კომენტარებისა, აღნიშნულ სფეროში მნიშვნელოვანი წვლილი არავის შეუტანია. როგორც ზემოთაც აღინიშნა, იმამ ალ-ღაზალის მას უწოდა უმ-ნიშვნელო მეცნიერება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსახურება და წვლი-ლი, რომელიც აღნიშვნის ღირსია, იმამ აშ-შატიბის მიერ იქნა შეტანილი, რომელმაც შარიათის მიზნებთან (მაკატიდ) დაკავშირებით იმამ ალ-ჭარამავნის, ალ-ღაზალისა და სხვათა ცალკეული იდეები განავითარა. მისი წვლილი ნამდვილად გამორჩეულია ფიკჰის თეორი-ის ევოლუციის პროცესში. თანამედროვე მეცნიერებმა კი, შახ ატ-ტანირ იბნ ‘აშ-შურმა<sup>20</sup>, ‘ალლალ ალ-ფასიმ<sup>21</sup>, აჭმად ალ-რადსუნიმა<sup>22</sup> და ღუსუფ ალ-‘ბლიმმა<sup>23</sup> შარია-თის ეს მიზნები კიდევ უფრო მეტად განავითარეს, რათა დამოუკიდებელი მეცნიერების (მაკატიდ აშ-შარი) ფორ-მირება მოხედინათ, რომელიც ფაქტობრივად სრულად დამოუკიდებელი იყო უსურ ალ-ფიკ-ისგან. თუმცა ვი-მედოვნებთ, რომ ჩვენს შემთხვევაში ადგილი არ ექნება მსგავს დაყოფას, რამაც ადრე გამოიწვია ისეთი დისციპ-ლინების წარმოშობა, როგორიცაა „ფიკჰის ზოგადი წე-სების“, „მეორადი პრინციპების პირველადი პრინციპე-ბისგან ექსტრაქცია“ და „პოლემიკა და უთანხმოება“. თუკი დღესაც იგივე განმეორდება, ვშიშობთ, რომ ფიკ-

ჰი როგორც მეცნიერება სტაგნაციას განიცდის და კვლავ მხოლოდ ფილოსოფიური და პოლემიკური ნორმების ნაკრებად, ლინგვისტურ და ინტელექტუალურ არგუმენტებად ან ყურანოლოგისა და ჰადისმცოდნეობისაგან ნასესხები ნაშრომების წყებად დარჩება. ასეთი მეცნიერება მხოლოდ ხელშეკრულებების კომპლექტად დარჩება, ნაცვლად იმისა, რომ ინოვაციისა და განვითარების სფეროდ ჩამოყალიბდეს. არსებითი მნიშვნელობის მეცნიერება, რომელსაც მუსტაფა ‘აბდ არ-რაზიკი „ისლამურ ფილოსოფიას“<sup>24</sup> უწოდებდა, სილრმისეულად უნდა იქნეს გამოკვლეული და შესწავლილი, რათა ის მუდმივად ღია მეცნიერებად და ისლამური ცოდნის საყოველთაო სისტემის ნაწილად დარჩეს. მან კვლავ უნდა განაგრძოს იმ მნიშვნელოვანი როლის თამაში, რაც მას დააკისრეს ჩვენმა პირველმა მეცნიერებმა. ისინი თვლიდნენ მას მეცნიერებად ახალი ინტელექტუალებისა და ნოვატორ სამართალმცოდნეთა, რომელთაც შეუძლიათ ყურანის მიდგომებთან შესაბამისი სიახლეების შემოტანა სამართლის სფეროში.

„ფიკჲი უმცირესობებისთვის“ კონცეფციის შემუშავებისას, ჩვენ შევეცადეთ გამოგვევლინა ფიკჲის თეორიისა და მისი მეთოდოლოგიური შეზღუდვების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ფიკჲის მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც არის საფუძველი შემდგომი განვითარებისათვის. „ფიკჲი უმცირესობებისთვის“ არ უგულებელყოფს მსჯელობას ფიკჲზე როგორც მეცნიერებაზე ან ექსტრაპო-

ლაციის მეთოდებზე. ის იჯთიპადის დადგენილი ნორმების ან ინტერპრეტატიული ანალიზის მეშვეობით ხორციელდება. იჯთიპადის მეთოდები და საშუალებები ისე უნდა გამოვიყენოთ, რომ ისინი, ერთი მხრივ, შეესაბამებოდეს ჩვენს დროს, ახალ ინფორმაციულ აფეთქებას, მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობას და ცოდნის გავრცელების საშუალებებს, ხოლო მეორე მხრივ, აღვადგინოთ შარიათის როლი თანამედროვე ცხოვრებაში. უდავოა, რომ იჯთიპადის მთავარი დანიშნულება და როლი ადამიანის მოქმედებების რეგულირება და მათი ხელმძღვანელობაა, რათა მან ღმერთის ნაცვლის როლში საკუთარი მისიის შესრულება შეძლოს ამ სამყაროში, როგორც ამას ღმერთი ისახავდა მიზნად. თუკი აღნიშნულის მიღწევას შევძლებთ, დასასრული პოზიტიური და პროდუქტიული იქნება ადამიანისთვის, რომელიც შესაფერის ჯილდოს მიღებს.

მიზნებსა და საშუალებებს შორის შეუსაბამობა და დაპირისპირება სამუშაოს ფუქს ხდის და ყველა ვინც ამ დაპირისპირებაში ჩაერთვება, შესაბამისად უნდა დაისაჯოს. ყურანში ღმერთი ამბობს: „და თვალწინ გადავუშლით საქმეებს, რომელსაც ისინი [ცოდვილები] სჩადიოდნენ და ვაქცევთ მათ ნაცარტუტად.“ (სურა აღ-ფურკან: 23). ყოველ ჯერზე, როდესაც ადამიანის ქმედებები სცილდება დასახულ მიზანს, ისინი კონტრპოდუქტიული ხდება და სამყაროში ადამიანის როლს აკნინებს. ამ ყველაფრის შედეგი კი მარცხი, დამცირება და სასჯელი იქნება.

ამგვარად, საკვანძო საკითხი ამ შემთხვევაში ადამიანის ქმედებების ბუნება, ღირებულება, ხარისხი და

მიზანია. სწორედ ეს იყო ღვთიური თუ ადამიანური კანონების ფუნდამენტური ამოცანა წარსულშიც და ახლაც. ყველა საღვთო მოძღვრება იმისკენ იყო მიმართული, რომ ადამიანის ქმედებების სახელმძღვანელოს როლი შეესრულებინა, რათა მისი ყოფის მიზნის მიღწევაში დახმარებოდა, რაც, თავის მხრივ, ღმერთის მსახურება იყო, ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით. საკუთარი მისის ამგვარი შესრულება სიცოცხლეში კეთილდღეობისა და წარმატების ფორმით უნდა აისახოს, ხოლო ადამიანის გულში - წმინდა მონოთეიზმის (თავჭიდ) და კარგი და კონსტრუქციული ქცევის სახით.

დაპირისპირება წინასწარმეტყველებასა და ადამიანისთვის მის საჭიროებაზე, ადამიანის გონიერებასა და მის შესაძლებლობებსა და შეზღუდვებზე, საბოლოო ტექსტსა და უსასრულო მოვლენებზე, დაკავშირებულია ერთ ცენტრალურ პრობლემასთან. ის შემდეგი სახით შეიძლება ფორმულირდეს: შესწევს თუ არა ადამიანის გონიერას უნარი დამოუკიდებლად შეაფასოს ადამიანის ქედებები, თუ ეს მხოლოდ ღვთიური გამოცხადების ფუნქცია უნდა იყოს? უნდა იმოქმედოს თუ არა ამ ორმა ერთობლივად ამ კუთხით, რათა კავშირი დაამყარონ ადამიანის ქმედებებსა და ღვთის ნებას შორის? ისლამის საბოლოო პასუხია, რომ ამ ორმა ერთობლივად უნდა იმუშაოს შეფასების პროცესში, ვინაიდან ისინი კომპლექსურულები და თანაზიარად აუცილებელნი არიან. „ფიკჲი უმცირესობებისთვის“ ფორმირების პროცესში შემდეგი საკითხები უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული:

1. იჯთიპადი ისლამური უმმას (საზოგადოების) უკიდურესად არსებითი ფუნქცია და განმასხვავებელი მახასიათებელია. მისი არსებობა არ დასტურდება რელიგიური სისტემების უმეტესობაში, ვინაიდან, უფრო ადრეულ რელიგიებში, შუამავლის სწავლებები წარმოადგენდა ცოდნისა და სიბრძნის უმაღლეს და ყველაზე მნიშვნელოვანი სათავსოს ადგილს, რომლის მიღებაც მხოლოდ ყოვლისშემძლე ღმერთისგან შუამავლების მეშვეობით იყო შესაძლებელი, რომლებიც ამ ცოდნასა და სიბრძნეს თავის მოსწავლეებსა და სასულიერო პირებს გადასცემდნენ, რომლებიც ისეთი თვისებების მატარებელნი იყვნენ, რასაც ჩვეულებრივი ადამიანები არ ფლობდნენ.

გარდა ამისა, ადრეული რელიგიური მოძღვრებები, რომელსაც ადამიანები უნდა მიჰყოლოდნენ, მეტად მკაცრი და სასტიკი იყო. ისინი მტკიცებულების სახით ფიზიკური სასწაულებით იყო გამყარებული და ისეთ პასუხებს მოითხოვდა, რომელიც მიზეზ-შედეგობრივ კავშირებსა და მსჯელობას არ საჭიროებდა.

2. ისლამი პირველი რელიგიაა, რომელიც უპირობოდ აღიარებს ადამიანის გონების როლს ადამიანური ქცევის განვითარებისა და შეფასების პროცესში. რეალურად, ის სწორედ ამ როლზე აკეთებს აქცენტს, რადგანაც სჯერა, რომ შარიათს აქვს ღვთიური წარმოშობა, ხოლო რეალურ ცხოვრებაში

მას განახორციელებს ადამიანი. ღმერთი ამბობს:  
„თითოეულ თქვენგანს ჩვენ დავუდგინეთ კანონი  
და გზა“ (სურა ალ-მა'იდა:48).

3. ისლამში იჯთიპადი გონების ინტელექტუალურ მდგომარეობად აქცია, რომელიც ადამიანს სისტე-მური ფიქრისკენ უბიძგებს კონკრეტული რაციონა-ლური მეთოდების გამოყენებით, და არა უბრალოდ დოგმატურ აქტივობად, რომელიც ნორმებისა და ფათვების ფორმულირებით შემოიფარგლება.
4. დღესდღეობით არაერთი ადამიანი ადვოკატირებს იჯთიპადის სასარგებლოდ; სეკულარისტები მას ერთგვარი საბაბის სახით იყენებენ, რომ შარიათის ნორმები შეამსუბუქონ და დაამახინჯონ, ხოლო ლოიალისტები - წარსულსა და აწმყოს შორის კავ-შირის დასამყარებლად და შარიათის აღსადგენად. დღესდღეობით ისეთი იჯთიპადის საჭიროება დგას, რომელიც ისლამსა და მუსლიმებს მომავალში გლობალური როლისთვის მოამზადებს.

იმისთვის, რომ მსგავსი იჯთიპადის შესაქმნელად საფუძველი მომზადდეს, საჭირო იქნება გარკვეული მნიშვნელოვანი ნორმების მოშველიება და მათი ნადმვი-ლობისა და რელევანტურობის შემოწმება უმცირესობებ-თან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით. თუკი ეს პროცესი პროდუქტიული და ბიძგის მიმცემი იქნება, მა-თი სხვა სფეროებში გამოცდაც შესაძლებელია; სხვა შემთხვევაში კი, მათი გვერდზე გადადებაც შესაძლებე-ლია მომავალი კვლევისთვის.

1. რელიგიისა და რელიგიური პრაქტიკის ჩვენებული ხედვა, ერთი მხრივ, ღვთიური გამოცხადების შესწავლაზე უნდა იქნეს დაფუძნებული, ხოლო, მეორე მხრივ, რეალურ დინამიკურ ცხოვრებაზე. ყურანი სააქაო სამყაროს სასწაულებსა და საიდუმლოებებზე მიგვითითებს, მაშინ, როცა რეალური სამყაროს შესახებ ფიქრს ყურანის სწორად გაგებამდე და აღქმამდე მივყავართ. ჩვენ იმის დანახვა და დაფასება უნდა შევძლოთ, თუ როგორ ურთიერთექმედებს, კონტრასტირდება და ავსებს ეს ორი ფენომენი ერთმანეთს.

სწორედ ამას ვგულისხმობთ, როდესაც „კომბინირებულ წაკითხვაზე“ ვსაუბრობთ: გამოცხადებების კითხვა ფიზიკური სამყაროსა და მისი კანონებისა და პრინციპების გასაგებად და აღსაქმელად და ფიზიკური სამყაროს წაკითხვა წმინდა ტექსტების დასაფასებლად და შესაცნობად. გამოცხადებათა წაკითხვის მიზანია კონკრეტულ სიტუაციებში ზოგადი „საკვანძო პრინციპების“ გამოყენება და აპსოლუტურის შედარებითთან დაკავშირება, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ჩვენი უნარები გვაძლევს. მკითხველი ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანია, ღმერთის ნაცვალი დედამინაზე, რომელიც, ერთი მხრივ, გამოცხადებებისადმი ძლიერი რწმენითა და მისი სწორად აღქმით ხელმძღვანელობს, ხოლო, მეორე მხრივ, ფიზიკური სამყაროს კანონებისა და ქცევის აღიარებით.

როდესაც იმამი ალი (რ.ა.ა)<sup>26</sup> შემდეგი სიტყვების წინაშე აღმოჩნდა: „არა არს კანონი, გარდა ღმერთის კანონისა,“ მან შემდეგნაირად უპასუხა: „ყურანი წიგნია, რომელიც მხოლოდ კაცთა ბაგით საუბრობს.“ ეს ფუნდამენტური ფილოსოფიური დაკვირვებაა. ვინაიდან, სათანადო მეთოდოლოგიის არარსებობის პირობებში, გაცხადებული ტექსტის მნიშვნელობა და გამოყენების ფარგლები ადამიანთა კულტურის, კომპეტენციის, ცოდნისა და გამოცდილების მეშვეობით განისაზღვრება და ამ ელემენტების გავლენის ქვეშ ექცევა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდოლოგია, „კომბინირებული წაკითხვა“ ამ კუთხით ვერ დაიწყებს მოქმედებას, მანამ, სანამ ცხოვრების მეტაფიზიკური განზომილება პირველ პლანზე არ გადმოიწევს. ამგვარად, ის ცოდნა, რომელიც ადამიანური აღქმის მიღმაა და რასაც ყურანი ღამე-ს (ფარულს) უწოდებს, იმ ნორმებად და პრინციპებად ფორმულირდება, რომელიც მეცნიერების მიერ მკაცრად და ობიექტურად უნდა იქნეს გამოკვლეული და განხილული. აღნიშნული კი მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როდესაც იმის განსხვავებას შევძლებთ, რაც ჩვენი, როგორც ადამიანების, აღქმის მიღმაა, რაც დროის გასვლასთან ერთად ხდება ცხადი და რაც აბსოლუტურად სცილდება ადამიანური ცოდნის ფარგლებს. ამ გზით, ყურანიდან ისეთი კონცეფციებისთვის შეგვიძლია რეალური და პრაქტიკული მეთოდოლოგიის იდენტიფიცირება და გამოყენება,

როგორიცაა „კონტრშეტევა“ და „კონტრაბსურდული“ თეორიები, ისევე, როგორც „ნორმიზმის“ თეორია და ყურანის უპირატესობა, რაც შუამავლის სუნას ყურანის პრაქტიკულ ინტერპრეტაციად აქცევს, ამ ორი წყაროს სამართლებრივ ძალას შორის ყოველგვარი წინააღმდეგობის ან დაპირისპირების გარეშე. მას შემდეგ, რაც „კომპინირებული წაკითხვის“ პროცესი დაიწყება, აღმოვაჩენთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები, რომელსაც ეს „წაკითხვა“ უსვამს ხაზს არის: მონოთეიზმი (თავჭრა); განწმენდა (თაზეიდა) და ცივილიზაცია (‘უმრანი). თავჭრა ყოვლისშემძლე ღმერთის, როგორც შემოქმედისა და მუდმივი მეუფის აბსოლუტური და წმინდა ერთადერთობის რწმენაა. მეორე ღირებულება, თაზეიდა, ადამიანს, დედამიწაზე ღმერთის ნაცვალს, უკავშირდება, რომელიც ღმერთის მიერაა ნდობით აღჭურვილი, სწორედ მის წინაშეა ანგარიშვალდებული და სამყაროს მშენებლობისა და განვითარების ფუნქცია აკისრია. მას აღნიშნულის მიღწევა მხოლოდ თვითგანწმენდის მეშვეობით შეუძლია. ‘უმრანის ქვეშ კი სამყაროს, როგორც ადამიანის მისის შესასრულებლად საჭირო არენისა და მისი გამოცდის, ანგარიშვალდებულებისა და განვითარებისთვის საჭირო რეტორტას განვითარება და გაუმჯობესება მოიაზრება.

რეალურად ეს ღირებულებები თავის თავში მიზნებსაც წარმოადგენს, რომელიც სამყაროსა და ადამიანის შექმნის უკან არსებულ ღმერთის მიზანს

ასახავს, რაც თავისთავად უმიზნოდ არ მომხდარა, ისევე როგორც მის გაფრთხილებას, რომ სამყარო არ წაებილნათ. ეს სამი ღირებულება თუ ამოცანა მიეკუთვნება „თაყვანისცემის“ კატეგორიას და და-საწყისშივე საჭირო იყო მათი სწორად გაგება და გამოყოფა კრიტერიუმების სახით, გამოყოფა და სწორად გაგება, რომელთა მეშვეობითაც ხდება ადამიანის ქცევის განსჯა. მოვალეობები და ვალ-დებულებები სწორედ ამ ღირებულებებს ეფუძნება და მათგან გამომდინარეობს. ისინი მნიშვნელოვანი როლს ასრულებენ სუნას აღქმის პროცესში, ისევე, როგორც მიმდევრებისა და მართლმორწმუნე ხალი-ფების, განსაკუთრებით აბრ ბაქრისა და ‘უმარის, საქმეთა შეფასებაში იმის დამადასტურებელი უამ-რავი მაგალითი არსებობს, თუ როგორ ახერხებ-დნენ ისინი მათ განმარტებებსა და ფათვებში მთა-ვარი და ფუნდამენტური პრინციპების გამოყენე-ბას, რომელიც სრულად შეესაბამებოდა ისლამის უმალეს ღირებულებებსა და ამოცანებს და რო-მელთა საფუძველზეც ისინი მეორეხარისხოვან და სპეციფიკურ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. აღნიშ-ნული ასევე ხშირად გვხვდება იმამ ‘ალ-ს ფათვებ-ში და ‘უსმანის ზოგ ფათვაში. ეს ნათლად ჩანს მათ მიერ წარმოთქმულ ყველა იმ მოსაზრებასა და ინ-ტერპრეტაციაში, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. აღნიშნული შემდეგი თაობის ფიკჰშიც გვხვდება, რომელთაც მათი წინაპრებისა და თანამედროვეე-ბისგან ბევრი რამ ისწავლეს.

თუმცა ფიკტის ტერმინების განსაზღვრისას და ფიკტის შესახებ ლიტერატურის კოდიფიკაციის პროცესში, იურისტების შემდგომი თაობები დოგმისა და ტერმინოლოგიის მარწუხებში და ფილოსოფიისა და ლოგიკის ნათარგმნი ნაშრომების გავლენის ქვეშ მოექცნენ. მათ ამ ნაშრომებიდან გარკვეული ტერმინების დასესხება დაიწყეს, რათა სისტემატიზაცია მოეხდინათ მოვალეობების და ვალდებულებების ისლამში და დაეყოთ ისინი იმპერატიულად, სავალდებულოდ, რეკომედებულად, სასურველად, უკანონოდ ან აკრძალულად; ან პირიქით, უპირობოდ დასაშვებად. აღნიშნული კი იმისთვისაა საჭირო, რომ ეს ტერმინები ჯილდოსა და სასჯელის, შექებისა და გაკიცხვის და ა.შ. კონცეფციებს დაუკავშიროს. ამგვარად, ფიკტის მეცნიერებაში ერთგვარი შესვენება გამოცხადდა, სადაც მისი გადაწყვეტილებების ძირითადი მიზანი დაიკარგა, მანამ, სანამ ის კვლავ არ გამოჩნდა აშ-შატიბის ნაშრომებში. რელიგიის უმაღლესი მიზნები ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების მოკლევადიანი ამოცანებით იყო შემოზღუდული და „ინტერესებიდან“ (მაცნელი) საკმაოდ დაშორებული ჩანდა, რაც რეალობას არ შეესაბამება.

სწორედ აქედან გამომდინარეობს დასაწყისში დაბრუნებისა და ადამიანის მოქმედებების უფრო მაღალი ღირებულებებითა და მიზნებით შეფასების, ხოლო შედეგად დანიშნულების გაცემაზე გადასვლის საჭიროება: „რა უნდა გაკეთდეს,“ „რა არ უნ-

- და გაკეთდეს“ და ა.შ. რაციონალური საკითხები და ფილოსოფიური ტერმინები მეორეხარისხოვნად უნდა განვიხილოთ, ვინაიდან მათი უგულებელყოფისა და უარყოფის რისკი გაცილებით ნაკლებად სახიფათო და საგანგაშოა, ვიდრე უფრო მაღალი სახელმძღვანელო ღირებულებებისა და მიზნების უგულებელყოფა.
2. მეორე მხრივ, მიზნის სხვადასხვა დონეები პასუხისმგებლობის მქონე ზრდასრულებში „მიზანშეწონილობის,“ „პრიორიტეტებისა“ და „გაზვიადების“ ჭრილში უნდა განვიხილოთ, რაც უნდა დაუკავშირდეს სამ ღირებულებას: თავჭრდ, თაზეიდა და „უმრან. აღნიშნული ფართოდ გაუხსნის კარს ყველა იურისტს, რომელთაც ყველა ამ ახალი სიტუაციის ამ დონეებისთვის მისადაგების შესაძლებლობა აქვთ, როგორც ეს შეიხ იპნ ‘აშტრის მიერ იქნა განხორციელებული, რომელმაც თავისუფლება შარიათის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად განსაზღვრა. ასევე მოიქცა შეიხი მუჰამმდ ალ-დაზალი, რომელმაც შარიათის მიზნებად თანასწორობა და ადამიანის უფლებებიც განსაზღვრა. რიგი სხვა საკითხებიც არსებობს, რომლებიც ისლამური საზოგადოების საჭიროებებად და პრიორიტეტებად უნდა განსაზღვროს და სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.
3. იურისტებმა რიგი საკითხები დააჯგუფეს სათაურით: „საკითხები, საერთო ყურანისა და სუნნასთვის“ და მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ ტერმი-

ნების სტანდარტიზება მოახდინეს, ისინი რეალურად იდენტური არ არის. ყურანის ტექსტი ყოვლისშემძლე ღმერთის უშუალო სიტყვაა, უსასრულო და აბსოლუტური სასწაული. ეს წმინდა ტექსტია, რომლის ალეგორიულად წაკითხვა ან განმარტება დაუშვებელია. ის უდავოდ შუამავალი მუჰამმადის (ს.ა.ს) ენაზე იქნა გამუღავნებული, თუმცა ტექსტი კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელია, როდესაც ის ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ წარმოითქმის, განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება, როდესაც შუამავლის მიერ გადმოიცემა და კიდევ უფრო განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც ჩვეულებრივი მოკვდავების მიერ ხდება ამ სიტყვების გამეორება.

სწორედ აღნიშნული წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ ღმერთისა და შუამავლის სიტყვები არასდროს უნდა გათანაბრდეს უპირობოდ და უაპელაციოდ. მნიშვნელოვანი განსხვავებები ყურანისა და სუნას დეტალებში არ იძლევა ამგვარი აბსოლუტური თანასწორობის საშუალებას, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი ერთი და იმავე წყაროს-გან გამომდინარეობს. ყურანისა და სუნას გათანაბრების ტენდენციამ არაერთხელ გამოიწვია დაპნეულობა ამ ორ წყაროს შორის რეალური ურთიერთობის დადგენის კუთხით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იდენტური არ არის, მათ შორის ასევე შეუძლებელია რაიმე სახის უთანხმოება ან კონ-

ფლიქტი. ყურანი იმ წყაროს წარმოადგენს, რომელიც ნორმებს, ღირებულებებსა და სტანდარტებს ადგენს, რომელსაც სუნა საგულდაგულოდ ხსნის და აზუსტებს. ყურანი, რეალურად, სხვა წყაროების ლეგიტიმაციასა და დამოწმებას ახდენს, მათ შორის სუნასი და შესაბამისად მასზე უპირატესი იურიდიული ძალის მატარებელია. სუნაც, თავის მხრივ, ყურანის გარშემო ტრიალებს და მჭიდროდაა მასთან დაკავშირებული, თუმცა არასდროს არის მასზე უპირატესი. ყურანსა და სუნას შორის ურთიერთობების განსაზღვრისას გამოწვეულმა დაბნეულობამ რიგი აპსურდული ცნებები წარმოშვა, კერძოდ: ყურანი და სუნა ერთობლივად ახდენენ ერთმანეთის ანულირებას; სუნა ყურანის მსაჯულის ფუნქციას ასრულებს; ყურანი გაცილებით მეტადაა დამოკიდებული სუნაზე, ვიდრე პირიქით. აღნიშნულმა მოსაზრებებმა ყურანსა და სუნას შორის ურთიერთობები კონკრეტული თუ სპეკულაციური შინაარსის წმინდად ლოგიკურ ურთიერთობებად აქცია, რაც ამ ურთიერთობის ყურანისეულ განმარტებას ეწინააღმდეგება. ყურანში ჩვენ ვკითხულობთ: „მოვავლინეთ შენზე შეხსენება (ყურანი), რათა განუმარტო ხალხს, რაც ზეგარდმოვუვლინეთ მათ, ეგების დაფიქრდნენ“ (სურა ან-ნაჰლ: 44); „ჩვენ არ გარდმოგვივლენია შენზე წიგნი, თუ არა იმისთვის, რომ განუმარტო მათ ის, რაზეც ვერ თანხმდებიან, და გზად ჭეშმარიტად და წყალობად მორწმუნე ხალხთათვის“ (სურა ან-ნაჰლ: 64); და

„ზემოვავლინეთ ჩვენ შენზე წიგნი ყოველივეს გან-  
მარტებით, ჭეშმარიტ გზად, წყალობად და სამახა-  
რობლოდ მუსლიმთათვის“ (სურა ან-ნაჰლ: 89).

ამგვარად, ჩვენ ყურანსა და სუნას შორის ურთიერ-  
თობის გადახედვისკენ მოგიწოდებთ. ყურანი მის შესა-  
ხებ არსებული არაერთი უსაფუძვლო მოსაზრებისგან  
უნდა გათავისუფლდეს. მისი ენა პრეისლამური არაბუ-  
ლი ენის ლექსიკონის ფარგლებს გარეთაც უნდა იქნეს  
გაგებული მისივე გრამატიკის შესაბამისად, ისევე, რო-  
გორც მის სტილსა და პროზას ჰქონდათ თავიანთი ინ-  
დივიდუალური სტანდარტი. ყურანი საკმაოდ მარტივი  
და ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვინც იწყებს მის სე-  
რიოზულ შესწავლას. ის ფაქტი, რომ მისი განსხვავებუ-  
ლი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი, მისი სასწაულებრი-  
ვი ბუნების ასპექტი და მდიდარი გამოცდილების შედე-  
გია. საზოგადოებას ყურანის ხელმძღვანელობა იმაზე  
მეტად სჭირდება, ვიდრე ოდესმე; წიგნისა, რომელიც  
ყველა დროსა და სივრცეს, ისევე როგორც ადამიანის  
ბუნებას მოიცავს. ის ყველა საკითხს ეხება და გამოსა-  
ვალსა და პასუხს ყველა კითხვაზე გვთავაზობს.

რაც შეეხება ყურანისა და სუნას გარდა სხვა წყა-  
როებს, რომლებიც მეორეხარისხოვანი ან ნაკლებად  
მნიშვნელოვანი წყაროების სახელითაა ცნობილი და მა-  
თი რაოდენობა დაახლოებით ორმოცდაშვიდს აღნევს,  
მათთან დაკავშირებით უნივერსალური შეთანხმება არ  
არსებობს; ზოგი მათგანი შესაძლოა მეთოდოლოგიის  
ქვეშ გაერთიანდეს, მაშინ, როცა დანარჩენები ინტერ-

პრეტაციას, აღქმასა და დაზუსტებას ეხება. ისინი იმდე-ნად გამოიყენება, რამდენადაც ყურანს, მის ამოცანებსა და ლირებულებებს განმარტავენ ან ავსებენ.

### **ყურანის კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები**

დღესდღეობით ჩვენს წინაშე იმ პრინციპების აღმოჩენისა და განვითარების საჭიროება დგას, რომლებიც ყურანის კიდევ უფრო მეტი მიზნის გამოვლენას შეუწყობს ხელს. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ფიკრის ნორმების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს, როგორც უმცირესობებისთვის, ასევე უმრავლესობისთვის. ქვემოთ რამდენიმე პრინციპია შემოთავაზებული:

1. ყურანის სტრუქტურული ერთიანობის გამოვლენა, მისი ფიზიკური სამყაროსა და ამ სამყაროს მოძრაობის საწინააღმდეგოდ წაკითხვის ფორმით. უცოდველი შუამავლის სუნა კი რეალურ სამყაროში ყურანისეული ლირებულებების პრაქტიკულ მაგალითად და ინტერპრეტაციად განიხილება. სუნა, თავის მხრივ, ერთიან დამოუკიდებელ სტრუქტურადაც უნდა იქნეს მიჩნეული, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ყურანთან, როგორც მისი ლირებულებების კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან მისადაგების მექანიზმი.
2. ყურანის, როგორც ყველა სხვა წყაროს მსაჯულის, უპირატესობისა და პრიმატის აღიარება, მათ შო-

რის შუამავლის გამონათქვამებსა და მოქმედებებზე. როგორც კი ყურანი კონკრეტულ პრინციპს დაადგენს, როგორიცაა მაგალითად, არა-მუსლიმების მიმართ შემწყნარებლობისა და სამართლიანობის გამოჩენა, ყურანის გადაწყვეტილება უპირატესი ძალის მატარებელი ხდება. ამ შემთხვევაში შუამავლის გამონათქვამები და მოქმედებები, შესაძლებლობის ფარგლებში, ყურანით დადგენილი პრინციპების შესაბამისად უნდა განიმარტოს და მას დაექვემდებაროს. ამ შემთხვევაში ერთ-ერთ მაგალითს ჰადისის ინტერპრეტაცია წარმოადგენს, რომლის თანახმადაც არამუსლიმების მისალმებაზე მუსლიმებმა არ უნდა უპასუხონ უკეთესი მისალმებით პასუხი ეკრძალებათ, რაც სრულებითაც არ შეესაბამება ყურანის სწავლებებს.

3. იმის შეხსენება, რომ ყურანმა უფრო ადრეულ პერიოდში მოღვაწე შუამავლების მემკვიდრეობა აღადგინა. ის ამ მეკვიდრეობას იცავს, ამონებს, აფასებს და ათავისუფლებს ცრუ განმარტებებისაგან, ხოლო შედეგად განწმენდილი ფორმით წარმოადგენს, რათა მოაწესრიგოს ადამიანებს შორის ურთიერთობები. სწორედ ასე მიიღო ყურანმა წინა შუამავლების მემკვიდრეობა და მათზე აღმატებული გახდა.
4. ყურანის მიზნების რეალიზაცია ითვალისწინებს ადამიანის ცხოვრების რეალობის ღამე-თან (დაფარულთან) ან იმასთან დაკავშირებას, რაც ადამია-

ნური აღქმის მიღმაა და შემთხვევითობისა თუ დამთხვევის ცნებების უარყოფასაც. აღნიშნული ხილულ და უხილავ, შემეცნებად და შეუცნობელ სამყაროებს შორის ურთიერთობის, ყურანის აბსოლუტურ ტექსტსა და ადამიანის რეალურ მდგომარეობას შორის განსხვავების აღქმაში გვეხმარება. ის ინდივიდის ადამიანურობასა და ინდივიდუალურობას შორის არსებული დელიკატური განსხვავების ნაწილსაც ავლენს. როგორც ინდივიდი, ადამიანი შედარებითი არსებაა, თუმცა მისი ადამიანურობა/ჰუმანურობა მას უნივერსალურად და აბსოლუტურად აქცევს.

5. დროისა და სივრცის ფაქტორების მნიშვნელობის ხაზგასმა. ყურანი ხაზს უსვამს დროის სიწმინდეს თვეების რაოდენობის თორმეტით განსაზღვრით და კალენდრის ინტერკალაციის სრული აკრძალვით (ე.ი. დამატებითი დღეების დამატებას სტრონომიულ წელთან სინქრონიზაციისათვის). ის გარკვეულ მიწებს წმინდად აცხადებს, ხოლო დანარჩენს – ხელშეუხებლად. დროისა და სივრცის მოცემულ ჩარჩოში წებისმიერ მსურველს შეუძლია ადამიანის არსებობის მიზეზის გაგება ადამისა და ევას შექმნის მომენტიდან იმ წუთამდე სანამ თავის საბოლოო ბედისწერას არ მიაღწევს. სწორედ ეს არსებობა წარმოადგენს ყურანსა და კაცობრიობას შორის კავშირს.

6. ყურანის თანდაყოლილი რაციონალური დასაბუთების აღიარება, რომლის წესები მის ტექსტშია მოცემული და იმის აღიარება, რომ ადამიანს ღმერთის წყალობითა და დახმარებით შეუძლია იმ რაციონალური ძირითადი მიზეზების გამჟღავნება, რაც მის აზროვნებასა და მოქმედებებს განსაზღვრავს. ამ წესებს, თავის მხრივ, კანონებად ქცევის პერსპექტივა აქვს, რომლებიც ობიექტურ გონებას იცავს ყოველგვარი დევიაციისა და უზნეობისგან. ყურანისეულ დასაბუთებას ადამიანის ინტელექტუალური აქტივობისთვის ზოგადი საფუძვლის შექმნაც შეუძლია. აღნიშნული ადამიანს მისივე აზროვნების ჰეგემონიისგან გათავისუფლებაში შეუწყობდა ხელს, რომელიც ტრადიციით, წინა თაობების ბრძანი მიმპარელობითა და თანმხლები ტომობრივი შედეგებით იყო ფორმულირებული.
7. გეოგრაფიის ყურანისეული კონცეფციის მიღება. მთელი სამყარო ღმერთს ეკუთვნის, ისლამი კი ღმერთის რელიგიას წარმოადგენს. რეალურად, თითოეული ქვეყანა ან ისლამის მიწაა (დარ ალ-ისლამ) ან ასეთად იქცევა მომავალში. მთელი კაცობრიობა კი ისლამის საზოგადოებაა (უმმათ ალ-ისლამ), რწმენის მიღების ან სამომავლოდ ამ რწმენის მიმდევრად გახდომის წყალობით.
8. ყურანისეული მისიის უნივერსალურობის აღიარება. წინა წმინდა წიგნებისგან განსხვავებით, რომელიც სპეციფიკურ, ლოკალიზებულ საზოგადოებებს ეხე-

ბოდა, ყურანი თავდაპირველად მუჰამმადისა(ს.ას) და მისი ოჯახის წევრების დახასიათებას შეუდგა, ხოლო შემდეგ მექასა და მის გარშემო ქალაქების დახასიათება განაგრძო, შედეგად სხვა საზოგადოებრივი გადავიდა, საბოლოოდ კი მთელი კაცობრიობა მოიცვა. შესაბამისად, ის ერთადერთ წიგნად იქცა, რომელიც გლობალურ სიტუაციებს შეეხო. დღევანდელი სამყაროსთვის განსაზღვრული ნებისმიერი გზავნილი მეთოდური გზით ზოგად ნორმებსა და ღირებულებებზე უნდა იქნეს დაფუძნებული. ის იმ ნორმებს უნდა დაეფუძნოს, რომლებიც ობიექტურ აზროვნებას მართავს. ყურანის გარდა, არცერთ სხვა წმინდა წიგნს არ შეუძლია ყველა ამ მოთხოვნის ერთობლივად დაკმაყოფილება.

9. ადამიანების ცხოვრების კომპლექსური ასპექტების დაწვრილებით შესწავლა, როგორც იმ კონტექსტისა, რომლის ფარგლებშიც გარკვეული კითხვები და საკითხები წამოიჭრება. მანამ, სანამ ცხოვრება ყველა მისი განზომილებით არ იქნება სათანადოდ გაგებული, რთული იქნება შესაფერისი „ფიკტის“ თეორიის ფორმულირება, რომელიც ყურანთან შესაბამისობაში მოსვლასაც შეძლებს და დამაკმაყოფილებელი და სწორი პასუხებით უზრუნველყოფასაც. შუამავლის ეპოქაში, კითხვები სხვადასვა ვითარებიდან წარმოიშობოდა, შთაგონება ამ კითხვებზე პასუხის გაცემით მიიღებოდა. დღესდღეობით გამოცხადება დასრულებულია და ერთადერ-

თი, რაც გვჭირდება, არის ჩვენი პრობლემებისა და მოთხოვნების მკაფიოდ ჩამოყალიბება და შემდეგ პასუხების მოძიება ყურანში. ამის შემდეგ შუამავლის სუნას უნდა ჩავხედოთ, რათა დავაზუსტოთ გამოცხადებათა კონტექსტი და დავადგინოთ კავშირი ტექსტსა და რეალურ სიტუაციას ან მოვლენას შორის.

10. ფუნდამენტური პრინციპების დეტალური შესწავლა, განსაკუთრებით იმ პრინციპებისა, რომლებიც შარიათის უმაღლეს მიზნებთანაა დაკავშირებული, რათა უმცირესობებისთვის თანამედროვე ფიკჲის პრინციპების ფორმულირების პროცესში მათი სწორად დანერგვა მოხდეს. კვლევა უმაღლეს მიზნებზე უნდა იქნეს დაფუძნებული და უმაღლეს სახელმძღვანელო ღირებულებებთან დაკავშირებული და ამასთან შარიათის მიზნებსა და პასუხისმგებლობის მქონე ზრდასრული ადამიანის მიზნებს შორის დელიკატური განსხვავების ხაზგასმაც უნდა მოხდეს.
11. იმის აღიარება, რომ მემკვიდრეობით მიღებული ფიკჲი არ არის ადეკვატური წყარო ფათვების გამოსატანად ან ამგვარ საკითხებში წესების ფორმულირებისთვის. თუმცა, ის აერთიანებს ფათვებისა და კანონმდებლობის იმ პრეცედენტებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია, საჭიროების ფარგლებში, მიღებისა და მეთოდოლოგიის განსასაზღვრად. ყველაფერი, რაც გამოყენებისთვის ვარგისად, სასარგებლოდ და ისლამის სულის შესაფერი-

სად მიიჩნევა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს წარ-  
სულთან მთლიანობისა და უწყვეტობის შენარჩუნე-  
ბით. აღნიშნული ისე უნდა განხორციელდეს, რომ  
არ მოხდეს ამგვარი გადაწყვეტილების ყურანის  
ტექსტის დონეზე აყვანა ან ჩვენ არ ვაკრიტიკებთ  
ჩვენს წინაპრებს იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ  
ნაპოვნი იმ პრობლემების გადაჭრის გზები, რო-  
მელსაც ისინი არ აწყდებოდნენ ან იმ შემთხვევები-  
სა და ვითარებისთვის, რომლის შესახებაც მათ მა-  
თი მოღვაწეობის დროს არაფერი სმენოდათ.

12. ჩვენი ფათვების, გადაწყვეტილებებისა და მოსაზ-  
რებების რეალური ცხოვრებისეული სიტუაციები-  
სადმი მისადაგება. ფიკჲის თითოეული ნორმა რეა-  
ლობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს, რომელიც  
შესაძლოა პოზიტიური იყოს, თუკი ფათვისგან  
სწორი დასკვნები იქნება გამოტანილი, წინააღმდეგ  
შემთხვევაში კი შესაძლოა გარკვეული პრობლემები  
შექმნას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შედეგი მე-  
ტად ნეგატიური იქნება, ხოლო გადაწყვეტილება  
უნდა განახლდეს და შეიცვალოს. შესაბამისად,  
ფათვას პროცესი ფიკჲისა და ცხოვრების რეალობას  
შორის განხილვისა და დავის საგანს წარმოადგენს.  
ეს დისკუსიები ბოლო ინსტანციებია, რომლებმაც  
უნდა წარმოაჩინონ, რეალურად რამდენად შესაფე-  
რისი და პრაქტიკულია ესა თუ ის ფიკჲი.

## საკვანძო პილევები

იურისტები, რომლებიც „ფიკჲი უმცირესობების-თვის“ საკითხის განხილვით არიან დაკავებულნი, ძალიან ყურადღებით უნდა დაფიქრდნენ იმ საკვანძო კითხვებზე, რომელიც ამ საკითხისგან გამომდინარეობს, რათა საფუძველი სრულად მომზადდეს და ჭეშმარიტად საღმრთო გადაწყვეტილებების მიღება შევძლოთ, რამდენადაც ეს ადამიანურად შესაძლებელია. კითხვები კი შემდეგი შინაარსისაა:

1. როგორ სცემენ პასუხს უმცირესობების წარმომადგენლები შემდეგ კითხვებს: „ვინ ვართ ჩვენ?“ და „რა გვინდა?“ იმგვარად, რომ სწორად და ზუსტად მოხდეს მათი განსაკუთრებული მდგომარეობისა და იმ საერთო ელემენტების ასახვა, რომელსაც ისინი სხვებთან იზიარებენ?
2. რომელ პოლიტიკურ სისტემაში ცხოვრობს კონკრეტული უმცირესობა? ეს პოლიტიკური სისტემა დემოკრატიულია, მემკვიდრეობითი თუ სამხედრო?
3. რა სახის უმრავლესობასთან უწევს უმცირესობას ცხოვრება? არის თუ არა ის ავტორიტეტული, რომელიც დომინანტობისა და მესაკუთრეობის განცდით არის შეპყრობილი? თუ ეს ის უმრავლესობაა, რომელსაც სიფრთხილითა და ყურადღებით

განსაზღვრულ ნორმებზე დაფუძნებული დინამიკური ბალანსის მიღწევა სურს, რომელიც თავის მხრივ უმცირესობათა უფლებების დაცვას უზრუნველყოფს? რამდენად მყარია ეს გარანტიები და რა მექანიზმები არსებობს ამ გარანტიების დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად?

4. რა არის ზომა ან წონა უმცირესობების საზოგადოებაში, რომლებთანაც ურთიერთობა გვიწევს, მათი ადამიანური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური უნარებისა და რესურსების ჭრილობი?
5. როგორია საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობის ხარისხი? არის თუ არა ურთიერთობა უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის რესურსების, ინდუსტრიების, პროფესიებისა და სხვადასხვა აქტივობების (უფლებებისა და ვალდებულებების) ჭრილობი, თუ დისკრიმინაციას აქვს ადგილი იმ ნორმებზე დაყრდნობით, რომელიც საზოგადოების დაყოფასა და სეგრეგაციას უწყობს ხელს ყველა ზემოხსენებულ სფეროში?
6. როგორია საზოგადოების ადამიანური გეოგრაფიის ბუნება? ალინიშნება თუ არა მათ შორის რაიმე სახის ბუნებრივი ან ხელოვნური განსხვავებები, წინააღმდეგობები ან კონფლიქტები? არის თუ არა გარკვეული ბუნებრივი რესურსები გათვლილი მხოლოდ უმცირესობის ან უმრავლესობის წევრებზე, თუ ეს რესურსები საერთოა?

7. აქვს თუ არა უმცირესობას რაიმე სახის კულტურული თავისებურება ან იდენტობა, რომელიც მას, შესაძლოა გრძელვადიან პერსპექტივაში, კულტურული დომინირების საშუალებას მისცემს? რა ეფექტს მოახდენს აღნიშნული უმრავლესობაზე?
8. აქვს თუ არა უმცირესობას ფესვები ან კავშირები იმ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, რომელსაც ის უმრავლესობასთან იყოფს, თუ მოკლებულია ყოველგვარ გარე ფესვებსა და კავშირებს? რა შედეგს მივიღებთ ორივე ალტერნატივის შემთხვევაში?
9. აქვს თუ არა უმცირესობას რაიმე დამახასიათებელი ფუნქცია ან გამოირჩევა თუ არა რაიმე კონკრეტული აქტივობით, რომლის შენარჩუნებაც მას სურს და რა არის ეს ფუნქციები თუ აქტივობები?
10. აქვს თუ არა უმცირესობას შესაძლებლობა ეს ფუნქციები და აქტივობები ნორმალურად და თავისუფლად განახორციელოს, თუ აღნიშნულის ორგანიზებისთვის სხვადასხვა ინსტიტუტებისა და ხელმძღვანელობის არსებობაა აუცილებელი?
11. რა როლს ასრულებენ ეს ინსტიტუტები და ხელმძღვანელები უმცირესობების ცხოვრებაში? ახერხებენ თუ არა ისინი უმცირესობების კულტურული იდენტობის შენარჩუნებას, დაცვასა და ხაზგასმას?
12. შესაძლებელია თუ არა, რომ ამგვარი ინსტიტუტები ინტერესთა ბაზად იქცეს, რომელიც უმცირესო-

ბების გამორჩეულ მახასიათებლებს კიდევ უფრო მეტად გაუსვამს ხაზს და დაარწმუნებს მათ, რომ მათი კულტურული მახასიათებლები ის ფაქტორებია, რომლებიც მათ, როგორც უმცირესობას, განსაზღვრავს?

13. მოახდენენ თუ არა ამგვარი ინსტიტუტები გაუცნობიერებლად, უმცირესობების წევრების მიერ ამ გამორჩეული მახასიათებლების ღირებულების ან მნიშვნელობის არსებითად ეჭვქვეშ დაყენების გამოწვევას და იმ კითხვის გაჩერნას, თუ რატომ არ უნდა გადაეცეს ეს მახასიათებლები სხვებს ან რატომ არ უნდა დავარწმუნოთ უმრავლესობა, რომ მანაც მიიღოს და გაიზიაროს ისინი?
14. თუკი უმცირესობა, როგორც ისტორიული, ასევე ეთნიკური ელემენტების ნაზავს წარმოადგენს, როგორ მოხერხდება მისი იდენტობის განსაზღვრა მისი ხალხის უმრავლესობაში აღრევის ან ეგოისტად ჩამოყალიბების რისკის გარეშე?
15. როგორ უნდა ვასწავლოთ უმცირესობას, რომ უმრავლესობის რეაქციებთან გამკლავება და უარყოფითი შედეგების შთანთქმა მოახერხოს ზიანის გარეშე?
16. როგორ შეიძლება განვითარდეს და წახალისდეს საერთო აქტივობები უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის? რომელი სფეროები უნდა იქნეს

- მხედველობაში მიღებული აღნიშნული საკითხის  
გადაწყვეტისას?
17. როგორ მოხერხდება „განსაკუთრებული“ და „ზო-  
გადი“ კულტურული იდენტობების დაცვა და მათი  
ერთობლივად თანაარსებობის უზრუნველყოფა?
- 18 რა უნდა გააკეთოს უმცირესობამ მისი კულტურის  
იმ ნაწილების განსასაზღვრად, რომელიც შესაძ-  
ლოა ზოგადად იქცეს? უმრავლესობის კულტურის  
რა ნაწილის გაზიარება შეუძლია მას? რა როლი  
აკისრია ამ პროცესში უმრავლესობას?
- ამ განმარტებების შესაბამისად, რომელიც იმ მიდ-  
გომას, ამოცანებსა და საკვანძო კითხვებს ეხება, რომ-  
ლებიც ამ საკითხებიდან გამომდინარეობს, შეგვიძლია  
დავასკვნათ, რომ ბევრი ძველი მოსაზრება, რომელიც  
ჯერ კიდევ იმპერიის დროს აღმოცენდა და განვითარდა,  
დღესდღეობით, ამ მოსაზრებების მიმართ დიდი პატი-  
ვისცემის მიუხედავად, ფაქტობრივად სრულიად გამოუ-  
სადეგარია უმცირესობებისთვის თანამედროვე ფიკჰის  
ჩამოყალიბების პროცესში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვა-  
ლიარებთ იმ სარგებელს, რომელიც მათ მათი დროისა  
და ადგილის გათვალისწინებით ჰქონდათ. ჩვენ უნდა  
დავუბრუნდეთ გამოცხადებასა და პირველ ისლამურ მო-  
დელს, ფიკჰის ზოგიერთი პრაქტიკოსის მიერ შეტანილი  
წვლილისა და ღვაწლის მხედველობაში მიღებით, რო-  
მელთა აზრმაც ისლამის ჭეშმარიტი სული ასახა და  
რომლებმაც სხვებზე უკეთ შეძლეს, წარმატებით გადაე-  
ლახათ ისტორიის შეზღუდვები. თუმცა, ასეთი მოსაზრე-

ბები მაინც ვერ იქნება მიჩნეული ისლამური გადაწყვეტილებების წყაროდ.

### სხვებთან მუსლიმთა ურთიერთობის ფუნდამენტური წესი

ყურანის შემდეგი აიები გამოხატავს მუსლიმების სხვებთან ურთიერთობის ოქროს წესს:

„არ გიკრძალავთ თქვენ ალლაჰი იმათ მიმართ, რომელიც არ შეგბრძოლებიან რწმენის თაობაზე და არ გაუძევებისართ საკუთარი სახლებიდან, რომ უქმნათ სიკეთე და მოეპყროთ სამართლიანად. უეჭველად, ალლაჰს უყვარს სამართლიანები. მაგრამ გიკრძალავს ალლაჰი იმათ დაუმეგობრდეთ, რომელთაც შეგებრძოლნენ რწმენის თაობაზე, გაგაძევეს საკუთარი სახლებიდან და მხარში ამოუდგნენ თქვენს დევნაში. ხოლო ვინც მათ დაუმეგობრდება, სწორედ, ისინი არიან ცოდვილნი.“ (სურა ალ-მუმთაჭანა: 8-9)

იბნ ალ-ჯავზი ამბობს: „აღნიშნული აია მუსლიმებს ნებას რთავს, იმ ადამიანებთან იმეგობრონ, რომელთაც მათ წინააღმდეგ ომი არ გამოუცხადებიათ და მათ მიმართ სიკეთე გამოიჩინონ, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ისინი მუსლიმების მოკავშირეები არ არიან.“<sup>27</sup> ალ-კურ-ტუბი ამბობს: „ეს აია ღმერთის ერთგვარ ნებართვას წარმოადგენს, რომ მუსლიმებს იმ ადამიანებთან მეგობრობა შეუძლიათ, რომლებიც მორწმუნების მიმართ მტრობას არ ავლენენ ან მათ წინააღმდეგ ომს არ აჩაღებენ. ის აცხადებს, რომ ღმერთი არ გიკრძალავს, იყო კე-

თილი იმ ადამიანებთან მიმართებით, რომლებიც არ გებ-რძვიან. “<sup>28</sup> იბნ ჯარის ტაბარიშ ყურადღება გაამახვილა სხვა რელიგიებისა და აღმსარებლობის არამუსლიმებზე. ის ამბობს: „ყველაზე სანდო მოსაზრება ისაა, რომ აღ-ნიშნული აია ყველა აღმსარებლობისა და რელიგიის მიმ-დევარს მიემართება, რომელთაც მუსლიმებმა სიკეთე უნდა დაანახონ და თანასწორად მოეპყრან. ღმერთი, ყო-ველგვარი გამონაკლისებისა და შეზღუდვების გარეშე, მოიხსენიებს ყველა იმ ადამიანს, რომლებიც მუსლიმებს არ ებრძვიან და არ აძევებენ მათ სახლებიდან.“<sup>29</sup>

მკვლევრების უმრავლესობა „მიუკერძოებლობაში“ სამართლიანობასაც მოიაზრებდა. თუმცა, კადა აბუ ბაქრ იბნ ალ-‘არაბის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირე-ბით განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა, რამდენადაც სამართლიანობა ნებისმიერი მუსლიმის თანმდევ თვისე-ბას წარმოადგენს, ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობი-სას, იქნება ეს მეგობარი თუ მეტოქე. ის ყურანის სიტ-ყვებს ციტირებს: „არ გაიძულოთ ზოგიერთ ადამიანთა მიმართ სიძულვილმა, რომ სამართლიანად არ იქცეო-დეთ; იყავით სამართლიანნი, ის უფრო ახლოა ღვთისმო-შიშობასთან“ (სურა ალ-მა’იდა:8). იბნ ალ-‘არაბის „მიუ-კერძოებლობას“ მოცემულ კონტექსტში ესმის როგორც კეთილმოსურნეობა, არამუსლიმების მიმართ ფინანსური კუთხით ხელგაშლილობის გამოვლენით, მაშინ როცა სა-მართლიანობას იჩენენ არა მხოლოდ იმ ადამიანების მი-მართ, რომლებიც მუსლიმებს არ ებრძვიან, არამედ იმ ადამიანების მიმართაც, რომლებიც მათ ებრძვიან.<sup>30</sup>

ეს ორი აია იმ მორალურ და სამართლებრივ საფუძველსა და პრინციპს აყალიბებს, რომელიც მუსლიმებმა სხვა რელიგიის მიმდევრებთან ურთიერთობისას უნდა დაიცვან: სიკეთე და სამართლიანობა ყველა არა-მეომარი საზოგადოების მიმართ. ყველა მოვლენა და ახალი სიტუაცია სწორედ ამ პრინციპის შესაბამისად უნდა იქნეს განხილული და შეფასებული. მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის ურთიერთობა ვერ გასცდება მთავარ ჩარჩოს. ღმერთის მიერ საკუთარი სიტყვების გამომჟღავნებისა და მისი შუამავლების გამოგზავნის მთავარ მიზანს დედამიწაზე სამართლიანობის დამყარება წარმოადგენდა. ყურანი ამბობს: „წარმოვგზავნეთ ჩვენი შუამავალნი ცხადი მტკიცებებით და ზემოვავლინეთ მათთან ერთად წიგნი და სასწორი, რათა განსაჯოს ხალხმა სამართლით“ (სურა ალ-ჭადრ: 25) ეს უნივერსალური და უდავო პრინციპია, რომელიც თანაბრად გამოიყენება, როგორც მუსლიმების, ასევე არამუსლიმების უფლებებთან მიმართებით.

### დაწინაურებული თემი

ყურანი მუსლიმთა საზოგადოებას „ყველაზე საუკეთესო თემად მოიხსენიებს, ვინც კი მოვლენილა ხალხთა შორის“ (სურა ალ-‘იმრან: 110). აღნიშნული განცხადება ცხადყოფს, რომ მუსლიმური თემის თვისებები იმ ფაქტში მდგომარეობს, რომ ღმერთმა სწორედ მათ დააკისრა კაცობრიობის სიბნელიდან სინათლეში გამოყვანის

და ადამიანთა მონობიდან ყოვლისშემძლე ღმერთის მსახურებამდე მიყვანის როლი, როგორც ეს რაპი‘ იპნ ჰმიორი (მუსლიმთა წარგზავნილი/ემისარი) განაცხადა, როდესაც სპარსეთის არმიის მხედართმთავარს (რუსტამი) მიმართა. ეს ის თემია, რომელიც იმისთვის იქნა შექმნილი, რომ სხვებს წარუდრვეს წინ და რომლის ბუნება და როლი დედამიწაზე გადაჯაჭვულია.

მკვლევრებმა, როგორც წარსულში, ასევე ანტყოში, არაერთხელ გაუსვეს ხაზი ამ კავშირს მუსლიმური თემის ბუნებასა და როლს შორის. ამ განცხადების განმარტებისას, ‘იქრიმა ამბობს: „საუკეთესონი კაცობრიობაში ემსახურებიან კაცობრიობას. წარსულში ადამიანები არ იყვნენ უსაფრთხოდ უცხო მიწაზე, მაგრამ როდესაც საუბარია მუსლიმებზე, ნებისმიერი რასის ადამიანებს შეუძლიათ დაცულად იგრძნონ თავი თქვენს შორის, ვინაიდან თქვენ საუკეთესო ხალხი ხართ კაცობრიობისთვის.“<sup>31</sup> იპნ ალ-ჯავზი ამბობს: „თქვენ ხართ საუკეთესო ხალხი კაცობრიობისთვის“<sup>32</sup>. იპნ ქასირი ამბობს: „ეს იმას ნიშნავს, რომ მუსლიმური თემი საუკეთესოა და ყველაზე დიდ პასუხისმგებლობას გრძნობენ სხვა ადამიანებთან მიმართებით.“<sup>33</sup> ალ-ნაჭავი და ალ-ბალგიც სწორედ ამ მოსაზრებას იზიარებენ.<sup>34</sup> აბუ ას-სუ‘სუდ კი-დევ უფრო აკონკრეტებს ამ განცხადებას: „თქვენ საუკეთესო საზოგადოება ხართ ადამიანებისთვის, რაც ნიშნავს, რომ ხართ თემი, რომელიც ყოველთვის მზადაა დაეხმაროს სხვებს. ალნიშნული იმ ფაქტშიც მოიაზრება, რომ მუსლიმური თემი შეიქმნა კაცობრიობის საკეთილ-დღეოდ.“<sup>35</sup> იგივე პოზიციას იზიარებს ალ-ხატიბიც, რო-

მელიც ამბობს: „მუსლიმური თემი მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ მას არ უნდა მოიხმაროს რაიმე სარგებელი მხოლოდ თავისთვის, არამედ ეს სარგებელი ადამიანთა სხვა საზოგადოებებსაც უნდა გაუზიაროს.“<sup>36</sup>

სწორედ ამ ორი თვისების გამო, მუსლიმური უმმას როლი არ შემოიფარგლება კონკრეტული ტერიტორიით ან სივრცით. მან სხვა ხალხებსაც უნდა მიმართოს და გადასცეს ღმერთის გზავნილი. შესაბამისად, ნებისმიერი მითითება დარ ალ-ქუფრ, დარ ალ-ისლამ ან დარ ალ-ჯარბ-ზე, როგორც გეოგრაფიულ ცნებებზე, ზედმეტი და შემზღვეული ხდება.

მართლაც, თემის ან უმმას კონცეფცია ისლამურ იურისპრუდენციაში არ არის დაკავშირებული ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფთან ან გეოგრაფიულ მდებარეობასთან. ის მხოლოდ პრინციპზეა დაფუძნებული, მაშინაც კი თუკი მხოლოდ ერთ ადამიანს ეხება. ამგვარად, ყურანი იბრაჰიმს, როგორც თემს მიმართავს. ის ამბობს: „უეჭველად იბრაჰიმი ალლაჰის მორჩილი, ჰანიფი წინამდლოლი იყო. და წარმართთავანი არ ყოფილა იგი. მადლი-ერი წყალობათა მისსა, გამოარჩია იგი და ჭეშმარიტ გზას დაადგინა.“ (სურა ან-ნაჰლ: 120-121).

კლასიკური ისლამის პერიოდის ზოგიერთმა სწავლულმა განსაზღვრა ის, რასაც აქ ვგულისხმობთ და ეს შეზღუდვები მხოლოდ ისლამის ფართოდ გავრცელებასა და მუსლიმების უსაფრთხოებას დაუკავშირა. ისლამის-თვის უცხოა გეოგრაფიული საზღვრები; დარ ალ-ისლამ ნებისმიერი ადგილია, სადაც მუსლიმს მშვიდად და უსაფრთხოდ შეუძლია ცხოვრება, მაშინაც კი თუკი ის

არაისლამურ უმრავლესობაში ცხოვრობს. ანალოგიურად, დარ ალ-ქუფრ ნებისმიერ იმ ადგილს მიესადაგება, სადაც მუსლიმებს საფრთხის ქვეშ უწევთ ცხოვრება, იმ შემთხვევაშიც კი თუკი უმრავლესობა აღიარებს ისლამს და ისლამურ კულტურას.

ალ-ქასანი ამბობს: „ჩვენი [ჭანაფრ] მეცნიერები თანხმდებიან, რომ დარ ალ-ქუფრ შესაძლოა იქცეს დარ ალ-ისლამ-ად, თუკი ამ ტერიტორიაზე ისლამური სამართლის გავრცელება მოხდება.“<sup>37</sup> კადარ აბუ ჯუსუფი და მუჰამმად იბნ ალ-ჭასანი კი ამბობდნენ, რომ „დარ ალ-ისლამ დარ ალ-ქუფრ-ად მაშინ იქცევა, როდესაც დამკვიდრდება არაისლამური სამართალი.“<sup>38</sup> იბნ ჭავარი ალ-მავარდის მოსაზრებას, რომელშიც ის ამ მოსაზრებაზე გაცილებით შორს მიდის და აცხადებს, რომ მუსლიმისთვის გაცილებით უმჯობესია, ისეთ ქვეყანაში იცხოვროს, რომელშიც საკუთარი რწმენის თავისუფლად გამოხატვას შეძლებს, ნაცვლად იმისა, რომ იცხოვროს დარ ალ-ისლამ-ში, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ის გაცილებით მეტი ადამიანის მოქცევას შეძლებს საკუთარ რწმენაზე და მათვის საკუთარი რელიგიის გაცნობას, თუნდაც მხოლოდ მათ გარემოცვაში ცხოვრებით. ალ-მავარდი ამბობს: „თუკი მუსლიმს ღიად შეუძლია საკუთარი რწმენის გამოხატვა არა-ისლამურ მინაზე, ეს მინახდება დარ ალ-ისლამ იმის გამო, რომ შეუძლია თავისუფლად იცხოვროს ამ მინაზე. „ასეთ ქვეყანაში დასახლება უმჯობესია, ვიდრე იქიდან წასვლა, რადგანაც სხვა ადამიანების მათი ისლამზე მოქცევის მეტი შესაძლებლობა არსებობს.“<sup>39</sup>

იმამ ფახრ ად-დინ არ-რაზი აბსოლუტურად სწორი იყო, როდესაც დაიმოწმა აშ-შაშის მოსაზრებები და საფუძვლად დაუდო მიწების ძველი კლასიფიკაციის შესანიშნავი ალტერნატივის შემუშავებას. დარ ალ-ჭარბ-ის ნაცვლად ის მთელ სამყაროს დარ ალ-და'ვა-დ ანუ ის-ლამის გავრცელების მიწად მიიჩნევს, ხოლო დარ ალ-ისლამ-ს დარ ალ-იჯაბა-დ, ანუ თანხმობის მიწად. ის ხალხის კლასიფიკაციასაც ახდენს, კერძოდ, არა-მუსლიმების - უმმათ ად-და'ვა-ად, ხოლო მუსლიმების - უმმათ ალ-იჯაბა-ად.

### ადამიანის უფლებების დაცვა

ღმერთის ქების ღირსნი გახდნენ ის მორწმუნები, რომლებიც პოზიტიურები იყვნენ და საკუთარ უფლებებს იცავდნენ. ღმერთი ხოტბას ასხამდა მათ ტირანისა და უსამართლობის უარყოფისა და უპატივცემულობისა და დამცირების მიუღებლობის გამო. ღმერთი ამბობს: „და ისინი, როცა ეწევათ უსამართლო მძლავრობა, ერთმანეთს შეეწევიან.“ (სურა აშ-შურა: 39) ალნიშნული აიას კომენტირებისას იბნ ალ-ჯავზი ამბობს: „მუსლიმმა არ უნდა დაუშვას, რომ მას შეურაცხყოფა მიაყენონ.“<sup>40</sup> იბნ თამიოდა ამბობს: „შურისძიების საპირისპირო განცდა სევდაა, ხოლო მოთმინების საპირისპირო - სასონარკვეთილება; არც შურისძიება და არც სასონარკვეთილება არ არის ქების ღირსი, როგორც ამას ბევრი ადამიანის შემთხვევაში ვაწყდებით, მათ შორის რელიგიური

პირების, რომლებიც არასწორად იქცევიან ან თავად ხდებიან ამაზრზენი საქციელის მოწმენი. ისინი არც თავის უფლებებს იცავენ და არც შურს იძიებენ, ისევე როგორც არც მომთმენნი არ არიან; რეალურად ისინი ნალვლიანები და სასოწარკვეთილები ხდებიან.<sup>“<sup>41</sup></sup>

ამგვარად, მუსლიმების მიერ დამცირების, დაბალ თანამდებობებზე ჩამოქვეითებისა და სხვების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების მოთმენა ან თავს შეკავება პროაქტიური ურთიერთობისგან გარესამყაროსთან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, წინააღმდეგობაში მოვა ყურანის დებულებებში ჩამოყალიბებულ პრინციპებთან, რომლებიც მოუწოდებენ მათ პოზიტიური და კონსტრუქციული ჩართულობისკენ.

### **თავშეკავებულობა**

იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მუსლიმი უმცირესობების აქტიური ჩართულობა უმრავლესობასთან მათი მხრიდან გარკვეულ თავაზიანობას მოითხოვს, რომელმაც შესაძლოა უმცირესობის ქცევა ან მახასიათებლები შეასუსტოს მათი რწმენის ძირითადი ელემენტების პარალელურად, მისაღები და საპატიებელია, ვინაიდან ამ ჩართულობის გარეშე შეუძლებელი იქნება უფრო დიდი სიკეთის გაკეთება და სარგებლის მიღება. ეს ისლამური ფიკჰის-თვის სიახლეს არ წარმოადგენს. ეს ისაა, რასაც მუსლიმი სწავლულები ჯერ კიდევ პირველი ოთხი ხალიფას ეპოქის დასრულების შემდეგ იზიარებდნენ. მუსლიმები ორი არ-

ჩევანის წინაშე იდგნენ: პოზიტიური ჩართულობა გარკვეული დათმობებითა და შეზღუდვებით, რასაც მმართველი ტირანის რეალობა მოითხოვდა, ან პასიური მონაწილეობითა და დისტანცირებით, უმმა-ს ტირანების ხელში მარტივ ნადავლად ქცევით. ისინი პირველს ირჩევდნენ, იქიდან გამომდინარე რაც მათ ისლამის პოზიტიურ და მოქნილ დამოკიდებულებაზე იცოდნენ.

ამ პრინციპის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, იბნ თამითა ამბობს: „მუსლიმები ძალიან უნდა ეცადნონ, რომ არსებულ ვითარებას მოერგონ. ისინი, ვინც საკუთარ სამსახურს ღმერთის მსახურების მიზნით, ისლამის ამოცანების შესრულებისა და მისი შესაძლებლობის ფარგლებში ადამიანების ინტერესების გატარების მიზნით განიხილავს და მაქსიმალურად ცდილობს თავიდან აიცილოს ბოროტება, არ დაისჯება იმის გამო, რომ რაღაცას ვერ მიაღწია. გაცილებით უმჯობესია, როდესაც თანამდებობაზე კარგი ადამიანები არიან, ვიდრე ცუდი ადამიანები.“<sup>42</sup> მან ასევე თქვა: „რიგი მუსლიმების, როგორც მმართველთა ისე მათ ქვეშევრდომთა მიერ ჩადენილმა ბოროტებამ და ცოდვებმა არ უნდა შეაფერხოს დანარჩენი მუსლიმების მონაწილეობა კეთილშობილურ საქმეებში. დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, ის აუცილებლად იტყვიდა: „[ჩადენილი] ზოგიერთი არა-მუსლიმის, მმართველის ან ქვეშევრდომის“<sup>43</sup> მიერ, რაც შეესაბამებოდა მათ მიერ აღიარებული სამართლებრივი ბალანსის ფუნდამენტურ პრინციპებს, დროის ცვლილების შესაბამისად.

ანალოგიური ლოგიკით, იბნ ჭავარმა აღიარა თანამდებობის ძიებისა და მისთვის ბრძოლის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული იკრძალება სუნათი, თუკი მუსლიმთა ინტერესები საფრთხეშია ან ილახება ან სრულიად იგნორირებულია. მან თქვა: „თანამდებიბის დაკავება გაფლანგვის შიშის გამო და მისგან თავის ასაცილებლად უტოლდება ნებაყოფლობით მოწყალების გაცემას, ვინაიდან, როგორც წესი, ის გაიცემა პირადი სარგებლის გარეშე. ასეთი სურვილი მათთვის, ვინც გადაწყვეტს თანამდებობის დაკავებას, ვალდებულებად იქცევა.“<sup>44</sup>

### **აბისინიაში ემიგრაციიდან მიღებული გაკვეთილები**

ისლამის საწყის პერიოდში, მუსლიმების ნაწილმა თავშესაფარი აბისინიის (ეთიოპიის) არამუსლიმთა მიწაზე ჰპოვა, რათა საკუთარი რწმენა დაეცვათ. აღნიშნული მოვლენა საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მატარებელი და ყურადღების ღირსია, ვინაიდან ის მაშინ მოხდა, როდესაც მუსლიმები ისევე სუსტად იყვნენ, როგორც დღესდღეობით არიან და მაშინ, როცა ისლამური სამართლისა და ფიკტის საფუძვლები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო.

აღნიშნული პროცესის ფარგლებში საინტერესო შემთხვევა მოხდა, რაც იმის შესანიშნავ მტკიცებულებად და მაგალითად გამოდგება, თუ რისი გაკეთება შეუძლი-

ათ მუსლიმ ემიგრანტებს საკუთარი რწმენისა და ინტერესების დასაცავად, თავდაჯერებულობისა და სხვათა ნდობის მოსაპოვებლად და ისლამის მიმართ ყურადღების მისაპყრობად.

თავის მუსნადში<sup>45</sup> იმამ აჭმადი საკმაოდ დიდი მოცულობის მოხსენების რამდენიმე ანგარიშს აერთიანებს, რომელიც იმას ეხება, თუ როგორ გადაწყვიტეს არაბმა კურაიშიტებმა აბისინიაში გადასახლებული მუსლიმი ემიგრანტების დევნა. მათ აბისინის ნეგუსთან და მის პატრიარქებთან საჩუქრებით, ძლვენითა და ტკბილეულობით დატვირთული ‘ამრ იბნ ალ-‘ას და ‘აბდ ალლაჰ’ იბნ აბი რაბი‘ა წარგზავნეს, რათა ისინი მუსლიმი ლტოლვილების გადმოცემაში დაერწმუნებინათ და დაეყოლიებინათ, რათა მათ, თავის მხრივ, ეს ლტოლვილები იძულებით მექაში დაეპრუნებინათ.

ნეგუსის სასამართლოს წინაშე პირველი სიტყვა ‘ამრმა წარმოთქვა, ხოლო შემდეგ ‘აბდ ალლაჰ’ მელმაც შემდეგი რამ თქვა:

„თქვენი უდიდებულესობავ, ჩვენი რამდენიმე უგუნური ახალგაზრდა თქვენს ქვეყანაში ჩამოვიდა, უარყო საკუთარი ხალხის რელიგია და ამასთან არც თქვენი რწმენა მიუღია. ისინი ჩამოვიდნენ ახალი რელიგიით, რომელიც არც თქვენ და არც ჩვენ არ გვესმის. მათი ხალხის, მამების, ბიძებისა და ტომის წარჩინებულებმა ჩვენ წარმოგვგზავნეს თქვენთან, რათა მათი უკან დაბრუნება გვეთხოვა, რადგან მათ, ვინც წარმოგვგზავნა, უკეთ იციან რა ჯობია ამ ახალგაზრდებისთვის, რა დააშავეს მათ და უკვე გაფრთხილებულიც ჰყავდათ ისინი.“

მისმა პატრიარქებმა მოიწონეს რაც ითქვა და მეფეს მუსლიმი ახალგაზრდების მათთვის გადაცემა ურჩიეს, რათა ისინი თავის ქვეყანაში და თავის ხალხთან დაებრუნებინათ. თუმცა, ნეგუსი, რომელიც სამართლიანი კაცი იყო, საბოლოო გადაწყვეტილებას ორივე მხარის არგუმენტების მოსმენის გარეშე ვერ მიიღებდა, შესაბამისად, მუსლიმების მის წინაშე წარდგომა მოითხოვა. როდესაც მისი ემისარი მათთან მივიდა, მუსლიმები ერთმანეთს შეუთანხმდნენ, თუ რა უნდა ეთქვათ ნეგუსის-თვის, როდესაც მას შეხვდებოდნენ. მათ გადაწყვიტეს ნეგუსისთვის ყველაფერი ეთქვათ, რაც იცოდნენ და რაც მათ შუამავალმა ასწავლა, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგი დადგებოდა. ისინი ნეგუსის წინაშე წარდგნენ, მან კი თავის ეპისკოპოსებსა და პრელატებს უხმო, რომელთაც თავის წინ გადაშლილი წმინდა წიგნები ეწყოთ. მან მუსლიმებს პირველად შემდეგი რამ ჰქითხა: „რა არის ის რელიგია, რომელმაც საკუთარი ხალხისგან მოშორებით ყოფნისენ გიბიძგათ და ამასთან არც ჩემს რელიგიაზე და არც რომელიმე სხვა რელიგიაზე არ მოქცეულხართ?“

უმმ სალამას გადმოცემით, ჯა'ფარ იბნ აბი ტალიბმა უპასუხა ნეგუსს შემდეგი სიტყვებით:

„ოპ, მეფეო, ჩვენ ის ხალხი ვიყავით, რომლებიც უმეცრებაში ვცხოვრობდით, კერპებს ვეთაყვანებოდით, ცხოველის ლესს ვჭამდით, ცოდვებს ჩავდიოდით, ჩვენს ოჯახებს უარვყოფდით და მეზობლებს ვამცირებდით. ჩვენს შორის ძლიერნი სუსტებს ჩაგრავდნენ. ასე იქამდე ვცხოვრობდით, სანამ ღმერთმა შუამავალი არ გამოგ-

ვიგზავნა, ერთ-ერთი ჩვენგანი, რომლის წარმომავლობა, წესიერება, გულწრფელობა და სიწმინდე კარგადაა ჩვენ-თვის ცნობილი. მან მოგვიწოდა, რომ გვერწმუნა ერთი ღმერთი და მხოლოდ მისთვის გვეცა თაყვანი, ხოლო ის ქვები და კერპები დაგვემსხვრია, რომელსაც ჩვენ და ჩვენი მამები იმ დრომდე ვცემდით თაყვანს. მან მოგვი-წოდა, რომ მართალი ვყოფილიყავით ჩვენს სიტყვებში, ნდობა შეგვენარჩუნებინა, ჩვენს ოჯახზე გვეზრუნა, სი-კეთე გამოგვეჩინა ჩვენი მეზობლების მიმართ და თავი შეგვეკავებინა დამამცირებელი საქციელისა და მკვლე-ლობისგან. მან ასევე გვირჩია, რომ თავიდან აგვერიდე-ბინა ულირსი საქციელი, სიცრუე, ობლებისთვის ქონების წართმევა და უმწიკვლო ქალების მიმართ ცილისწამება. ის მოგვიწოდებდა, რომ მხოლოდ ღმერთისთვის გვეცა თაყვანი და სხვა არავისთვის, ასევე გვასწავლა, რომ უნ-და გველოცა, მოწყალება გაგველო და მარხვა დაგვეცვა. ჩვენ მისი გვწამდა და მის სწავლებებს ვიზიარებდით, თუმცა ჩვენი ხალხი თავს დაგვესხა და შეეცადა დავერ-წმუნებინეთ, რომ ჩვენს რელიგიაზე უარი გვეთქვა, კვლავ კერპთაყვანისმცემლობაზე მოვქცეულიყავით და იმ უყანონო ქმედებების ჩადენას დავბრუნებოდით, რა-საც წარსულში ვახორციელებდით. როდესაც მათ გვძლიეს და შეგვავინროვეს, ხელს გვიშლიდნენ რელიგი-ური პრაქტიკის განხორციელებაში, ჩვენ თქვენი ქვეყანა გამოვარჩიეთ ყველა სხვა ქვეყანას შორის და აქ ჩამოვე-დით, გვსურს თქვენს მეზობლად ვიცხოვროთ და ო, დი-დო მეფეო, ვიმედოვნებთ, რომ თქვენს მიწაზე არ გაგ-რძელდება ჩვენი დევნა.“ სხვა გადმოცემებში ისიცაა მი-

თითებული, რომ მეფის წინაშე წარდგომისას ჯა‘ფარმა უარი თქვა ნეგუსის წინაშე მუხლმოყრაზე. როდესაც მას მეფის კარისკაცებმა ჰკითხეს, თუ რატომ არ მოიდრიკა მუხლი ჯა‘ფარმა მეფის წინაშე, მან უპასუხა: „ჩვენ მხოლოდ ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე ვიდრეკთ მუხლს.“

დებატები მუსლიმების გამარჯვებით დასრულდა, რომლებმაც საკუთარი მონინაალმდეგების დამარცხება მოახერხეს, ვინაიდან, ნეგუსი მათი არგუმენტების სისწორესა და სამართლიანობაში დარწმუნდა. კურაიშიტთა წარგზავნილები სახლში „დარცხვენილები დაბრუნდნენ და მათი ყველა არგუმენტი უარყოფილ იქნა,“ როგორც ეს უმმ სალამამ აღნიშნა. ამ შემთხვევის შემდეგ, მუსლიმებსა და აბისინიის ქრისტიან მონარქს შორის ურთიერთობა ისე განვითარდა, რომ მუსლიმები მისი მონინაალმდეგების წინააღმდეგ ტახტისთვის ბრძოლაში მისი გამარჯვებისთვის ლოცულობდნენ. უმმ სალამა ამბობდა: „ჩვენ ღმერთს ვევედრებოდით, რომ ნეგუსს მისი მონინაალმდეგებისთვის ეძლია და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვება მოეპოვებინა, რათა ქვეყანაში თავისი სამართალი დაემკვიდრებინა.“ ამგვარი ურთიერთობის ლოგიკური შედეგი ის იყო, რომ ნეგუსმა საბოლოოდ ისლამის რელიგია მიიღო.

## დასკვნა

ამ მოკლე მონოგრაფიიდან ნათელი ხდება, რომ მუსლიმ უმცირესობებთან დაკავშირებული ისლამური ფიკჲი ძირითადად ისლამის ზოგადი ფიკჲისგან გამომდინარეობს. ის ძირითადი ელემენტების, პრიორიტეტების (აღ-ავლავიმენი), კონტრასტების (აღ-მუვაჩანა), რეალობების, შედარებითი ფიკჲის, ეთიკის ფიკჲის და ა.შ. მსგავს კატეგორიებში გადის. შესბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ფიკჲის აღნიშნული დარგი „ზოგადი ფიკჲის“ გარკვეულ ელემენტებს მოიცავს, ის კონკრეტულად იმ საკითხებზე კონცენტრირდება, რომელიც არა-ისლამურ უმრავლესობაში მცხოვრებ მუსლიმ უმცირესობებს ეხება, რომლებიც განსხვავებული ჩვეულებების, კანონმდებლობისა და სამართლის ფარგლებში საკუთარი იდენტობის შენარჩუნებას ცდილობენ. მართლაც, კულტურა მომდინარეობს ფიკჲისა და იმ ნორმებისგან რომლებითაც იმართება საზოგადოება. ფიკჲი და რელიგიური გადაწყვეტილებები არგუმენტებისა და ინტერპრეტაციების უწყვეტი ჯაჭვის სახით მუდმივად აჩენს კითხვებს, სადაც ფიკჲი, რელიგიური კანონმდებლობა და კულტურა ურთიერთშენაცვლებად როლს თამაშობენ. რიგი მეთოდები, საშუალებები და ინსტრუმენტები არსებობს, რომლის მეშვეობითაც ფიკჲის ფორმულირება მყარ საფუძველზეა შესაძლებელი და აღნიშნული შემდეგ მეთოდებს აერთიანებს: „ფიკჲი უმცირესობე-

ბისთვის“ კოლექტიური დისციპლინაა და მისი განხორციელება ინდივიდუალურად დაუშენებელია. ის მრავალმხრივია და განსხვავებულ ასპექტებს აერთიანებს, რომელიც ნებისმიერ ინდივიდუალურ მიდგომას პოტენციურად სახიფათოს ხდის. ის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ და სამართლებრივ ელემენტებსაც აერთიანებს. ფიკჰის სამართლებრივი მხარე ფაქტებისა და საკითხებისადმი შესაბამის განხილვას მოითხოვს. ვერცერთი მიდგომა ვერ იქნება ადეკვატური განსახილველი საკითხის ყველა ასპექტის სათანადო განხილვის გარეშე. ეს კი ისეთი ამოცანაა, რომელიც ვერასდროს განხორციელდება სრულად ერთი კონკრეტული ინდივიდის მიერ. ის სხვადასხვა სოციალური და რელიგიური დისციპლინების არაერთი მეცნიერისა და სპეციალისტის კოლექტიურ ჩართულობას მოითხოვს. ამ ადამიანებმა დაწვრილებით უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ ეს საკითხი ყველა თვალსაზრისით, განსაკუთრებით ზოგადი კუთხით, რაც დიდ გავლენას ახდენს მუსლიმი უმცირესობების მომავალზე, რათა ზუსტად ჩამოაყალიბონ პრობლემები და მოიძიონ მათი გადაწყვეტა ფიკჰი. მართლაც, ფიკჰი, რომელიც ამ შემთხვევებისთვის შემუშავდა, დაფუძნებული უნდა იყოს არა ნაწილობრივ მტკიცებულებაზე ან იურისტების მიერ საზოგადოდ აღიარებულ ფაქტებზე, არამედ უმეტესწილად ყურანისა და სუნას უნივერსალურ პრინციპებსა და შარიათის განსაზღვრულ ღირებულებებსა და ამოცანებზე (მაკატიდ). შესაბამისად, ის მრავალმხრივი დისციპლინაა, რომლის გაგება და სრულად ათვისება, როგორც ზემოთ

იყო აღნიშნული, შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც აქვს მხოლოდ ფიკტის მრავალი ასპექტისა და დარგის საფუძვლიან ცოდნასა და დიდი გამოცდილებას.

სპეციალისტების სემინარები, შესაძლოა, „ფიკტიუმცირესობებისთვის“ განვითარების ეფექტურ ფორუმად იქცეს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი კარგად დაიგეგმება, საკმარისი დრო დაეთმობათ და მონაწილეობას მიღებენ სპეციალისტები, მკვლევრები და მეცნიერები. მსგავსი სემინარების მიზანი ამ დარგის სხვადასხვა ასპექტების შესახებ მსჯელობა და დამაკმაყოფილებელი პასუხების მოძიებაა, რაც უმცირესობების იდენტობის განსაზღვრისთვის იქნება გამოსადეგი.

ზოგი საკითხი შესაძლოა სამეცნიერო-კვლევით პროექტად მოდიფიცირდეს შემდგომი და უფრო სიღრმისეული კვლევისა და შესწავლისთვის, რასაც სათანადო დრო და ძალისხმევა დაეთმობა. ზოგი საკითხი შესაძლოა რეკომენდებულ იქნეს აკადემიური ხარისხის მისაღებად უნივერსიტეტის დონეზე, ექსპერტების ან პროფესორები ხელმძღვანელობით, რომელიც ფლობენ სპეციალურ ცოდნას ამ დარგში. მაგალითად, ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხი შესაძლოა ერთობლივად განიხილოს როგორც ეკონომისტმა, ასევე სამართლებრივმა ექსპერტმა და რელიგიურმა იურისტმა, რომელიც საკითხს მათი პროფესიული კუთხიდან განიხილავს. თუმცა, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ენასა და ლინგვისტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკვლევი საკითხის ფორმულირებისა და მისი კონცეპტუალიზაციისათვის ფიკტის თვალსაზრისით.

როდესაც ფათვების ძიება ან გაცემა ხდება, განსაკუთრებით მუსლიმ უმცირესობებთან მიმართებით, ზოგადად რეკომენდებულია, რომ ადამიანებმა კითხვები წარადგინონ წერილობითი სახით. დაწერილ კითხვას, დიდი ალბათობით, მეტი ყურადღება დაეთმობა და უფრო მეტადაც იფიქრებენ მასზე. რეკომენდებულია, რომ სპეციალისტებმაც, რომელთაც ამ სახის დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა ევალებათ, პასუხი თავადაც წერილობითი ფორმით გასცენ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი გაუგებრობა ან ცდომილება. ადამიანები, როგორც წესი, პასუხის ისეთ ინტერპრეტაციას ახდენენ, როგორც თავად სურთ და ნაკლებად უდგებიან შესაფერისი ობიექტურობით. როდესაც კითხვის დამსმელები კითხვას სპეციფიკურად სვამენ, კითხვის ადრესატმა იურისტებმა, თავის დაზღვევის მიზნით, უნდა მოსთხოვონ კითხვის დუბლირება წერილობითი ფორმით, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მათ შორის ერთი შეხედვით არავთარი გაუგებრობა არ არსებობს.

წერა, როგორც წესი, ფოკუსირებასა და აზროვნებას მოითხოვს, კითხვის დამსმელებს კი საკითხების გაცხრილვის შესაძლებლობას აძლევს და მათი იდეების ახსნისას მეტ თავდაჯერებულობას სძენს. თუკი ამის შემდეგ კითხვის ადრესატები მოისურვებენ, რომ იდეები კითხვის დამსმელებთან დააბუსტონ ტელეფონით ან პირთან პირადი შეხვედრით, რათა კითხვის დამსმელებს მათივე კითხვის ყველა დეტალის გაგებაში დაეხმარონ, გაცილებით უმჯობესი იქნება. მეორე მხრივ, ადრესატებსაც მოეთხოვებათ მათი პასუხების ჩაწერა, რათა წე-

რილის ან პასუხის შინაარსის არასწორად გამოყენება ან თვითნებური ინტერპრეტაცია აიცილონ თავიდან. აღნიშნულმა, როგორც კითხვების, ასევე პასუხების სისწორისა და ერთიანობისთვის საჭირო გარანტიის როლი უნდა შეასრულოს.

ასევე აუცილებელია, რომ ადამიანებმა ზუსტად გააცნობიერონ ფათვების მნიშვნელობა და მათი გავლენა მუსლიმი უმცირესობების მომავალზე, ისევე, როგორც მათი ურთიერთობის მნიშვნელობა საზოგადოების სხვა წევრებთან, ასევე მათ გონებაში ისლამის ხატი და მისი ფათვების ცხოვრებაში გამოყენების პერსპექტივა. ფათვამ, შესაძლოა, ცალკეული ადამიანისათვის სპეციფიკური ან მოკლევადიანი სირთულის პრობლემის გადაჭრა შეძლოს, მაგრამ იმავდროულად რამდენიმე სხვა პრობლემა წამოჭრას, რომლებიც ინდივიდუალურ შემთხვევას სცილდება და მთელი საზოგადოების არსებულ და მომავალ მდგომარეობაზე ახდენს გავლენას. შესაძლო დასკვნებისა და შედევების გაცნობიერება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ე.წ. პრიორიტეტებისა და შედევების ფიკჰის პრინციპების, ისევე როგორც მისი სხვა დარგების მხედველობაში მიღების საჭიროებას, რომელიც რაც ისლამის დოგმების სწორ გამოყენებას უწყობს ხელს.

იურისტები ასევე სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი მათი საცხოვრებელი გარემოსა და კულტურული თუ სოციალური წრის თაობაზე. ამ გარემოში უმცირესობისა და უმრავლესობის თანაცხოვრების ბუნების შესახებ რიგი კითხვები უკვე გამოიკვეთა. ფიკჰის პრაქ-

ტიკოსებმა ეს ყველაფერი კარგად უნდა გაიაზრონ, რათა შესაფერისი პასუხების შეთავაზება შეძლონ ყველა თანმდევი გარემოების გათვალისწინებით. მათ საკუთარი დასკვნები უნდა გააცნონ არა მხოლოდ უშუალოდ დაინტერესებულ მხარეებს, არამედ საზოგადოების სხვა წევრებსაც როგორც მეჩეთებში, ასევე სხვა ნებისმიერ ადგილას, რათა მათი მნიშვნელობა და შესაძლო ეფექტი სრულად გახდეს გასაგები.

კიდევ ერთი შეკითხვა ისაა, თუ ვინ არის ყველაზე კვალიფიციური, ვინც „ფიკჲი უმცირესობებისთვის“ განვითარებას ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს. ჩვენ მიგვაჩინია, რომ უფრო ეფექტურია მუსლიმი სოციოლოგების უკვე არსებული ინსტიტუტებისა და ასოციაციების განვითარება, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელი გახდება ფიკჲის და შარიათის დეპარტამენტების დაფუძნება სტუდენტებისა და პრაქტიკოსი სპეციალისტებისათვის. აღნიშნული ტრადიციული იურისტებსა და თანამედროვე სოციოლოგებთან ერთად მუშაობისა და მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობას მისცემს, იმ საერთო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, რომლებსაც ჩვენ გამოვყოფთ. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ორ ჯგუფს შორის დებატებს ჩაუყრის საფუძველს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება შარიათის წყაროების გადაცემა სოციოლოგებისათვის. ანალოგიურად, შეიძლება გამოვლინდება გაირკვეს თანამედროვე სოციოლოგიური კვლევების სხვადასხვა ასპექტები, რომელიც მუსლიმი იურისტების ყურადღების მიღმა დარჩა.

ჩვენ არ ვთვლით, რომ ფიკტის საბჭოები, რა სახითაც ისინი დღეს არსებობს, ადეკვატურია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ისინი გადმოსცემენ ძველ ფათვებს თანამედროვე ენაზე. ან სასაუბრო მეტყველებას იყენებენ. ჩვენ ვითხოვთ საწყისი ინტერპრეტაციების გამოყენებას, რომლებიც უმცირესობათა პრობლემებს იმგვარად პასუხობს, რომ სრულიად დაცლილია უარყოფითი შედეგებისგან, რაც როგორც წესი, რაციონალურობის ან კრიზისის ფიკტს ახლავს. მუსლიმი უმცირესობებისთვის მათი პრობლემების გადაჭრის გზების მხოლოდ პრაქტიკულ მიზანშეწონილობაზე ან განსაკუთრებულობაზე დაყრდნობით შეთავაზება შესაძლოა საკმაოდ საზიანო შედეგების მომტანი იყოს მათთვის, რაც თავიდან უნდა იქნეს აცილებული. გამოსავალი კი იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებული სპეციალიზაციის ექსპერტები ერთად უნდა შეიკრიბონ სოციალური მეცნიერებების და ისლამური კვლევების ასოციაციების ფარგლებში. მათ თანასწორობის პრინციპის დაცვით უნდა ითანამშრომლონ, იმგვარად, რომ არცერთ ჯგუფს არ უნდა გაუჩნდეს იმის განცდა, რომ ის იყო ექსპლუატირებული და მარგინალიზებული სხვა ჯგუფების მიერ. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, ფილოსოფიური ან ეთიკური შინაარსის კითხვები წამოიჭრება, სხვადასხვა დარგის სპეციალისტი უნდა იქნეს ჩართული ამ საკითხების რელიგიური და სოციალური ასპექტების ერთობლივად განსახილველად. ჩვენი აზრით, მსგავსი მიდგომა გაცილებით

ეფექტური იქნება, ვიდრე ფიკჰის საბჭოების მხოლოდ შარიათის ექსპერტებით შემოფარგვლა.

განსახილველი საკითხების ბუნების განსაზღვრაში ასევე ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს დროისა და სივრცის ფაქტორები. აღნიშნული კი იმაში გამოიხატება, რომ მუსლიმი უმცირესობების ფიკჲის სფერო მუდმივად ღია უნდა იყოს შემდგომი განვითარებისათვის ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში. აღნიშნული ფიკჲის ყველა სფეროს ეხება, როგორც მაკროს, ასევე მიკრო დონეზე. ისლამური სისტემა, თავისი არსით, ღიაა, ცვალებადი გარემოებები კი უდავოდ ახდენს გავლენას განსახილველად წარმოდგენილი საკითხებისა და პრობლემების ბუნებაზე. აღნიშნული ერთი ქვეყნისა და პერიოდის ფარგლებშიც კი განსხვავდება. შესაბამისად, ნაცვლად იმისა, რომ მუსლიმი უმცირესობების ფიკჲი უცვლელი ან შეზღუდული დარჩეს, ის მუდმივად ღია უნდა იყოს იჯთიპადისა და კრიტიკული მსჯელობისთვის, იმ წუთიდან რა წუთიდანაც ის ფაქტორები წარმოიშობა, რომლებიც ადრე არ არსებობდა ან სათანადო ყურადღება არ დაეთმო, როდესაც საკითხი თავდაპირველად წამოიჭრა.

ისლამური სისტემა ღია სისტემაა, რომელშიც ბოლო სიტყვა იქამდე არ ითქმის, სანამ ის ფაქტის სახით არ იქნება დადასტურებული. მანამ, სანამ საკითხი იჯთიპადის ფარგლებში დარჩება, ის ღია უნდა იყოს მსჯელობის, გააზრების და ცვლილებებისთვის, თუკი ახალი ფაქტები ან ფაქტორები წარმოიშობა.

მეთოდები და პროცედურები, რომლებიც საჭიროა მუსლიმი უმცირესობების ფიკტის რეალიზებისთვის, უნდა შემუშავდეს რამდენიმე სფეროში. ზოგი მათგანი ინდივიდს, ორგანოს ან საბჭოს ეხება, რომელიც ფათვებს გამოსცემს ან იყენებს; ზოგი - ჯგუფს ან საზოგადოებას, რომლისთვისაც ფათვა გამოიცემა. აღნიშნულმა პროექტმა რომ შესაფერისი ფორმა მიიღოს და საზოგადოებას მეტი ინფორმაცია მიაწოდოს ფიკტის სისტემის ჩამოყალიბების შესახებ, უკეთ უნდა შევძლოთ ადამიანების პრობლემებზე რეაგირება. ასევე საჭიროა შევქმნათ ცოდნის გარკვეული ბაზა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ჩამოვაყალიბოთ ობიექტური პრინციპები, რომლებიც ცოდნის წყაროებს, აზროვნების მოდელებსა და მუსლიმი უმცირესობებისთვის ისლამური ფიკტის არსებით მახასიათებლებს განსაზღვრავს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი სიღრმისეული კვლევა, სწავლება და დასკვნების გამოტანაა საჭირო. აღნიშნული არა მხოლოდ კონკრეტულ საკითხებზე ვრცელდება, არამედ საზოგადოებაში მუსლიმი უმცირესობების კულტურულ, სოციალურ და სამართლებრივ არსებობაზე. ეს სცილდება ფიკტის კომპონენტების განსაზღვრას, რომელიც საერთოა ზოგადი ფიკტისა და უმცირესობების ფიკტისათვის, ასევე მათი დიფერენცირებისა და სპეციალიზაციის სფეროებისათვის.

ამ სახის ანალიზი და კვლევა ფიკტს სასარგებლოს გახდის არა მხოლოდ მუსლიმი უმცირესობებისთვის, არამედ მუსლიმი უმრავლესობისთვისაც, რომელსაც შეუძლია მისი გამოყენება თავისი ინტერესებისათვის.

და ბოლოს, ის რაც აქამდე ვისაუბრეთ ფიკჰზე მუსლიმი უმცირესობებისთვის, მხოლოდ შესავალია, რომელიც მიზნად ისახავდა ინტერესის გაღვივებას იმ საკითხებისადმი, რომლებიც ეხება მუსლიმ უმცირესობებს. ფიკჰი ღიაა დისკუსიისა და დებატებისთვის, ამდენად ღია უნდა იყოს მისი განვითარება, მის შესახებ არსებული ლიტერატურის დოკუმენტაცია და მისი საშუალებების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების შესახებ მსჯელობა და დასკვნების გამოტანა. აღნიშნული ღია უნდა იყოს მკვლევრების, მეცნირების, რელიგიური სწავლულებისა და ინტელექტუალებისთვის. ავტორი მოხარული იქნება, თუკი მკითხველისგან მიიღებს შენიშვნებს ან კომენტარებს, რაც შეიძლება გამოადგეს შემდგომი კვლევისა და ანალიზისთვის.

## ტერმინთა განმარტება

**აჭერა** მითითებები, აღებული უშუალოდ ყურანიდან და სუნადან.

**აჰლ ალ-ზიმმა:** დაცული ადამიანები, რომლებიც იცავენ საკუთარ რწმენას. ხალხი, რომელთანაც შეთანხმება ან ხელ-შეკრულება გაფორმდა, განსაკუთრებით კი წმინდა წიგნის ხალხთან. ამ კლასის ინდივიდი, ე.ო. თავისუფალი არამულიმი, მუსლიმური სახელმწიფოს ქვეშევრდომია.

**პლიმ (მრ. ‘ულამა):** მუსლიმი მეცნიერი. სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, „ის, ვინც იცის, მკვლევარი, მეცნიერი.“ ზოგადად იმ ადამიანების მიმართ გამოიყენება, რომელთაც ისლამისა და მისი წყაროების - ყურანისა და სუნას - სილრმისეული ცოდნა აქვთ. ალიმის მნიშვნელოვანი მახასიათებელი ისაა, რომ მას ღრმად სწამს ღმერ-

---

თის და ლვთისმოშიშობით გამოირჩევა.
<b>დარ ად-და ჭა:</b> მიწა, სადაც მოუწოდებენ ისლამისკენ.
<b>დარ ალ-იჯაბა:</b> თანხმობის მიწა.
<b>დარ ალ-ისლამ:</b> „ისლამის მიწა.“ მიწა, სადაც ალიარებენ ისლამს.
<b>დარ ალ-ქუფრ:</b> ქვეყანა, სადაც არ ალიარებენ ისლამს.
<b>ფაჰმ:</b> გაგება, აღქმა.
<b>ფათვა:</b> (ფათვას მრ. რ. ან ფათავა). ისლამურ სამართალთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე გამოთქმული სამართლებრივი აზრი, რომელიც ‘ნლიმ-ს, მუფთის ან მუჯთაჰიდს, ფაკიჰს ეკუთვნის.
<b>ფიკ:</b> სიტყვასიტყვით, „გაგება.“ ცოდნა ისლამზე მისი კანონების მეშვეობით; მეცნიერება ისლამურ სამართალზე. ტერმინი ფიკ ზოგჯერ შარიათის სინონიმად მოიხსენიება. თუმცა, მაშინ, როცა ფიკი უმეტესწილად ადამიანური შრომისა და საქმიანობის შედეგია, შარიათი

მჭიდროდაა დაკავშირებული საღ-  
მრთო გამოცხადებასთან და ცოდ-  
ნასთან, რომლის მიღება მხოლოდ  
ყურანიდან და სუნადანაა შესაძლე-  
ბელი.

**ფაკტი:** (*მრ. ფუკაპე*): სპეციალისტები ისლამური სამარ-  
თლის დარგში(ფიკჰ). ფაკტი შესაძ-  
ლოა ‘ჰლიმ-ის სინონიმადაც განვი-  
ხილოთ, რომელიც მუსლიმ მეცნი-  
ერს ნიშნავს.

**ლადბ:** ფარული-ის, რაც ადამიანური ალ-  
ქმის მიღმაა.

**ჭადის:** (*მრ, აქმდის*): წმინდა მუჰამმად (ს.ა.ს) შუამავლის  
გამონათქვამები და ქმედებები-სუ-  
ნა.

**ჭალალ:** ის, რაც კანონიერია (სამართლებ-  
რივად დაშვებული და ნებადართუ-  
ლია),

**ჭრაბ:** ის რაც უკანონო და აკრძალულია.

**იდდა:** თავშეკავების ვადა, რომელიც ქალ-  
მა უნდა გაიაროს მისი ქორწინების  
შეწყვეტის მიზეზით, განურჩევლად  
იმისა, ქორწინება განქორწინების  
გზით შეწყდა თუ მისი მეუღლის

გარდაცვალების მიზეზით. განქორნინების შემთხვევაში ეს ვადა სამ თვეს უტოლდება, ხოლო სიკვდილის შემთხვევაში - ოთხ თვესა და ათ დღეს. ორივე პერიოდი დადგენილია ყურანით.

#### **იჯთიპად:**

იმის გათვალისწინებით, რომ ისლამის ალიარებული იურიდიული წყაროები მოქმედებს ყველა დროსა და სივრცეში, იჯთიპადი შესაძლოა განმარტებულ იქნეს როგორც, შემოქმედებითი, მაგრამ მოწესრიგებული ინტელექტუალური ძალისხმევა, ამ წყაროებიდან სამართლებრივი გადაწყვეტილებების გამოტანის მიზნით და მუსლიმური საზოგადოების ცვალებადი გარემოებების არასტაბილურობის გათვალისწინებით.

#### **ჯიპად:**

სიტყვასიტყვით, „ძალისხმევა.“ ნებისმიერი გულწრფელი ძალისხმევა ღმერთის გზაზე, მათ შორის პიროვნულ ძალისხმევა, მატერიალური რესურსები ან იარაღი სამართლიანობის დასამყარებლად და ბოროტების, არასწორი ქმედებებისა და ჩაგვრის აღმოსაფხვრელად.

<b>ჯიპად ალ-აქბარ:</b>	სიტყვასიტყვით „დიდი ჯიპადი“, ძალისხმევა ნაფს-ის (ცდუნების) წინააღმდეგ, ე.ი. ბრძოლა თვით-სრულყოფისათვის.
<b>მუკასიზ:</b>	შარიათის უმაღლესი მიზნები, ამო-ცანები და ზრახვები.
<b>მასალიჭ:</b>	საზოგადოებრივი კეთილდღეობა და ინტერესი.
<b>შარიათი (შარი 'ა):</b>	ისლამის ყველა კანონის ზოგადი სახელწოდება. ის ყველა რელიგიურ, ლიტურგიულ, ეთიკურ და იუ-რიდიულ სისტემას აერთიანებს.
<b>სუნნა:</b>	სიტყვასიტყვით, „სწორი გზა ან სავალი გზა.“ მიემართება ყველა-ფერს, რაც შუამავალმა თქვა, გააკეთა, რასაც დაეთანხმა ან დაგმო. სუნნა შარიათის მეორე წყაროა ყურანის შემდეგ.
<b>თალფი:</b>	შედგენა ან სისტემატიზაცია.
<b>თაკლი:</b>	კონკრეტული მეცნიერის ან აზ-როვნების სკოლის მიღება, მიბაძვა და მიდევნება.
<b>თავჭირი</b>	იმის აღიარება და დადასტურება, რომ აღლაპი ერთადერთი ღმერ-

თია, აბსოლუტური, მარადიული შემოქმედი, სამყაროს მეუფე და ბატონი. უფრო დეტალური კვლევისთვის იხილეთ ისმა'ილ რაჯი ალ-ფარუკის, „ათ-თავჭიდ: მისი გავლენა აზროვნებასა და ცხოვრებაზე“ (ჰერნდონი, იასი, 1992).

**თაზეიდა:** განწმენდა.

**უმმა:(მრ.უმმამ):** სიტყვასიტყვით, „საზოგადოება, ერი.“ ზოგადად, უნივერსალური ისლამური საზოგადოება.

**უმრავ** რომელიც ადამიანის მისის შესასრულებლად და მისი სამსჯავროს, პასუხისგებისა და განვითარების ადგილადაა გამიზნული.

**უსულ (მხ.რ. აწლ):** პრინციპები, წყაროები, საფუძვლები.

**უსულ ალ-ფიკ:** ისლამური სამართლის მეცნიერება, სამართლის ფილოსოფია; ისლამის წყაროებიდან სამართლის ნორმების მიღების მეთოდოლოგია და მათი იურიდიული და კონსტიტუციური ნამდვილობის უზრუნველყოფა.

**ზურა:**

როგორც წესი, განიმარტება როგორც „ლარიბთათვის განკუთვნილი“ ან კანონიერი ქველმოქმედება. ზაქათი ქონების სავალდებულო გაყოფაა ლარიბებისა და მუსლიმური თემის-თვის, რაც შეადგენს წელიწადში 2.5%-ს, განსაზღვრულ მინიმუმზე მეტი ქონების შემთხვევაში ადამიანი ქონებას ქონებას შესაძლოა ფლობდეს ნალდი ფულის, საქონლის, პირუტყვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ან სხვა ნივთების სახით.

## შეციშვნები:

1. გარდაიცვალა ჰიჯრით 227 წელს.
2. იხ. Yaqūt al-Ḥamawī, Mu‘jm al Buldān, 6/226.
3. მიემართება შუამავლის ჰადისს: „... მთელი სამყარო ჩემს (ალ-ლაპი) სამკვიდროდ და სადიდებლად შეიქმნა...“
4. Cf Shakib Arsalan, Tarīkh Ghazawāt al-‘Arab (Beirut: Dār Maktabat al-Hayāt, 1966).
5. ფახრ ად-დინ არ-რაზი, „ათ-თაფსირ ალ-ქაბირ“, რომელშიც ის „დედამინის“ განსხვავებულ განმარტებას იყენებს, რომელიც მე კიდევ უფრო მეტად განვავითარე, რათა ცნებები დარ ალ-ჭარბ და დარ ალ-ისლამ უარმყო. მათ შორის განსხვავება უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება განხილული. დოქტორმა რადვან ას-სახილმა, ლიბანელმა მეცნიერმა, თავის არაერთ ნაშრომში, გა-მოიყენა მსგავსი ცნებები, როგორიცაა: დარ ალ-და’ვა და დარ ალ-იჯაბა, ან უმმათ ად-და’ვა და უმმათ ალ-იჯაბა. მის არა-ერთ ნაშრომში.
6. იმ წიგნებს შორის, რომლებიც ამ საკითხს ეხება. აჭმად იბნ დაპირ ალ-ვანმარშის (გარდ. ჰიჯრით 914 წელს) ალ-მი ‘აბრ ალ-მუ’არრაბ ვა ალ-ჯაბი’ ალ-მუღლარრაბ ‘ან ფათავა იფრიკიდ ვა ალ-ანდალუს ვა ალ-მაღრიბ (ბეირუთი, დარ ალ-ლარბ ალ-ისლამი, 1983).
7. صلی اللہ علیہ وسلم (شალლا اლلله اپنے حکم کو ساٹھ لے) ქართულად: ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება, როცა წმინდა მუჰამმად შუამავლის სახელი „მუჰამმადი“ იქნება ნახსენები.
8. ამ საკითხზე თანამედროვე და საინტერესო მიდგომის გასაგებად, იხილეთ, AbdulHamid AbuSulayman, *Marital Discord: Recapturing Human Dignity Through the Higher Objectives of Islamic Law* (London: IIIT, 2008). [Editors].

9. Ibn Khaldun, al-Muqaddimah, გვ.445; იხ. აგრეთვე: Al-Zubaydī, Tāj al-‘Arūs; Al-Qarāfī, Nafā’is al-‘Uṣūl, Sharḥ al-Maḥṣūl, Tabaqāt Ibn Sad‘d fī Tarjamat Ibn ‘Umar; Mustafa Abd al-Raziq, Al-Imām al-Shāfi‘ī, and Silsilat A‘lām al-Islām
10. იგზვე. გვ. 446 .
11. საჭრები ალ-ბუხარი: ქითაბ ალ-ილმ, ჰადისი 69; საჭრები მუსლიმ: ქითაბ აზ-ზაქაჲ, ჰადისი 1719.
12. საჭრები მუსლიმ.
13. Al-Nassā’ī, Ibn Mājah, and al- Tirmidhī. იხ. აგრეთვე: Al-Muwatta’ of Imam Mālik ibn Anas. Translated by Aisha Bewley. 23:4 “Storing Meat from Sacrificial Animals.”
14. ბაბუის მემკვიდრეობა. ერთმა ჯგუფმა ბაბუა „მამად“ მიიჩნია და ის ძმებზე მაღლა დააყენა. მათი მოსაზრებები იმაზეც გაიყო, მას მემკვიდრეობის „ერთი მესამედი“ ეკუთვნის თუ „ერთი მეექვსედი.“
  - ისლამზე ახლადმოქცეულის წილის ჩამორთმევა. შუამავალ და ხალიფა აბუ ბაქრი უხდიდნენ მათ წილას ზაქათიდან, თუმცა ხალიფა ‘უმარმა ეს არ გააკეთა, დიდის ალბათობით საზოგადოებისთვის სასიკეთოდ.
  - ნადავლის განაწილების რეგულირება. შუამავალმა ომის შედეგად მიღებული მინა მეპრძოლებს შორის გაანაწილა, ხოლო ხალიფა ‘უმარმა გადაწყვიტა, რომ მინის დამუშავებისთვის გადასახადი დაეწესებინა, რათა მისგან სარგებელი მთელ საზოგადოებასა და მომავალ თაობებს მიეღოთ.
  - შარიათის სასჯელების (ჭუდუდ) დროებითი შეწყვეტა ომიანობის დროს. ზოგი მუსლიმი ლიდერი ამას იმიტომ აკეთებდა, რომ მონინაალმდევის ბანაკში განხეთქილება ჩამოეგდო.
  - ჭურდებისთვის ხელის მოჭრის აკრძალვა. ხალიფა ‘უმარი პატიობდა იმ ჭურდებს, რომლებიც საკვებს იპარავდნენ.
  - კომპენსაციის (დიდა) გამოყენება მკვლელობისთვის, მას შემდეგ რაც მოკლულის რამდენიმე ნათესავი მკვლელს პატივებდა, მაშინაც კი თუკი სხვები სიკვდილით დასჯას (კისტები) ითხოვ-

დნენ. მიმდევრები სიკედილით დასჯის ნაცვლად პატიებასა და კომპენსაციას ახალისებდნენ.

- შუამავლის ცხოვრების პერიოდში დიმდა თანხით იზომებოდა და არა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით. თუმცა, ხალიფა ‘უმარმა დიმდა აქლემებით შეაფასა, ვინაიდან მათი ღირებულება საგრძნობლად გაიზარდა.
- ხალიფა ‘უმარის მმართველობის პერიოდში უპატრონო აქლემებს უგზო-უკელოდ ხეტიალის უფლება ჰქონდათ. როდესაც ის ხალიფა ‘უსმანმა ჩაანაცვლა, მან ბრძანა, რომ უპატრონო აქლემები შეეფასებინათ და გაეყიდათ. თუკი აქლემის პატრონი გამოჩნდებოდა, მას ამ აქლემის საბაზრო ღირებულებას გადაუხდიდნენ. აღნიშნულის საჭიროება ახალმა გარემოებებმა განპირობა, რაც ისლამური სახელმწიფოს გაფართოებით იყო განპირობებული.
- მიუხედავად იმისა, რომ არ იყო აკრძალული (ჭარამ) ქორწინება ებრაელ და ქრისტიან ქალებზე, ხალიფა ‘უმარი ასეთი ქორწინებების ნებას არ რთავდა
- ხალიფა ‘უმარის მმართველობის პირველი ორი წლის განმავლობაში განქორწინების შესახებ ერთჯერადი გამოცხადება საბოლოოდ მიიჩნეოდა. თუმცა მოგვიანებით მან შენიშნა, რომ ადამიანები ამ წესს არღვევდნენ და საბოლოო განქორწინების-თვის დააწესა სამჯერ გამოცხადება განქორწინების შესახებ.
- მნარმოებლებზე ჯარიმების დაწესება მათვის მიწოდებული ნედლეულის დაზიანებისთვის ან განადგურებისთვის, მეტად სადავო საკითხს წარმოადგენდა. ზოგი მიმდევარი (საჭაბა) მიიჩნევდა, რომ ზარალის ან დაკარგული ნედლეულის ღირებულების შესაბამისი ჯარიმა უნდა დაწესებულიყო; გარკვეული ნაწილი კი განსხვავებულ აზრზე იყო, ვინაიდან ზარალი ან დანაკარგი გამიზნული არ იყო.
- გირაოდან მიღებული სარგებელი. აღნიშნული მიმდევრებს შორის განსხვავებულ მოსაზრებებს ეხება, რომელიც სხვადასხვა გარემოებებით და სოციალური ზრდითაა ნაკარნახევი.

15. საკითხები, რომელთა შესახებაც მეორე თაობას განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდა:

- მათ მიაჩნდათ, რომ გირაოს მფლობელებისთვის გარკვეული ჯარიმა უნდა დაეწესებინათ ზარალის ან ზიანის შემთხვევაში, რომელიც გირაოს ღირებულების ტოლფასი უნდა ყოფილიყო.
- შუამავალი ქალებს მეჩეთში სალოცავად ხშირად სიარულის-კენ მოუწოდებდა, თუმცა შემდეგი თაობის ღვთისმეტყველები ('ულამა') ამჯობინებდა, რომ ქალებს მეჩეთში ღამით არ ევლოთ.
- შუამავალი ნებას არ რთავდა, რომ საქონელზე დადგენილი ფასი ყოფილიყო, თუმცა შემდეგი თაობის ღვთისმეტყველებმა ('ულამა'), აღნიშნულის ნება დართეს, რათა საზოგადოება და-ეცვათ.
- განქორწინებულს, რომელიც არ ასრულებდა განქორწინების შედეგად ნაკისრ ვალდებულებებს, არ ჰქონდა უფლება ჩვენება მიეცა სასამართლოში.
- მეორე თაობის ღვთისმეტყველები ('ულამა') უარს აცხადებდენ რიგი ნათესავებისთვის ჩვენების ჩამორთმევაზე უსამართლობის შიშით ან მიუკერძოებლობის ნაკლებობის მიზეზით.

16. ა.ს - 'ალააპი ას-სალამ ან 'ალააპიმ ას-სალმ (ალლაპის წყალობა არ მოკლებოდეს). ითქმის ყოველ ჯერზე, როდესაც მუჰამმადის ნაცვლად ნებისმიერი სხვა შუამავლის სახელი წარმოითქმის.

17. იხილეთ მისი წიგნი: 'იკუთიდა' ან-ჰირატ ალ-მუსთაკის მუხაरდლაფათ აპლ ალ-ჯაჭიშ. ასევე იხ. მუსტაფაფ იბნ მუჰამმად ალ-ვარდანის – ან-ნაპი 'ან ალ-ისთი' სამართლის ფირზე ალ-მუსლიმის ბი აპლ აზ-ზიმმა ვა-ლ-ქუფფარ. ასევე იხ. ანონიმური ავტორის წიგნი, რომელიც სავარაუდოდ ჩრდილოეთ აფრიკიდან იყო, სახელწოდებით – ან-ჰივაბ ფირ კიბჭ ისთიქთაბ აპლ ალ-ქითაბ.

18. . Al-Mustasfā 1/3.

19. ტაპა ჯაბირ ალ-ალვანი, უსტულ ალ-ფიკ ალ-ისლამი (ჰერნდონი, ვირჯინია: ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი, 1990).
20. იხ. მისი წიგნი – მაკადულ აშ-შარი‘ა ალ-ისლამიდა (თუნისი: ად-დარ ათ-თუნისიდა, 1972)
21. იხ. მისი წიგნი – მაკადულ აშ-შარი‘ა (კასაბლანკა, მაქთაბათ ალ-ვაჰდა, 1963).
22. იხ.მისი წიგნი – ნაზარიდათ ალ-მაკადულ ‘ინდ ალ-იმამ აშ-შატიბი (ჰერნდონი, ვირჯინია: ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი, 1995).
23. იხ. მისი წიგნი – მაკადულ აშ-შარი‘ა (ჰერნდონი, ვირჯინია: ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი, 1991).
24. იხ. მისი წიგნი – თამპარ ლი თა’რის ალ-ფალსაფა ალ-ისლამიდა (კაირო: ლუჯნათ ალ-ტა’ლიფ ვა ალ-თარჯუმა ვა ან-ნაშირ, 1966).
25. შემდგომი დამუშავებისთვის იხ. Al-‘Alwānī, The Islamization of Knowledge: Yesterday and Today (Herndon, Virginia: IIIT, 1995; and Missing Dimensions in Contemporary Islamic Movements (Herndon, Virginia: IIIT, 1996), pp. 14-19.
26. რ.ა.ა. - რაბიიდა ალლაჰჰუ ანპა/ანპუ (დაე, ალლაჰჰის წყალობა არ მოკლებოდეს). ითქმის შუამავლის მიმდევრების და ხალიფების სახელის ყოველ კერზე წარმოთქმისას.
27. იბნ ალ-ჯავზი, ზად ალ-მასირ, 8/39
28. ალ-კურტუბი, ალ-ჯამი ‘ლი აჭქამ ალ-კურ’ან, 18/43.
29. იქვე, 28/43.
30. იქვე, 18/43.
31. თაფსირ იბნ აბი ჭათიმ, 1/472.
32. იბნ ალ-ჯავზი, ზად ალ-მასირ, 1/355.
33. ას-საბრნი, მუხთახარ თაფსირ იბნ ქასირ, 1/308.
34. ალ-კურტუბი, ალ-ჯამი ‘ლი აჭქამ ალ-კურ’ან, 4/171.
35. აბი ას-სუ’რდ, ირშად ალ-‘აკლ ას-სალიმ ილი მაზარ ალ-კურ’ან ალ-აჭიმ, 2/70.
36. ‘აბდ ალ-ქარიმ ალ-ხატიბ, ათ-თაფსირ ალ-კურ’ანი, 4/548.
37. ალ-ქასანი, ბადა’რ ‘ას-სანა’ი’, 7/131.

38. იქვე.
39. იბნ ჭავარ, ფათჰ ალ-ბარი, 7/230.
40. იბნ ალ-ჯავზი, ზად ალ-მასრი, 7/122.
41. იბნ თაღმიდა, ათ-თაფსირ ალ-ქაბირ, 6/59.
42. იბნ თაღმიდა, ას-სიმსა აშ-შარ'იდა, გვ. 167.
43. იბნ თაღმიდა, მინპეჯ ას-სუნნა, 4/113.
44. იბნ ჭავარ, ფათჰ ალ-ბარი, 13/126. .
45. ალნიშნული ანგარიშის დეტალები მოცემულია: ალ-მუსნად, ჰა-დისები 1649, 14039, 17109 და 21460.



გამომცემლობა „კენვარსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოვსკის №4, ტელ: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

„ ფიპი უმცორესობისთვის“ აქტუალური თემაა და ძალიან მნიშვნელოვანი ფიპის სფეროსთვის რომელიც, თავის მხრივ, არსებითად მნიშვნელოვანი განდა დასავლეთში მცხოვრები მუსლიმი საზოგადოებების კეთილდღეობისა და განვითარებისთვის. ავტორი იმაზე ამაზოლებს ყერადღებას, რომ მუსლიმი უმცირესობების პრობლემების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ ახალი იურიდიული ხედვით რაც დაფუძნებულია ყრინის უმაღლეს პრინციპებზე, ამიღებებსა და უმაღლეს ლირებულებებზე, პრინციპის უმაღლეს მიზნებთან (მაგ ჟილ) ერთად. დოქტორი ალალვანი ნაშრომი არსებითად სწორედ მუსლიმი უმცირესობების მიმართ გაუღერებული მოწოდებაა, რომ ამ უკანასკნელი მოქალაქეობის განცდა ჰქონდეთ და სზოგადოებაში მათ ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ პოზიტიური, თავდაჯერებული ხედვა განავთარინ, ამასთან ჩელ-ჩელა უკრიუნდა თქვან საუკარი თავის, რიგორც იმიგრინტის სტატუსის მქონე ადამიანების აღმაზე და იმ ჟამანისტურ ხედვას უნდა დაეყრდნონ, რომელიც საზოგადოების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

#### დოქტორი ტაპაჯაბირალალვანი

ავტორი კაიროში, ალ-აზპარის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. ამჟამად ის კორდობის უნივერსიტეტის პრეზიდენტია და აბასანავე ხელმძღვანელობს იმამ აბ-შავიის ისლამური სამართლებრივ თუორიას, კორდობის უნივერსიტეტის ისლამური და სოციალური მეცნიერებების უმაღლეს სკოლაში. ამასთან, ის ჩრდილოეთ ამერიკის ფიკტის საბჭოს პრეზიდენტია; OIC ფაკტის ისლამური აკადემიის წევრი და ამერიკის შევრთულ შტატებში ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტის (იასი) ყოფილი პრეზიდენტიცაა. დოქტორი ალალვანი, რომელიც საერთაშორისო აღიარებული მენინგირია, ექსპერტი და მიზნევა ისლამური სამართლებრივი თეორიის, იურისპრუდენციის (ფიქ) და 'უსრულალ-ფიქ'-ის სფეროში. ის არაერთი ნაშრომის ავტორიცაა, მათ შორის: 'უსრულალ-ფიქ' აღ-ისლამი: წაკარის მეთოდოლოგია ისლამურ იურისპრუდენციაში; კონფლიქტის/უთანმობების ეთიკა ისლამში; იჯთიპადი, ყურანი და სუნნა: დრო-სუვრცეს ფაქტორი.



ISBN 978-9941-33-603-4